

ვალდებულებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2020, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2020, №5

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2020, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორბი ჭყონიკა

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიებელი

1. ხელშეკრულების დადება	
ვალის არსებობის აღიარება	4
2. ხელშეკრულებიდან გასვლა	
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები	14
3. ვალდებულების შესრულება	
კეთილსინდისიერების პრინციპი; უფლების ბოროტად გამოყენება	25
ნომინალიზმის პრინციპი	54
ნომინალიზმის პრინციპი უსაფუძვლო გამდიდრება	61
4. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა	102
დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში	116
5. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი	
პირგასამტეხლოს დაკისრება	123
მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი	132
შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და პროცენტი	152
პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ	162; 175

1. ხელშეკრულების დადება

პალის არსებობის აღიარება

განჩინება

საქართველოს სსხელით

№ას-758-2019

22 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „აკად. გ. ჩხ. გ. კ.ც-ი“ (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინალმდგე მხარე, კასატორი ან კლინიკა) დ. კ-ას (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, აპელანტი ან მონინალმდგე მხარე), ლ. კ-ას (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, აპელანტი ან მონინალმდგე მხარე) და მ. თ-ძეს (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხე) წინალმდგე აღძრული სარჩელით მოითხოვს გ. კ-ას (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პაციენტი), მკურნალობის ხარჯების დარჩენილი ნაწილის, 16 522 ლარის, მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრებას.

2. მოსარჩელემ 2016 წლის 3 დეკემბერს პაციენტს გაუკეთა გადაუდებელი კარდიოქირურგიული ოპერაცია, გულმკერდის აღმავალი აორტის რეზექცია და რეკონსტრუქცია სისხლძარღვოვანი პროთეზის გამოყენებით, რომლის ღირებულებამ 18 522 ლარი შეადგინა.

3. მოსარჩელე მოთხოვნის დასადასტურებლად ეყრდნობა 2015 წლის 5 დეკემბრის წერილობით შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მოპასუხეებმა იკისრეს ვალდებულება, არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრისა, სოლიდარულად გადაეხადათ პაციენტის სამედიცინო მომსახურების ღირებულება – 18 522 ლარი. მათ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულეს და კლინიკას 2 000 ლარი გადაუხადეს.

4. მოპასუხებებმა მოთხოვნა არ ცნეს. მათ მიუთითეს, რომ 2016 წლის 3 დეკემბერს პაციენტი სარგებლობდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მინიმალური პაკეტით და, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მას უფლება ჰქონდა მიეღო ამ დადგენილების №1.1 და №1.2 დანართით გათვალისწინებული გადაუდებელი მომსახურება.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ 16 522 ლარის სოლიდარულად გადახდა დაეკისრათ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 341-ე, 463-ე და 464-ე მუხლები გამოიყენა. სასამართლომ დაასკვნა, რომ პაციენტი არ სარგებლობდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მინიმალური პაკეტით და, აქედან გამომდინარე, განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება უნდა გადაეხადა. ამასთან, რადგანაც მოპასუხებმა დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლით (ვალის აღიარებით) იკისრეს სამედიცინო დანესებულების წინაშე დავალიანების დაფარვა, შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა, ხოლო მოპასუხეები ვალდებული იყვნენ – დაეფარათ პაციენტის დავალიანება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი უარყოფილ იქნა.

7. სააპელაციო პალატამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციალისტის განმარტებაზე მითითებით დაადგინა, რომ პაციენტი, 2016 წლის 3 დეკემბრის მონაცემებით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სერვისით სარგებლობდა. პალატამ ამ გარემოების საწინააღმდეგო ვარგის მტკიცებულებად არ მიიჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 30 მარტის წერილი, რომელიც გამორიცხავდა სახელმწიფო დაფინანსებას და პაციენტის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. სააპელაციო „პალატის დასკვნით, პაციენტს არა სახელმწიფო დაზღვევის „მინიმალური პაკეტით“, არამედ „საბაზისო პაკეტით“ გათვალისწინებული შეთავაზებით უნდა ესარგებლა და, აქედან გამომდინარე, არ გაიზიარა მოსარჩელის

პოზიცია, რომ პაციენტის ოპერაცია სახელმწიფოს მხრიდან იმ შემთხვევაშიც კი არ დაფინანსდებოდა, თუ იგი დაზღვევის „საბაზისო პაკეტით“ მოსარგებლედ განიხილებოდა. პალატის მოსაზრებით, 2015 წლის 5 დეკემბრის წერილობითი შეთანხმება (ვალის აღიარების ხელშეკრულება) სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობდა, რადგანაც ის არ აკმაყოფილებდა გარიგების დადების ზოგად პირობებს. პალატამ აღნიშნა, რომ პაციენტის წარმომადგენლებს სადავო გარიგების გაფორმებისას, არ მიეწოდათ ადეკვატური, სრულყოფილი და კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია პაციენტის სახელმწიფოს მიერ დაზღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მათ ოპერაციის დაფინანსების თაობაზე არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოავლინეს ნება, რაც ამგვარად დადებულ გარიგებას იურიდიული ნამდვილობის საფუძველს აცლიდა.

8. მოსარჩელის საკასაციო პრეტენზიით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უარყოფილი იქნა, როგორც ფაქტობრივი, ისე – მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, დაუსაბუთებელია, სახელდობრ:

8.1. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა საქმის განხილვის ფარგლებს. იმ გარემოების გარკვევა, ექვემდებარებოდა თუ არა პაციენტის მკურნალობის საფასური სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებას, არა ამ საქმის, არამედ ცალკე დავის საგანი უნდა გამხდარიყო, სადაც გაირკვეოდა პაციენტის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსება/დაუფინანსებლობის საფუძვლიანობა და სისწორე. ამ კონკრეტულ საქმეში კი, წარდგენილი მტკიცებულებებით დამაჯერებლად დასტურდებოდა, რომ 2016 წლის 3 დეკემბერს, კლინიკაში შესვლის დროს, პაციენტი არ წარმოადგენდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეს: უდავოდ დგინდებოდა, რომ ამ პროგრამაში პაციენტი 2016 წლის 5 დეკემბერს დარეგისტრირდა მინიმალური პაკეტით, რომლითაც ქირურგიული ოპერაციის დაფინანსება არ იყო გათვალისწინებული. სააპელაციო სასამართლომ კი, არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბერს სარგებლობდა სახელმწიფო დაზღვევის „საბაზისო პაკეტით“.

8.2. სააპელაციო სასამართლომ შესაბამისი დასაბუთების გარეშე უარყო ის ფაქტი, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, საბაზისო პაკეტის შემთხვევაშიც კი, ქირურ-

გიული ოპერაციის დაფინანსებას ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული გასაშუალებული ტარიფის შესაბამისი პროცენტული წილით, პაციენტის მხრიდან თანადაფინანსებით.

8.3. შეგებებული სარჩელის არარსებობის პირობებში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, 2016 წლის 5 დეკემბრის შეთანხმება ბათილად ეცნო.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, რადგანაც საქმეზე არ არის დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი ნაწინააღმდეგარის, რასაც შედეგად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, პალატა მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე, ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

10. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

11. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში სარჩელის უარყოფის ფაქტობრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ ის გარემოება მიიჩნია, რომ პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბრის

მონაცემებით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე იყო და, შესაბამისად, განუული სამედიცინო მომსახურება – ოპერაციული ჩარევა, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდებოდა.

12. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობა. სამართლებრივი ურთიერთობა კი, წარმოიშობა, ან წყდება შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია პაციენტი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მონაწილე პირად, რომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის შედეგია ფაქტების არასწორად დადგენა და სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნების გამოტანა, სახელდობრ:

12.1. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბერს სარგებლობდა სახელმწიფო დაზღვევის სერვისით და, ამასთან, არა „მინიმალური დაზღვევის პაკეტით“, არამედ „საბაზისო დაზღვევის პაკეტით“ გათვალისწინებული შეთავაზებებით უნდა ესარგებლა, ერთი და იმავე დაწესებულებიდან გაგზავნილ ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებებს ეფუძნება.

12.2. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (დანართი №1) მე-2 მუხლი (2015 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის პირველ მარტამდე მოქმედი რედაქცია) დეტალურად განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც უფლება აქვთ, ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით. იმისდა მიხედვით, თუ როგორია დასახელებულ პირთა სტატუსი, ასაკი, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა, განსხვავებულია სადაზღვევო პაკეტთა მიზნობრიობა, შინაარსი და მოცულობა, რომლით სარგებლობის შესაძლებლობაც მათ აქვთ (დანართი №1.1, №1.3 და №1.4). საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საბაზისო სადაზღვევო პაკეტით მო-

სარგებლები არიან: საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ამავე პროგრამის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ასეთივე პირებისთვის ითვალისწინებს დანართი №1.2-ით გათვალისწინებული გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობასაც. დასახელებულ წრეში ექცევა როგორც პირთა ის ჯგუფი, რომელსაც არასოდეს უსარგებლია კერძო სამედიცინო დაზღვევით, ასევე, პირთა ჯგუფი, რომელსაც კერძო სადაზღვევო კონტრაქტი გაფორმებული ჰქონდა, თუმცა შეუწყდა 2013 წლის პირველ ივლისამდე. სადავო ნორმა აღნიშნული ჩამონათვალიდან გამოყოფს პირებს, რომლებიც 2013 წლის 1 ივლისს ჩართული იყვნენ კერძო სადაზღვევო სქემებში, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით შეუწყდათ სადაზღვევო კონტრაქტის მოქმედება/მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ვეღარ მონაწილეობენ კერძო სადაზღვევო სქემებში. ასეთი პირები სადავო ნორმის საფუძველზე უფლებამოსილი არიან, ისარგებლონ მინიმალური პაკეტით, ასევე – მიიღონ დანართი №1.2-ით გათვალისწინებული გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, მას შემდეგ, რაც მათი მონაცემები აისახება „ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში“. განსახილველ შემთხვევაში, ერთი და იმავე დაწესებულებიდან გაგზავნილი სხვადასხვა დროით დათარიღებული წერილი პაციენტისთვის სახელმწიფო დაზღვევის დაწყების/ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში ასახვის განსხვავებულ დროს მიუთითებდა, სააპელაციო პალატამ კი, პაციენტი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, 2016 წლის 3 დეკემბრის მონაცემებით, სახელმწიფო დაზღვევის „საბაზისო პაკეტით“ მოსარგებლე პირად მიიჩნია.

13. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე/კასატორი მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეებმა არ გადაუხადეს პაციენტისთვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება; კასატორი 2015 წლის 5 დეკემბერს მოპასუხეთა შორის გაფორმებულ წერილობით შეთანხმებაზე, რომლის თანახმად, მოპასუხეებმა აიღეს ვალდებულება, არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრამდე სოლიდარულად გადაეხადათ მოსარჩელისთვის პაციენტის სამედიცინო მომსახურების ღირებულება – 18 522 ლარი, აფუძნებს თავის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულებით წარმო-

იშობოდა პაციენტის სამედიცინო მომსახურების, მისი ოჯახის წევრების/მოპასუხეების მხრიდან ანაზღაურების ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ ეს შეთანხმება ისე მიიჩნია ვალის აღიარების ხელშეკრულებად, რომ სათანადოდ არ გამოუკვლევია სსკ-ის 341.1 მუხლის (იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომელითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმას გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას) სამართლებრივი საფუძვლით, მოპასუხეების მხრიდან პაციენტისათვის განეული სამედიცინო დახმარების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების აღება წარმოშობდა თუ არა ამ შეთანხმების ვალის აღიარების ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის გაგებით ვალის არსებობის აღიარებასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ. შესაბამისად, ის არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (შდრ. სუსგ №ას-392-371-2013, 8 ნოემბერი, 2013 წელი). საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსითა და გამონაკლის ფორმით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, სახელდობრ, კონსტიტუციური (დამდგენი) და დეკლარაციული (დამადასტურებელი). კონსტიტუციური ხასიათის ვალის არსებობის აღიარებით ახალი ხელშეკრულება იდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. სწორედ აღნიშნული სახის ვალის არსებობის აღიარებას ითვალისწინებს სსკ-ის 341.1 მუხლი. ამდენად, ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედების შესრულების მოვალეობას. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ-

სებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და ამ გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია, ადრე არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მიღება, ასეთი აღიარება კაუზალურ აღიარებას წარმოადგენს და იგი თვისებრივად განსხვავდება სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული აღიარებისაგან. ამდენად, ამ ნორმის კონტექსტით ვალის აღიარება ძველი (არსებული) ვალდებულების დადასტურებას არ ემსახურება, არამედ ახლის წარმოშობის წყაროა. ამასთან, ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი, ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, სახელდობრ, ხელწერილით ხდება ვალის ამლიარებლის მხრიდან მოთხოვნის უფლების მქონე პირთან ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის აღიარება, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მიიჩნევა, რომ ვალის ამლიარებელი ვალს, კრედიტორთან არსებული სამართალურთიერთობის საფუძველზე, როგორც თავის ვალს, ისე აღიარებს. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილი შეთანხმება არა პაციენტის, არამედ მისი ოჯახის წევრების მიერაა ხელმოწერილი, შესაბამისად, ეს შეთანხმება ვერ შეფასდება ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის ახალ, დამოუკიდებელ კომპონენტად, რამდენადაც ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი აღიარებისათვის აუცილებელია აღიარება უფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, ვალის აღიარების ხელშეკრულება დამოუკიდებელი გარიგებაა და, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ პირობებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია არ მიანიჭა მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბერს იყო თუ არა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირი და ქირურგიული ოპერაცია ექვემდებარებოდა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას/თანადაფინანსებას, რაც გამორიცხავს სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში პაციენტისთვის განუყოფელი სამედიცინო მომსახურების ღირებულების მის მიერ ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო, თუ დადგინდება, რომ პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბერს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ სარგებლობდა, მაშინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს განსახილველ შემთხვევაში, ადგილი ხომ არ ჰქონდა პაციენტის მიმართ სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილიდან წარ-

მოშობილი ფულადი ვალდებულების 203-ე მუხლის საფუძველზე (მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირის ამ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი), მოპასუხეებზე გადაკისრებას, რომლის დროსაც ვალი გადაეკისრება კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე კრედიტორის ნება და ასეთი ვალდებულების შესრულების შესახებ მესამე პირის თანხმობაც. ამდენად, ვიდრე არ დადგინდება ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო ვერ იმსჯელებს მოპასუხეების ვალდებულების არსებობასა და მის ფარგლებზე.

15. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ შეგებებული სარჩელის წარუდგენლობა არ აძლევდა სასამართლოს უფლებას, ემსჯელა 2016 წლის 5 დეკემბრის შეთანხმების ნამდვილობაზე. მოპასუხეებს შეეძლოთ გარიგების ბათილობის, ანუ უფლების დამაბრკოლებელი შესაგებების წარდგენით მიუთითებინათ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ხელს უშლიდა მოთხოვნის წარმოშობას. გარდა ამისა, სასამართლოც ვალდებულია, საკუთარი ინიციატივითაც გაითვალისწინოს უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი, თუ საქმის განხილვისას დაადგენს ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის გამომრიცხველ გარემოებებზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო გარიგების გაფორმებისას მოპასუხეებს არ მიენოდათ ადეკვატური, სრულყოფილი და კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია პაციენტის სახელმწიფოს მიერ დაზღვევასთან დაკავშირებით და მათ ოპერაციის დაფინანსების თაობაზე არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოავლინეს ნება, რაც გარიგებას იურიდიული ნამდვილობის საფუძველს აცლიდა, საკმარისად დასაბუთებული და დამაჯერებელი არ არის.

16. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წანამძღვრები, ამასთან, არ გამოიკვლია საქმის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოოდ არასწორი გადანყვეტილების მიღება განაპირობა. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, სრულ-

ყოფილად უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლები, ისე – მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და მიიღოს გადაწყვეტილება.

17. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „აკად. გ. ჩ.ს. გ. კ.-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1076-996-2017

19 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ა-ი 1-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მონინაალმდეგე მხარე, კასატორი, გამყიდველი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ქ-ოს“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორის მონინაალმდეგე მხარე, მყიდველი ან მოვალე) მიმართ მოპასუხისათვის 8 224,30 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის მარტში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა მოსარჩელემ და 2015 წლის 2 მარტს მასთან მოპასუხემ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში – ნასყიდობის ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც 2015 წლის 31 დეკემბრამდე მყიდველისათვის გამყიდველს უნდა მიეწოდებინა ავეჯის აქსესუარები – დამლაგებლის მრავალფუნქციური ურიკა 20 ერთეული. გამყიდველმა საქონელი დაუკვეთა და სრული ოდენობით შეისყიდა თურქეთის რესპუბლიკაში. შექენიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ შემსყიდველმა მიიღო 6 ერთეული საქონელი, ხოლო დანარჩენი, მისი განმარტებით, უნდა მიეღო ეტაპობრივად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე. შეთანხმებული ვადის ამონაწილად 10 დღით ადრე გამყიდველმა მიმართა მყიდველს საქონლის მიღების მოთხოვნით, თუმცა მოპასუხემ ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა იმ მიზნით, რომ აღარ ესაჭიროებოდა ურიკები. მან ვალდებულება არც დამატებით ვადაში შეასრულა, კერძოდ, არ მიიღო საქონელი და არც მისი ღირებულება აანაზღაურა, რის შედეგადაც

გამყიდველს ადგება ზიანი საქონელში გადახდილი საზღაურის – 8 224,30 ლარის ოდენობით.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის მაქსიმალურ თანხაზე, რომლის ფარგლებშიც შეიძენდა საავადმყოფო საქონელს საჭიროების გათვალისწინებით, შესაბამისად, ზიანის მიყენებასა და ურიკების დარჩენილი ოდენობის ღირებულების გადახდაზე საუბარი დაუსაბუთებელია, რადგანაც ხელშეკრულებით მხოლოდ თანხისა და საქონლის ოდენობის განსაზღვრა არ ავალდებულებს მყიდველს, ჯამური თანხის ფარგლებში მიიღოს ნივთი. ის ფაქტი, რომ გამყიდველმა წინასწარ შეიძინა საქონელი, მყიდველის მხრიდან ზიანის მიყენების წინაპირობად არ უნდა იქნეს განხილული. მყიდველმა შეწყვიტა ხელშეკრულება, ხოლო დამატებითი ვადის განსაზღვრის თაობაზე მოსარჩელის წერილი მას გადაეცა მას შემდეგ, რაც გამყიდველმა შეიტყო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8 224,30 ლარის ანაზღაურება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გამყიდველმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა

დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულების მყიდველისათვის დაკისრების წინაპირობების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს და პრეტენზიას აცხადებს შემდეგზე:

1.1.1. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტზე და იმ მოტივით, რომ გამყიდველს ზიანი არ მისდგომია, უარყო სარჩელი, თუმცა, სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველი ვალდებული იყო, მიეღო ნივთი. გარდა ამისა, იკვეთება შემძენის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მისთვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო, რომ სპეციალური დანიშნულების მქონე საქონელი გამყიდველმა იმ ოდენობითა და მიზნით შეიძინა, რაც ნასყიდობის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 407-ე, 411-ე და 412-ე მუხლები, თუმცა არ გაითვალისწინა მოსარჩელისათვის ზიანის წარმოშობის ფაქტი, რადგანაც მას, როგორც გამყიდველს, დარჩა საქონელი ისე, რომ ვერ მიიღო მისი საფასური. ამ მსჯელობისას სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ საქონლის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მის რეალიზაციას გამყიდველი ვერ განახორციელებს, ამასთან, გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს სამოქალაქო ბრუნვის საწინააღმდეგო იმგვარი დასკვნაც, თითქოს მხარეს ყოველთვის შეუძლია, შეიძინოს ნივთი და უარი განაცხადოს მის მიღებაზე, ხოლო მიყენებულ ზიანზე არ აგოს პასუხი. ნიშანდობლივია, რომ ნასყიდობის საგანი კასატორს დასაწყობებული აქვს, რაც დამატებით ხარჯს და შესაბამისად, ზიანის ოდენობას ზრდის. ამდენად, სააპელაციო პალატა

ასკვნის, რომ მყიდველმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ასევე, ნასყიდობის საგანი არის სპეციალური დანიშნულების მქონე ნივთი, თუმცა, მიუხედავად ამისა, უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურებაზე. გარდა ხსენებულისა, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლზე აპელირებით სასამართლო ადგენს, რომ სწორედ მოსარჩელე წარმოადგენს ნასყიდობის საგნის მესაკუთრეს, თუმცა, ხსენებული ნორმის წინააღმდეგ, საგნის თვისებიდან გამომდინარე, არ მსჯელობს იმაზე, რომ მესაკუთრეს არ შეუძლია, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს სადავო ნივთით;

1.1.2. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მითხოვნის ოდენობა არა მხოლოდ ურიკების შესაძენად მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხისგან, არამედ იმ მიუღებელი შემოსავლისგანაც შედგება, რომელსაც მხარე მიიღებდა მოპასუხესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შედეგად. მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება, უარი განეცხადებინა საქონლის მიღებაზე, ხოლო მისი მსჯელობა, თითქოს სარჩელის დაკმაყოფილება მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას განაპირობებდა, არასწორია, რადგანაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მყიდველს შეეძლო, მოეთხოვა ქონების გადაცემა. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მოპასუხემ არ დაიცვა ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით დადგენილი წესი.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერი-ალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2015 წლის 12 თებერვალს მოპასუხემ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ავეჯის აქსესუარების (20 ერთეული დამლაგებლის მრავალფუნქციური ურიკის) მიწოდებაზე,

სადაც გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე, შესაბამისად, 2015 წლის 2 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №56 ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ავეჯის აქსესუარების (დამლაგებლის მრავალფუნქციური ურიკა გორგოლაჭებზე) მიწოდება. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენდა 11 749 ლარს და აღნიშნული ფასი წარმოადგენდა 20 ერთეული ურიკის ღირებულებას (თითოეული ურიკის საფასური განისაზღვრა 587,45 ლარით). ხელშეკრულების 6.3 პუნქტის თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხისათვის მითითებული საქონელი უნდა მიეწოდებინა ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 დღის განმავლობაში;

1.2.2. მოსარჩელემ 7 562,45 ლარად თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინა ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი სრული ოდენობით (20 ცალი);

1.2.3. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, 2015 წლის 31 მარტს მოპასუხემ მიიღო საქონლის ნაწილი – 6 ერთეული ურიკა და გადაიხადა მისი ღირებულება 3 524.7 ლარი, დარჩენილი 14 ურიკის მიღებაზე კი, უარი განაცხადა;

1.2.4. სარჩელით გამყიდველმა მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებასა და მოპასუხის მიერ მიღებული 6 ურიკისთვის გადახდილი თანხის სხვაობის – 8 224,30 ლარის ანაზღაურება;

1.2.5. დარჩენილი საქონელი – 14 ურიკა გამყიდველის მფლობელობაშია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევითაა გამოტანილი, შესაბამისად, იურიდიულად არ არის დასაბუთებული. ხსენებული გარემოებები კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

1.3.2. კასატორის მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს სარჩელის ფაბულაზე – მოსარჩელეს სურს მიიღოს იმ ოდენობით თანხა, რაც მას მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში გადაეცემოდა, თანხის ანაზღაურების წინაპირობად კი, მხარე მიიჩნევს მყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უარს. მართალია, მოსარჩელე მოთხოვნის საფუძველად ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას მოიაზრებს (სკ-ის 394-ე, 408.1, 411-ე,

412-ე მუხლები), თუმცა, თანხის მოთხოვნას მოპასუხე ძირითადად იმ არგუმენტს უპირისპირებს, რომ მან ხელშეკრულებით განსაზღვრა შესაძენი საქონლის სავარაუდო მოცულობა საჭიროების მიხედვით, მისი განმარტებით სწორედ ამას ემსახურებოდა ხელშეკრულების დატყმა მიწოდების წესთან დაკავშირებით (მოთხოვნის საფუძველზე გადაეცემოდა მოპასუხეს ნასყიდობის საგანი).

1.3.3. დავის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გამოთქმული პოზიციების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კრედიტორი ითხოვს ხელშეკრულების შესრულებას (ე.წ. პირველადი მოთხოვნა) და არა მოვალის ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას (ე.წ. მეორადი მოთხოვნა). ამ მხრივ მოსარჩელის სამართლებრივი პოზიცია დაუსაბუთებელია, თუმცა ეს ვერ გახდება სარჩელის უარყოფის საფუძველი. ამგვარი მიდგომა, რომელსაც საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება, გამომდინარეობს ერთგვაროვანი პრაქტიკიდან, რომლის თანახმადაც, მოთხოვნის საფუძველის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი. სამართალში დამკვიდრებული პრინციპი – „*iura novit curia*“ (სასამართლო იცის კანონი) საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი; №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი, ასევე, სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი).

1.3.4. საკასაციო სასამართლო მიუბრუნდება ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.2.1. პუნქტით დადგენილ გარემოებას და მიიჩნევს, რომ 2015 წლის 2 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება სრულად შეესაბამება ხელშეკრულების დადებისათვის სამოქალაქო კოდექსის 327-ე (I) (II) მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს (ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ). ამ მხრივ არც მხარეებს მიუთითებიათ და არც საქმის მასალებით დადგენილა იმგვარი გარემოებები, რომელთა შეფასება სასამართლოს მიიყვანდა დასკვნამდე, რომ ხელშემკვერელ მხარეთა ნება სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ წინარე ხელშეკრულების პირობებზე

შეთანხმებას შეეხებოდა. თავის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №54 ხელშეკრულება შინაარსობრივად ნასყიდობის ხელშეკრულებაა და მასზე სრულად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის წინაპირობები. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნის საფუძვლიანობის შესამოწმებლად საჭიროა, შეფასდეს თავად ნასყიდობის ხელშეკრულების იურიდიული ბუნება: სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მთანოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნასყიდობა ორმხრივი, კონსესუალური გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე – მყიდველს გააჩნია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. ნორმის პირველი ნაწილი ადგენს გამყიდველის სინალაგმატურ ვალდებულებას, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ნასყიდობის საგნის, ისე – ამ საგანზე ნამდვილი უფლების გადაცემით (მაგ: ნივთის პირდაპირი მფლობელისაგან გამოთხოვის უფლება). კანონი ნასყიდობის ნამდვილობისათვის რაიმე შეზღუდვას არც ერთი ხსენებული წესის მიმართ არ ადგენს და როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში (ბუნებრივია, მხარეთა შეთანხმების პირობებში) გამყიდველის მხრიდან ვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევს. სწორედ ამ წესის დაცვის შემდგომ წარმოეშობა გამყიდველს შემძენისაგან საპასუხო შესრულების (საქონლის მიღება, ფასის გადახდა) მოთხოვნის უფლება, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

1.3.5. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების კონსესუალური ბუნებიდან გამომდინარე, იგი დადებულად ითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევის მომენტიდან და რელატიურ, იურიდიულ ძალას იძენს, კერძოდ, მხარეებს შეთანხმების მომენტიდანვე წარმოეშობათ ურთიერთმოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლომ დაადგინა, რომ მყიდველი გავიდა ხელშეკრულებიდან და ნასყიდობის საგანი დარჩა გამყიდ-

ველთან, რომლის სპეციფიკური ბუნების მიუხედავად, იგი შეიძლება რელიზაციას დაექვემდებაროს და ეს გარემოება გამორიცხავს ზიანის არსებობას. საკასაციო სასამართლო უარყოფს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ვალდებულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელშეკრულების შეწყვეტის, ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის ინსტიტუტებს, რომელთა შორის უმთავრესი სხვაობა მხარეთა პოსტსახელშეკრულებო მდგომარეობაა. ხელშეკრულების/ვალდებულების შეწყვეტის უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მხარეები ინარჩუნებენ მიღებულ სიკეთეს, მაგალითად, ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება, იყოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება ან სხვა შესრულება (დანვრულებით იხ. სკ-ის 427-ე-454-ე მუხლები). რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლას, შეწყვეტისაგან განსხვავებით, ამ დროს კანონი ითვალისწინებს მხარეთა რესტიტუციის შესაძლებლობას (იხ. სკ-ის 352-ე-359-ე მუხლები) და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა გასვლის წინაპირობების შემოწმება (მოვალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ბრალეული დარღვევა). უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზემოხსენებული სამართლებრივი კონსტრუქციის გარდა, შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა შეცვლილი გარემოებები. ასეთ დროს, გასვლა დასაშვებია არა მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეული დარღვევის, არამედ სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას (თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა), შეცვლილი გარემოებების პირობებში კანონისმიერი მოთხოვნაა, რომ მხარეებმა სცადონ ხელშეკრულების მისადაგება ამ გარემოებებისადმი და, თუკი მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, მხარეებს უფლება აქვთ, გავიდნენ ხელშეკრულებიდან (სკ-ის 398.3 მუხლი: მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე). ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე

მსჯელობისას, რა საფუძველითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, შესა-
მონმებელია, ხომ არ არსებობს გასვლის გამომრიცხველი წინაპი-
რობები (რომელთა ჩამონათვალი მოცემულია თავად მატერიალურ
კანონმდებლობაში, მაგალითად, სკ-ის 358-ე, 442-ე-447-ე მუხლე-
ბი, ასევე, 316.2 მუხლი და სხვა). რაც შეეხება ხელშეკრულების
მოშლას, სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზი, რომლებიც
ხსენებულ საკითხს არეგულირებენ, იძლევა დასკვნის საფუძველს,
რომ მას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დატვირ-
თვა გააჩნია (მოშლის ინსტიტუტის რეალიზაცია თავისთავად უკავ-
შირდება სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – პირ-
თა რესტიტუციას, იხ მაგ: სკ-ის 491-ე, 492-ე მუხლები და სხვა).

1.3.6. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელეს ვალ-
დებულება არ დაურღვევია, მან ხელშეკრულებით გათვალისწინე-
ბული ოდენობით შეიძინა ნასყიდობის საგანი და ვადაში შესთავა-
ზა მოპასუხეს მისი მიღება, მყიდველმა ნასყიდობის საგანი ნაწი-
ლობრივ მიიღო კიდევ, თუმცა დარჩენილი ნაწილის მიღებაზე უა-
რი განაცხადა. ამ უკანასკნელს არც შესაგებელში მიუთითებია და
არც საქმის მასალებით არ არის დადგენილი იმგვარი წინაპირობე-
ბი, რომლებიც სასამართლოს მიიყვანდა დასკვნამდე, რომ ნასყი-
დობის ხელშეკრულება მოიშალა, უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ გამ-
ყიდველს ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის დათქმულ ვადაში
ეტაპობრივად უნდა მიენოდებინა, არ შეიძლება, შეფასდეს მხა-
რეთა გრძელვადიან ურთიერთობად (მაგ: ქირავნობა, იჯარა და
სხვა), თუმცა, საპირისპირო ვითარებაშიც კი, მყიდველს არ მიუ-
თითებია იმგვარ გარემოებებზე, რომლებიც სამოქალაქო კოდექ-
სის 399-ე მუხლის მიზნებისათვის ჩაითვლება გრძელვადიან ვალ-
დებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის პატივსაცემ მიზეზად.
საბოლოოდ, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მხარეთა შორის და-
დებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობს
მისი მოშლილად მიჩნევის საფუძველი.

1.3.7. ხელშეკრულების იურიდიული ძალმოსილების პირობებში
მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალა-
ქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს, რომელიც
გამყიდველის უფლებადამცავი ნორმაა და ადგენს მყიდველის ვალ-
დებულებას, მიიღოს საქონელი და გადაიხადოს ფასი. მართალია,
მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საქონლის მიღების დავალ-
დებულებას არ მოითხოვს, არამედ მხოლოდ ფასის ანაზღაურებაა
მოთხოვნის საგანი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე
მუხლის თანახმად, სასამართლო ამ ფარგლებს ვერ გასცდება, თუმ-
ცა, ეს გარემოება მოპასუხის მდგომარეობას არ გააუარესებს, რად-
განაც, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის შე-

საბამისად, მას არ დაუკარგავს უფლება, გამყიდველს მოსთხოვოს ქონების გადაცემა.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), თავად იღებს ახალ გადაწყვეტილებას: ვინაიდან მხარეთა შორის უდავოა, რომ მყიდველმა საქონლის დარჩენილი ნაწილის მიღებაზე უარი დაუსაბუთებლად განაცხადა, ამასთანავე, ამ საქონლის ღირებულება, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, 8 224,30 ლარია, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ამ თანხის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის –

657,95 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ა-ი 1-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:
 - 2.1. შპს „ქ-ოს“ (ს/კ №...) შპს „ა-ი 1-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაკისროს 8 224,30 ლარის გადახდა.
 - 2.2. შპს „ქ-ოს“ (ს/კ №...) შპს „ა-ი 1-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ ასევე დაკისროს პროცესის ხარჯის სახით 657,95 ლარის გადახდა.
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ვალდებულების შესრულება

კეთილსინდისიერების პრინციპი;

უფლების გოროტად გამოყენება

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1338-1376-2014

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. და მ. ხ-ეებმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე სს „ს. ბ-ის“ მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის ზიანის – 1 182 330 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2010 წლის 16 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №... ამ ხელშეკრულების ფარგლებში, 2010 წლის 16 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო „საკრედიტო ხელშეკრულება“ №..., რომლის საფუძველზე კლიენტზე გაიცა კრედიტი – 375 000 აშშ დოლარი, 50 თვის ვადით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვირთა: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინა, ფართით 107.77მ² (ს/კ: ...), რომელზეც რეგისტრირებული იყო შ. ხ-ის საკუთრების უფლება, აგრეთვე, ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთი, ფართით 537მ² (ს/კ: ...), რომელზეც რეგისტრირებული იყო მ. ხ-ის საკუთრების უფლება.

2011 წლისათვის ინდ. მენარმე შ. ხ-ის დავალიანებამ სს „ს. ბ-ის“ მიმართ შეადგინა 308 000 ლარი. აღნიშნული ვალდებულების რეფინანსირების მიზნით მოსარჩელემ დახმარება სთხოვა სს „ქ. ბ-ს“, რომელმაც თანხმობა გამოთქვა გადაეფარა 2010 წლის 16 დეკემბრის „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მენარმის შ. ხ-ის დავა-

ლიანება.

2012 წლის 29 ივნისს სს „ს. ბ-ს“ წარედგინა სს „ბ. ქ-უს“ საგარანტიო წერილი, რომლის თანახმადაც სს „ბ. ქ-უ“ კისრულობდა ვალდებულებას უზრუნველყოფის საგნების (იპოთეკით დატვირთული ქონების) მეორადი იპოთეკით დატვირთვის შემდეგ ინდ. მეწარმე შ. ხ-ის დავალიანების დაფარვის შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული საგარანტიო წერილისა, სს „ს. ბ-ის“ მიერ არ იქნა მიწოდებული რეკვიზიტები, რომელზეც უნდა ჩარიცხულიყო სს „ბ. ქ-უდან“ თანხა და, ამასთანავე, 2012 წლის 26 სექტემბერს სს „ს. ბ-ის“ განცხადებით დაიწყო სააღსრულებო წარმოება და იპოთეკით დატვირთული ქონება იძულებითი აუქციონის მეშვეობით შეძენილ იქნა სს „ს. ბ-ის“ მიერ, კერძოდ, მ. ხ-ის კუთვნილი უძრავი ნივთი შესყიდულ იქნა 486 600 ლარად (საიდანაც, 74 227 ლარი იყო დამატებითი ღირებულების გადასახადი) მაშინ, როდესაც, სს-მ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ მითითებული ქონება შეფასდა 983 000 აშშ დოლარად. ანალოგიურად გასხვისდა ბანკზე შ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ქონებაც, რომელიც შეფასებული იყო 174 000 ლარად და შეძენილ იქნა 127 020 ლარად.

მოსარჩელების მოსაზრებით, სს „ს. ბ-მა“ სს „ბ. ქ-უსგან“ არ მიიღო ვალდებულების შესრულება და ბოროტად გამოიყენა მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება, რითაც შ. ხ-ესა და მ. ხ-ეს მიადგათ ზიანი. მოსარჩელებმა ზიანის ოდენობად მიიჩნიეს სხვაობა აუქციონზე გაყიდული ქონების ღირებულებასა და მის საბაზრო ღირებულებას შორის, კერძოდ, მ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 983 000 აშშ დოლარს (1 621 950 ლარს), ხოლო აუქციონზე ბანკის მიერ იგი შეძენილ იქნა 486 600 ლარად. სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და აუქციონზე შეძენის ღირებულებას შორის შეადგენს 1 135 350 ლარს. ხოლო შ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება იძულების წესით რეალიზაციამდე შეადგენდა 174 000 ლარს, ხოლო ბანკის მიერ აუქციონზე შეძენილ იქნა 127 020 ლარად. ამიტომ სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და აუქციონზე შეძენის ღირებულებას შორის შეადგენს 46 980 ლარს, რაც საერთო ჯამში შეადგენს 1 135 350 ლარს + 46 980 ლარი = 1 182 330 ლარს.

მოსარჩელეთა მითითებით სს „ბ. ქ-უსგან“ ვალდებულების შესრულების მიღებისა და აუქციონზე ქონების გაყიდვისაგან თავის შეკავების შემთხვევაში, ზიანი არ დადგებოდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდგინილ შესაგებელში განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებ

ბის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობას.

ამასთან, მოპასუხის მითითებით, ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია მიზნად ისახავდა მხოლოდ ბანკის კანონიერი ინტერესების დაცვას, დასტურდება 2013 წლის 12 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ისათვის აუქციონის ფასად – 486 600 ლარად უძრავი ქონების უკან დაბრუნებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. და მ. ხ-ეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს შ. და მ. ხ-ეებმა და მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შ. და მ. ხ-ეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 16 დეკემბერს ერთის მხრივ, სს „ს. ბ-სა“ და, მეორეს მხრივ, ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №... ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 240 თვე, ხოლო თანხის მოცულობა და ვალუტა შეადგენდა 1,000,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში. სარგებლის ოდენობა განისაზღვრა 10%-დან 22%-მდე კრედიტებისათვის და 3%-დან 12%-მდე დოკუმენტური ოპერაციებისათვის.

გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 2010 წლის 16 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო „საკრედიტო ხელშეკრულება“ №..., რომლის საფუძველზე კლიენტზე გაიცა კრედიტი – 375,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, 50 თვის ვადით, წლიური 19% სარგებლის დარიცხვით და კრედიტის დაფარვის დროდ განისაზღვრა 2015 წლის 16 თებერვალი.

იმავე დღეს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინა, ფართით 107.77მ² (ს/კ: ...), რომელზეც რეგისტრირებული იყო შ. ხ-ის საკუთრების უფლება, და ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთი ფართით 537მ² (ს/კ:...), რომელზეც რეგისტრირებული იყო მ. ხ-ის საკუთრების უფლება.

მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ კლიენტის მხრიდან ბანკის წინაშე ნაკისრი საკრედიტო ვალდებულება დაირღვა.

2012 წლის 18 მაისს კრედიტორის, სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნის საფუძველზე, ინდ. მენარმე შ. ხ-ის მიმართ ნოტარიუს ი. შ-ის მიერ გაიცა ორი სააღსრულებო ფურცელი №... და №..., რომლებითაც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა 308,723.01 აშშ დოლარით და დადგინდა იპოთეკის საგნების: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩაზე მდებარე №... ბინის, ფართით 107.77მ² (ს/კ: ...) და ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთის, ფართით 537მ² (ს/კ:...) რეალიზაცია.

ნოტარიუს ი. შ-ის მიერ გაცემული №... და №... სააღსრულებო ფურცლების აღსრულების მიზნით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო სააღსრულებო წარმოება (სააღსრულებო საქმე ...) და 2012 წლის 25 მაისს მ. და შ. ხ-ეებს გაუგზავნა წინადადება გადანყვეტილების შესრულების შესახებ, რომლითაც მათ მიეცათ 7 დღის ვადა გადანყვეტილების ნებაცოვლობითი აღსრულებისათვის.

აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2012 წლის 6 სექტემბრის დასკვნით ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთის, ფართით 537მ² (ს/კ:...) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 983 000 აშშ დოლარით, რამაც შეფასების თარიღისათვის შეადგინა 1 622 000 ლარი, ხოლო ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინის, ფართით 107.77მ² (ს/კ: ...) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 105 000 აშშ დოლარით, რამაც შეფასების თარიღისათვის შეადგინა 174 000 ლარი.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 9 ოქტომბრის №A... განკარგულებით აუქციონში გამარჯვებულმა სს „ს. ბ-მა“ ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთი (ს/კ:...) შეიძინა 486 600 ლარად, ხოლო 2013 წლის 9 თებერვლის №A... განკარგულებით აუქციონში გამარჯვებულმა სს „ს. ბ-მა“ ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინა (ს/კ: ...) შეიძინა 127 020 ლარად.

2013 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულებით ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთი, ფართით 537მ² (ს/კ:...) ინდივი-

დულურმა მენარმე შ. ხ-ემ სს „ს. ბ-ისაგან“ გამოისყიდა 486 600 ლარად.

სს „ს. ბ-ის“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მოსარჩელებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, საქმის განმხილველმა სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა განმარტებით, სს „ს. ბ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება გამოიხატა იმაში, რომ სს „ს. ბ-მა“ რეაგირება არ მოახდინა სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 29 ივნისის წერილზე, რომლითაც ბანკი კისრულობდა ვალდებულებას, სრულად დაეფარა, 2010 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ინდ. მენარმე შ. ხ-ის დავალიანება, რასაც შედეგად მოჰყვა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების აუქციონზე რეალიზაცია და მოსარჩელებმა განიცადეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მოსარჩელები სასარჩელო მოთხოვნას ამყარებენ სწორედ 2012 წლის 29 ივნისის წერილზე, რომელსაც აფასებდნენ როგორც საგარანტიო წერილს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლის 29 ივნისის წერილით სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალის დირექტორმა სს „ს. ბ-ის“ კორპორაციული სესხების რეაბილიტაციის სამსახურის უფროსს აცნობა, რომ ი/ს „შ. ხ-ეს“, ი/ს „მ. ხ-ეს“, ი/ს „კ. ხ-ეს“, ი/ს „ბ. ხ-ეს“, ი/ს „ბ. შ-ს“ სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალში დაუმტკიცდათ სესხი, რომლითაც გათვალისწინებულია სს „ს. ბ-სა“ და ი/ს „შ. ხ-ეს“ შორის 2010 წლის 16 დეკემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული კრედიტების დაფარვა. წერილის თანახმად, სესხის გაცემის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა უძრავი ქონების მეორადი იპოთეკით დატვირთვა სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალის სასარგებლოდ. სს „ბ. ქ-უს“ დირექტორმა მოითხოვა სს „ს. ბ-ს“ ეცნობებინა მისთვის ი/ს „შ. ხ-ის“ ჯამური საკრედიტო დავალიანება. ამდენად, განმცხადებელი გამოთქვამდა მზადყოფნას საკრედიტო დავალიანების დაზუსტებისა და უძრავი ნივთების მეორადი იპოთეკებით დატვირთვის შემდეგ გაცემა კრედიტი სს „ს. ბ-ის“ წინაშე არსებული საკრედიტო დავალიანების დაფარვის მიზნით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 29 ივნისის წერილი არ წარმოადგენდა საბანკო გარანტიას. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება პრინციპალსა და გარანტს შორის. საბანკო გარანტიისათვის, ისევე როგორც ყველა ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის, აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირო-

ბებზე (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი), რომლებიც შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით ან კანონით. ჩვეულებრივ, მხარეები ჯერ თანხმდებიან, მაგალითად: გარანტიით უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე; გარანტიის მოქმედების ვადაზე; გარანტიის საზღაურზე; დოკუმენტების ჩამონათვალზე, რაც უნდა ბენეფიციარმა წარუდგინოს გარანტს საგარანტიო თანხის მოთხოვნის დროს, რის შემდეგაც გარანტი საგარანტიო წერილით აცნობებს ბენეფიციარს უკვე შეთანხმებული გარანტიის მოქმედების პირობებს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სს „ბ. ქ-უსა“ და ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს შორის საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გაფორმებას. შესაბამისად, არც 2012 წლის 29 ივნისის წერილი შეიცავდა ინფორმაციას საბანკო გარანტიის არსებით პირობებზე და ამდენად, მითითებული წერილი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისა იყო. შესაბამისად, სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 29 ივნისის წერილი არ ავალდებულებდა კრედიტორს სს „ს. ბ-ს“ შეენყვიტა მოვალე შ. ხ-ის მიერ საკრედიტო ვალდებულებების დარღვევის გამო დაწყებული, კანონით და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცედურები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილის წარდგენა არ გულისხმობდა ვალდებულების შესრულებას, რადგან წერილი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იყო და ადასტურებდა მოსარჩლეებისათვის სამომავლოდ სესხის გაცემის შესაძლებლობას კონკრეტული პირობის არსებობის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული წერილის შედგენის დროისათვის – 2012 წლის 29 ივნისს, უკვე გაცემული იყო სააღსრულებო ფურცლები 2010 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების იძულებით შესრულების თაობაზე და დაწყებული იყო შესაბამისი სააღსრულებო წარმოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ წერილის წარდგენიდან უძრავი ნივთების აუქციონზე გასხვისებამდე (26.09.2012წ. და 18.02.2013წ.) იყო დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოვალე შ. ხ-ეს, რომელსაც ჯერ კიდევ 2012 წლის 25 მაისს აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წერილით ეცნობა მისი დავალიანების ჯამური ოდენობა, შეეძლო ახალი კრედიტის აღება და სს „ს. ბ-ის“ წინაშე არსებული საკრედიტო დავალიანების დაფარვა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ს. ბ-ს“ ჰქონდა უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე

რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება. ეს ვერ შეფასდებოდა ვერც უფლების ბოროტად გამოყენებად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სს „ს. ბ-ის“ მხრიდან, რომელიც არის კომერციული ბანკი ანუ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტი), ანუ, სპეციალურ ზედამხედველობას დაქვემდებარებული და თავისი კრედიტორების წინაშე ვალდებული სუბიექტი, თავისი მოთხოვნის კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში რეალიზება არ შეიძლება შეფასდეს მარტოოდენ მსესხებლისათვის ზიანის მიყენების მიზნით განხორციელებულ ქმედებად. იმის მტკიცებულება, რომ სს „ს. ბ-ი“ ცდილობდა მარტოოდენ მსესხებლისათვის ზიანის მიყენებას, საქმეში წარმოდგენილი არ არის. უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული აპელანტის მითითება კრედიტორის არაკეთილსინდისიერებაზეც.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 29 ივნისის წერილი არ წარმოადგენდა არც სს „ბ. ქ-უზე“ ინდივიდუალური მენარმე შ. ხ-ის ვალის გადაკისრებას. საქმეში არ მოიპოვებოდა ვალის გადაკისრების თაობაზე კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის შეთანხმება, რაც სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულ პირად აქცევდა ახალ მოვალეს. რაც შეეხება ვალის გადაკისრების სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლით განმტკიცებულ მოდელს, ასეთი შეთანხმება თავდაპირველ მოვალესა (ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს) და ახალ მოვალეს (სს „ბ. ქ-უს“) შორის რომც შემდგარიყო, გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებული იქნებოდა მოთხოვნის მფლობელის (სს „ს. ბ-ი“) თანხმობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 408-ე და 412-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო სს „ს. ბ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის არსებობა. არ არსებობდა სს „ს. ბ-ისათვის“ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

აპელანტი სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთე-

ბისას უთითებდა, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კრედიტორის პასუხისმგებლობას ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ვალდებულების შესრულება არ ხდება კრედიტორის ბრალით, მაგალითად, 390-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილება ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული ნაწამდვრები. კრედიტორის მართლზომიერი უფლების, სანივთო უზრუნველყოფის ღონისძიებით დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა, რეალიზება არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო კრედიტორის პასუხისმგებლობის საფუძვლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინება შ. და მ. ხ-ებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და მოცემულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორების მითითებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ ამომწურავად არ იმსჯელა ყველა იმ სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გამოყენებულიყო. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის დებულებაზე. აღნიშნული დებულების თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამგვარად, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, კანონის ძალით წარმოიშობა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის დარღვევაც სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

კასატორების მითითებით, შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რადგან სასამართლომ არ შეაფასა კონკრეტულ შემთხვევაში არსებული შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს რაიმე ვალდებულება არ დაურღვევია. მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის არარსებობაზე მითითება იმ პირობებში, როდესაც საქმის განმხილველ სასამართლოს არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად წარმოშობილი კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობაზე, დაუსაბუთებელია.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ იპოთეკარს, იპოთეკის ხელშეკ-

რულებიდან გამომდინარე, აქვს განსაკუთრებული წვდომა მოვალისა და მესაკუთრის უძრავი ქონების მიმართ. ამდენად, იპოთეკარი განსაკუთრებით უნდა შეეცადოს, რომ არ დააზიანოს მოვალისა და მესაკუთრის ქონებრივი მდგომარეობა, თუ ამით საფრთხე არ ექმნება მის უზრუნველყოფილ მოთხოვნას. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობა ასევე შეიძლება ავალდებულებდეს ხელშეკრულების მეორე მხარეს, დაიცვას პირველი მხარის ქონებრივი მდგომარეობის მთლიანობის ინტერესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული დებულების არსებობა, რომელიც წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 241-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის ანალოგს, ცხადყოფს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობა არა მხოლოდ სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებით შემოიფარგლება, არამედ შესრულების გარდა, სხვა ვალდებულებებსაც შეიძლება შეიცავდეს, რომელიც მხარეთა შორის შეიძლება არც ყოფილიყო კატეგორიულად შეთანხმებული. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი) გამოვლენას. განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტულ ვალდებულებით ურთიერთობაზე, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებებსა და სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებზე. გასაჩივრებაში განჩინებაში საუბარი არ არის ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ასპექტებზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

კასატორების მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს თავისი ვალდებულება არ შეუსრულებია იმით, რომ სს „ს. ბ. ს.“ წარუდგინა შესაბამისი წერილი სს „ბ. ქ-უსაგან“. აღნიშნული გარემოება მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, რადგანაც შესრულება შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ შესაბამისი სასესხო დავალიანების სრულად დაფარვა (რაც უდავოდ არ მომხდარა) და არა უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების წარმოდგენა.

კასატორებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული წერილის საფუძველზე სს „ს. ბ. ს.“ ჰქონდა შესაძლებლობა, მოეთხოვა ვალდებულების შესრულება სს „ბ. ქ-უსაგან“, რადგანაც აღნიშნულ წერილში სს „ბ. ქ-უ“ ცალსახად კისრულობდა ვალდებულებას, სრულად დაეფარა მოსარჩელის დავალიანება „ს. ბ. ს.“ მიმართ. ამისათვის ამ უკანასკნელს უნდა მიეწოდებინა სს „ბ. ქ-უსათვის“ მოსარჩელის შესაბამისი საბანკო რეკვიზიტები და (თუნდაც კონკლუდენტურად) წე-

რილობით მოეთხოვა თანხის გადარიცხვა. სს „ს. ბ-ის“ მხრიდან მოსარჩელის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და „ბ. ქ-უსაგან“ დავალიანების დაფარვის წერილობითი მოთხოვნა მოპასუხისათვის არ შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ ხარჯთან ან დისკომფორტთან, მით უფრო, რაიმე რისკთან. შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე კი, წარმოიშობოდა იმისი შესაძლებლობა, რომ სრულად დაკმაყოფილებულიყო სს „ს. ბ-ის“ მიმართ არსებული დავალიანება, აღარ წარმოშობილიყო ზედმეტი ხარჯები აღსრულებასთან დაკავშირებით და ამავე დროს, მოსარჩელეს შეუნარჩუნებოდა საკუთრებაც. აღნიშნული შესაძლებლობა კონკრეტულ მომენტში სს „ს. ბ-ისაგან“ აღქმული უნდა ყოფილიყო, როგორც სრულად რეალური და განხორციელებადი, რადგან ვალდებულებას კისრულობდა ასევე იმ დროისათვის რენომირებული ბანკი და არა უცნობი, რეპუტაციის არმქონე იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ასევე, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დროისათვის არ არსებობდა რაიმე საფუძველი, რომელიც მიუთითებდა სს „ბ. ქ-უს“ გადახდისუუნარობაზე, მოსალოდნელ გადახდისუუნარობაზე ან არაკეთილსინდისიერებაზე.

ამგვარად, კასატორების მოსაზრებით, სრულად გაუგებარია სს „ს. ბ-ის“ მოქმედება (კერძოდ, სს „ბ. ქ-უს“ წერილის სრული უგულებელყოფა). რთულია მოპასუხის ქმედებაში რაიმე რაციონალური მოტივის მოძებნა, მით უმეტეს, რომ შესაბამისი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მსგავსი ან ანალოგიური წერილების წარდგენა საქართველოში არსებულ ბანკთაშორის ურთიერთობებში მიღებული პრაქტიკაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საფუძველიანი ეჭვი, რომ სს „ს. ბ-მა“ წინასწარი განზრახვით რეაგირება არ მოახდინა სს „ბ. ქ-უს“ წერილზე ამ უკანასკნელი ბანკის მიმართ იმ დროისათვის ანუ, პარლამენტის 2012 წლის არჩევნებამდე პერიოდში არსებული პოლიტიკური დევნის მიზეზით, რითაც საკუთარი სახელშეკრულებო პარტნიორი (მოსარჩელე) რაიმე საპატიო მიზეზის ან გამამართლებელი საფუძვლის გარეშე, ჩააყენა ურთულეს მდგომარეობაში.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ მართალია, ვალდებულების შესრულება მოვალის რისკის სფეროში შედის და იგი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს კრედიტორისაგან თავისი ვალდებულების შესრულებისათვის ხელშეწყობა, თუმცა კრედიტორისათვის ამგვარი დახმარება არანაირ რისკებთან (ზედმეტ ხარჯებთან, სხვა რაიმე ნაკლის წარმოშობასთან) არ იყო დაკავშირებული და მისთვის შესაბამისი ქმედება შესაძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში, კრედიტორი, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, გაენია ამგვარი დახმარება (ანუ, გაეადვილებინა, შე-

საძლებელი გაეხადა მოვალისათვის შესრულება). წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი ეკარგება სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის დებულებას, რომ ხელშეკრულების მხარეები კანონის ძალით ვალდებული არიან, მოიტყენონ ისე, რომ საკუთარი კანონისმიერი ინტერესების შეუღალხავად, თავის მხრივ, არ შელახონ მეორე მხარის ქონებრივი ინტერესებიც. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმის ანალოგს. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მოიპოვება მის მიერ დადგენილი ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელების შემთხვევები. კონკრეტული სიტუაციისათვის საინტერესოა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილება (BGH Urteil vom 3.2.2004 –XI ZR 398/02 LG Berlin). აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად: მსესხებელს გააჩნია გამსესხებლის წინააღმდეგ უზრუნველყოფის საშუალების შეცვლის მოთხოვნის უფლება თუ აღნიშნული ცვლილება არ წარმოშობს გამსესხებლის მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის რაიმე საფრთხეს, გამსესხებლის რისკს ისევე ფარავს, როგორც პირველადი უზრუნველყოფა და მსესხებელი თანახმაა უზრუნველყოფათა გაცვლით გამოწვეული ყველა ხარჯი თავად დაფაროს. აღნიშნული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ კონკრეტულ პირს (კრედიტორს) კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ვალდებულება, დაეხმაროს მოვალეს, რათა კრედიტორის ინტერესების შეუღალხავად მოხდეს მოვალის ქონებრივი მთლიანობის ინტერესის გათვალისწინება. აღნიშნული საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც ხელშეკრულების ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის ქონებაზე ისეთი წვდომის შესაძლებლობა, როგორც ეს იპოთეკარს აქვს დატვირთულ ქონებასთან დაკავშირებით. იპოთეკარის სამართლებრივად დაცულ ინტერესს წარმოადგენს საკუთარი უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. იპოთეკა ემსახურება მხოლოდ ამ ინტერესს, ხოლო თუ არსებობს აღნიშნული ინტერესის დაკმაყოფილების სხვა თანაბრად ეფექტური საშუალება (რომელიც მოვალისათვის ნაკლებად მტკივნეულია, ხოლო კრედიტორისათვის ეკვივალენტურია), მაშინ უნდა მოხდეს მოვალის ინტერესის გათვალისწინება, რადგან კრედიტორის/იპოთეკარის ინტერესი საკმარისად არის გათვალისწინებული. კასატორებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ პროცესზე დააზუსტა საკუთარი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნა, რომ საქმეში არსებული სს „ბ. ქ-უს“ საგარანტიო წერილის წარდგენა, თავის მხრივ,

მართალია, არ წარმოადგენდა სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულებას, თუმცა სს „ს. ბ-ს“ გააჩნდა შესაბამისი ვალდებულება, გულისხმიერად მოპყრობოდა მოვალის ქონებას. სასამართლოს უნდა ემსჯელა, იყო თუ არა მოსარჩელის პოზიციის და აღნიშნული პოზიციის დასაბუთება მართებული.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ საქმეში არ არსებობდა გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება და განმარტა, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც, ასე რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადების ერთადერთ სათანადო მტკიცებულებად შესაბამისი ხელშეკრულების ტექსტი ვერ მიიჩნევა. სს „ბ. ქ-უს“ წერილიდან გამომდინარეობს, რომ სს „ბ. ქ-უს“ მიერ გასაცემი კრედიტის დანიშნულებას წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მოპასუხის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა. ამგვარად, თვითონ წერილიდანაც ნათელია, რომ გარანტი არა საკუთარი ინიციატივით, არამედ პრინციპალთან შეთანხმების საფუძველზე კისრულობდა წერილობით ვალდებულებას ბანკის წინაშე. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. შესაბამისად, მითითება, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის არსებული ხელშეკრულების არსებობა არ მტკიცდება, მოკლებულია საფუძველს, რადგან თავად სს „ბ. ქ-უს“ წერილი ადგენს მოსარჩელის, ანუ პრინციპალის და სს „ბ. ქ-უს“, ანუ გარანტის გამოვლენილი შესაბამისი ნების დადასტურებას. აღნიშნული ნების გამოვლენა კი, მათ შორის სწორად მოპასუხის მიმართ მოსარჩელის სასარგებლოდ შესაბამისი ქმედების განხორციელებასაც მოიცავდა.

კასატორების მოსაზრებით, საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, არსებობდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობები. სასამართლოს მითითებით, საბანკო გარანტიის არსებით პირობას წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმება გარანტიის მოქმედების ვადაზე. ამგვარი წინაპირობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 879-ე და შემდგომი მუხლებიდან. საბანკო გარანტია წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებები, როგორც წესი, არ გაიცემა რაიმე კონკრეტული ვადით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საბანკო გარანტიის არსებით წინაპირობას წარმოადგენს შეთანხმება პრინციპალსა და გარანტს შორის საზღაურის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება, მართალია, გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუმცა კონკრეტული დებულება არ შეიძლე-

ბა იყოს მიჩნეული იმპერატიული ხასიათის ნორმად. მაგალითისათვის, აღნიშნულზე მეტყველებს პარალელი ნარდობის ხელშეკრულების მოწესრიგებასთან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 630-ე მუხლის პირველ ნაწილთან, რომლის შინაარსის თანახმად, შეთანხმება საზღაურის შესახებ არ წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების არსებით პირობას. იგივე ითქმის დავალების ხელშეკრულების მოწესრიგებაზე, კერძოდ კი, სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ პრინციპალისა და გარანტის ურთიერთობა ზემოხსენებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობების მსგავსია, შეთანხმება საზღაურის შესახებ არ შეიძლება იყოს მიჩნეული საბანკო გარანტიის ხელშეკრულების არსებით პირობად.

სამაგიეროდ, კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობს კანონით გათვალისწინებული და ასევე სასამართლოს მიერ თავის გადწყვეტილებაში არსებით პირობად მიჩნეული ყველა წინაპირობა – სს „ბ. ქ-უ“ წარმოადგენს სათანადო გარანტს, სს „ბ. ქ-უ“ კისრულობს წერილობით ვალდებულებას განსაზღვრული თანხის ფარგლებში დაფაროს მოსარჩელის, ანუ პრინციპალის დავალიანება მოპასუხის, ანუ ბენეფიციარის მიმართ, სს „ბ. ქ-უს“ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ამ უკანასკნელსა და მოსარჩელეს შორის არსებობდა შესაბამისი შეთანხმება, რომელიც მოიცავდა კონკრეტული საგარანტიო თანხის გაცემას, ასევე ბენეფიციარს, ანუ მოპასუხეს წერილით მოეთხოვა მოსარჩელის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა.

ამგვარად, კასატორებმა მიიჩნიეს, რომ არსებობს საბანკო გარანტია სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლოს მითითება, რომ კონკრეტული წერილი წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციული სახის დოკუმენტს არის მცდარი და დაუსაბუთებელი. ინფორმაციული ხასიათის არის დოკუმენტი, რომლის მთავარი ფუნქცია ან დატვირთვა, დოკუმენტის გაცემის განზრახვით, მდგომარეობს მხოლოდ დოკუმენტის მიმღების ინფორმირებაში. კონკრეტულ შემთხვევაში კი, სს „ბ. ქ-უს“ მიზანს არ წარმოადგენდა მოპასუხის მხოლოდ ინფორმირება, არამედ მან იკისრა შესაბამისი ვალდებულება, რათა მომხდარიყო მიზნობრივი სესხის გაცემა და სასესხო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა მოსარჩელესთან.

კასატორების მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი, 316-ე მუხლის მეორე ნაწილი და 394-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით შ. და მ. ხ-ეების საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე და 391-ე მუხლების შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

2015 წლის 4 მარტს კასატორებმა წარმოადგინეს განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ და მიიჩნევს, რომ განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველი, ხოლო საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

I. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

ამრიგად, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება არ ითვლება სარჩელის შეცვლად და, შესაბამისად, დასაშვებია საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მაშინ როცა, სარჩელის საფუძვლის შეცვლა დასაშვებია საქმის წინასწარი განხილვის დასრულებამდე, ხოლო დასრულების შემდეგ დაიშვება მხოლოდ მოპასუხის თანხმობით.

იმავედროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე და 406-ე მუხლების შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია. იმავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-

განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტი-
ლებებში ან სხდომათა ოქმებში (გარდა კანონით დადგენილი გამო-
ნაკლისებისა).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ
დავის საკასაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე მოპასუხისა-
გან 1 182 330 ლარის ნაცვლად 83 951.55 აშშ დოლარის მოთხოვნით
მან მხოლოდ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა ისე, რომ
არ შეუცვლია სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნა-
წილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელში უნდა აღინიშნოს
კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარ-
ჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. უზენაესმა სასამართლომ 2009
წლის 6 ივლისის №ას-221-547-09 განჩინებით განმარტა, რომ „მი-
თითებული დანაწესით გათვალისწინებული გარემოებები და ფაქ-
ტები ქმნიან სარჩელის საფუძველს და შეადგენენ მტკიცების სა-
განს. მხარე, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თვი-
თონვე განსაზღვრავს თუ რომელ კონკრეტულ ფაქტს დაამყაროს
თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ამასთან, უფლებამოსილია, თავის
სასარჩელო მოთხოვნა დაამყაროს როგორც ერთ, ისე რამდენიმე
იურიდიულ ფაქტს, რაც დამოკიდებულია თვით სასარჩელო მოთ-
ხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი ხა-
სიათისაა და იგი უნდა დადასტურდეს იურიდიული ფაქტებით, რომ-
ლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა გარკვეულ შედეგებს
უკავშირებს. სარჩელის საფუძველი იმ ფაქტების ერთობლიობაა,
რომლებიც ასაბუთებენ, ფაქტობრივად ამართლებენ მოსარჩელის
სასარჩელო მოთხოვნას, ამდენად, სარჩელის საფუძვლის შეცვლა
იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას ნიშნავს, რომლებსაც მო-
სარჩელე თავის სარჩელში თავდაპირველად უთითებდა და სარჩე-
ლის დაკმაყოფილებას ითხოვდა“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში რო-
გორც სარჩელით, ისე სააპელაციო საჩივრით, და პირველი ინსტან-
ციისა და სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას, მო-
სარჩელე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა შემდეგ
ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით:

აპოთეკით დატვირთული, სარეალიზაციოდ გადატანილი ორი
უძრავი ნივთი სააღსრულებო ბიუროს მიერ შეფასებულ იქნა 983
000 აშშ დოლარად (983 000 აშშ დოლარი = 1 621 950 ლარი) და 174
000 ლარად, რაც ჯამში შეადგენს 1 795 950 ლარს. მოცემული უძ-
რავი ნივთები ბანკის მიერ აუქციონზე შეძენილ იქნა შესაბამისად
486 600 ლარად და 127 020 ლარად, რაც ჯამში შეადგენს 613 620
ლარს. ქონების შეფასებისა და აუქციონზე რეალიზაციის ფასს შო-

რის სხვაობა შეადგენს 1 182 330 ლარს, რაც, მოსარჩელეთა განმარტებით, წარმოადგენდა მიყენებული ზიანის ოდენობას.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებით კი ზიანის ოდენობა გამოანგარიშებულია სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. კერძოდ, განცხადების შესაბამისად, კასატორის ფულადი დავალიანება შეადგენდა 314 000 აშშ დოლარს. შ. ხ-ის მიერ სს „ს. ბ-ის“ მიერ აუქციონზე შეძენილი ერთი უძრავი ნივთის უკან გამოსყიდვა განხორციელდა 486 000 ლარად (გამოსყიდვის პერიოდში არსებული კურსის მიხედვით 293 132.55 აშშ დოლარი). მეორე უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 104 819 აშშ დოლარს. შესაბამისად, უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებასა და ფულად დავალიანებას შორის არსებული განსხვავება შეადგენს მიყენებული ზიანის ოდენობას – 83 951.55 აშშ დოლარს.

ამრიგად, სარჩელის მიხედვით ზიანი წარმოადგენს:

(ა) სხვაობას უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებასა და იძულებით აუქციონზე რეალიზაციის ფასს შორის,

ხოლო განცხადების მიხედვით ზიანი წარმოადგენს:

(ბ) სხვაობას უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებასა და მოვალის ფულადი ვალდებულების ოდენობას შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებით (სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ) შეცვალა სარჩელის ერთი საფუძველი მეორით, რის შესაძლებლობასაც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLVIII თავი არ შეიცავს ამა თუ იმ ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას, უფლებამოსილია, გამოიყენოს ურთიერთობის მარეგულირებელი ის ნორმა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის განხილვა-გადანყევტისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლო სარჩელს (განცხადებას) დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ არ არსებობს მისი წარმოებაში მიღების ესა თუ ის პირობა, ამასთან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – საქმის წარმოების შეწყვეტა ან განცხადების განუხილველად დატოვება გამომდინარეობს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორების განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველი.

II. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 16 დეკემბერს ერთის მხრივ, სს „ს. ბ-ს“, როგორც „ბანკსა“ და, მეორეს მხრივ, ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს, როგორც „კლიენტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №... ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 240 თვე, ხოლო თანხის მოცულობა და ვალუტა შეადგენდა 1,000,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში. სარგებლის ოდენობა განისაზღვრა 10%-დან 22%-მდე კრედიტებისათვის და 3%-დან 12%-მდე დოკუმენტური ოპერაციებისათვის.

გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 2010 წლის 16 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო „საკრედიტო ხელშეკრულება“ №..., რომლის საფუძველზე კლიენტზე გაიცა კრედიტი – 375,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, 50 თვის ვადით, წლიური 19% სარგებლის დარიცხვით და კრედიტის დაფარვის დროდ განისაზღვრა 2015 წლის 16 თებერვალი.

იმავე დღეს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინა, ფართობით 107.77მ² (ს/კ: ...), რომელზეც რეგისტრირებული იყო შ. ხ-ის საკუთრების უფლება, და ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთი ფართობით 537მ² (ს/კ:...), რომელზეც რეგისტრირებული იყო მ. ხ-ის საკუთრების უფლება.

მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ კლიენტის მხრიდან ბანკის წინაშე ნაკისრი საკრედიტო ვალდებულება დაირღვა.

2012 წლის 18 მაისს კრედიტორის, სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნის საფუძველზე, ინდ. მენარმე შ. ხ-ის მიმართ ნოტარიუს ი. შ-ის მიერ გაცაა ორი სააღსრულებო ფურცელი №... და №..., რომლებითაც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა 308,723.01 აშშ დოლარით და დადგინდა იპოთეკის საგნების: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩაზე მდებარე №... ბინის, ფართით 107.77მ² (ს/კ: ...) და ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთის, ფართით 537მ² (ს/კ:...) რეალიზაცია.

ნოტარიუს ი. შ-ის მიერ გაცემული №... და №... სააღსრულებო ფურცლების აღსრულების მიზნით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო სააღსრულებო წარმოება (სააღსრულებო საქმე №A...) და 2012 წლის 25 მაისს მ. და შ. ხ-ეებს გაუგზავნა წინადადება გადანყვეტილების შესრულების შესახებ, რომლითაც მათ მიეცათ 7 დღის ვადა გადანყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის.

2012 წლის 29 ივლისს სს „ს. ბ-ს“ წერილობით მიმართა სს „ქ. ბ-მა“, რომლითაც აცნობა, რომ მოვალე ინდ. მენარმე შ. ხ-ეს სხვა პირებთან ერთად სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალში დაუმტკიცდა სესხი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა 2010 წლის 16 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს შორის გაფორმებული „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №... ხელშეკრულების ფარგლებში, შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემული კრედიტების დაფარვა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2012 წლის 6 სექტემბრის დასკვნით ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთის, ფართით 537მ² (ს/კ: ...) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 983 000 აშშ დოლარით, რამაც შეფასების თარიღისათვის შეადგინა 1 622 000 ლარი, ხოლო ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინის, ფართით 107.77მ² (ს/კ:) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 105 000 აშშ დოლარით, რამაც შეფასების თარიღისათვის შეადგინა 174 000 ლარი.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 9 ოქტომბრის №A... განკარგულებით აუქციონში გამარჯვებულმა სს „ს. ბ-მა“ ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №5-ში მდებარე №2 ნაკვეთი (ს/კ:... შეიძინა 486 600 ლარად, ხოლო 2013 წლის 9 თებერვლის №A... განკარგულებით აუქციონში გამარჯვებულმა სს „ს. ბ-მა“ ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №88 ბინა (ს/კ: ...) შეიძინა 127 020 ლარად.

2013 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულებით ქ. ქუთაისში, კ. გ-

ას ქ.№...-ში მდებარე №2 ნაკვეთი, ფართით 537მ² (ს/კ:...) ინდივიდუალურმა მენარმე შ. ხ-ემ სს „ს. ბ-ისაგან“ გამოისყიდა 486 600 ლარად.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია.

კასატორების ძირითადი პრეტენზია იმ ზიანის ანაზღაურებაში მდგომარეობს, რომელიც კასატორების მოსაზრებით, გამოიწვია აუქციონზე გაყიდული უძრავი ქონების რეალიზაციის ფასსა და ამავე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ, სახელდობრ, კასატორების მოსაზრებით, კრედიტორმა რეაგირება არ მოახდინა მესამე პირისგან ვალდებულების შესრულების შეთავაზებაზე და ბოროტად გამოიყენა მის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება, რამაც მოსარჩელებს მიაყენა მნიშვნელოვანი ქონებრივი დანაკლისი.

საკასაციო საჩივრის პრეტენზიის (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რა სამართლებრივი საშუალებები გააჩნდა ბანკს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და, მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, იყო თუ არა ბანკი ვალდებული გვერდი აევლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციისათვის.

ბანკისა და კლიენტის ურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში ეფუძნებოდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას. სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით; ხოლო იმავე კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამრიგად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მთავარი მიზნია სასყიდლიანი კრედი-

ტის სახით მსესხებლისათვის ფულის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო შემდეგ მისგან სარგებელთან ერთად იმავე სახისა და რაოდენობის ფულის მიღება. იპოთეკა უძრავ ნივთებზე არის მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, ხოლო იპოთეკის საგნის რეალიზაცია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ვალდებულების შესრულება არ მოხდება. მისი საქმიანობის არსიდან გამომდინარე, კომერციული ბანკის, როგორც საკრედიტო დაწესებულების უპირველეს ინტერესს წარმოადგენს ფულის, და არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში მიღება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ:

2012 წლის 29 ივლისს, მას შემდეგ, რაც სს „ს. ბ-სა“ და ინდ. მენარმე შ. ხ-ეს შორის დადებული „საკრედიტო ხელშეკრულების“ საფუძველზე გაცემულმა კრედიტმა 2012 წლის 18 მაისს შეიძინა „პრობლემურის“ სტატუსი და ბანკმა დაიწყო სააღსრულებო მოქმედებები, სს „ს. ბ-ს“ წერილობით მიმართა სს „ქ. ბ-მა“, რომლითაც აცნობა, რომ მოვალე ინდ. მენარმე შ. ხ-ეს სხვა პირებთან ერთად სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალში დაუმტკიცდა სესხი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა 2010 წლის 16 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და ინდივიდუალურ მენარმე შ. ხ-ეს შორის გაფორმებული „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №... ხელშეკრულების ფარგლებში, შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემული კრედიტების დაფარვა.

წერილში აღნიშნული იყო, რომ სესხის გაცემის წინაპირობას წარმოადგენდა იმჟამად სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №... ბინისა (ს/კ: ...) და ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთის (ს/კ:...) მეორადი იპოთეკით დატვირთვა.

ამავე წერილით სს „ს. ბ-ს“ ეთხოვა სს „ბ. ქ-უსათვის“ ეცნობებინა რამდენს შეადგენდა ინდივიდუალური მენარმის შ. ხ-ის ჯამური საკრედიტო დავალიანება სს „ს. ბ-ის“ მიმართ და განემარტა, რომ სს „ს. ბ-ის“ წინაშე სს „ბ. ქ-უ“ იღებდა ვალდებულებას, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მეორადი იპოთეკით დატვირთვის შემდგომ, განეხორციელებინა ინდივიდუალური მენარმის, შ. ხ-ის საკრედიტო დავალიანების – დაახლოებით 314 000 აშშ დოლარის (რომელიც ექვემდებარებოდა დაზუსტებას სს „ს. ბ-ის“ მიერ დავალიანების ზუსტი ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ) სრულად დაფარვა.

ამასთან, სს „ს. ბ-ს“ ეთხოვა მიეწოდებინა სს „ბ. ქ-უსათვის“ ინდ. მენარმე შ. ხ-ის ანგარიშის ნომერი და წერილობითი დადასტურება

იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხული თანხით მთლიანად დაიფარებოდა დავალიანება და იპოთეკისაგან გათავისუფლდებოდა უძრავი ქონება.

უდავო გარემოებაა, რომ 2012 წლის 29 ივლისის წერილზე სს „ბ. ქ-ს“ სს „ს. ბ-ისაგან“ პასუხი არ მიუღია.

პრაქტიკულად, ორ საკრედიტო დაწესებულებას შორის კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სს „ს. ბ-ის“ წინაშე ინდ. მენარმე შ. ხ-ის ფულადი ვალდებულების შესრულებას და, შესაბამისად, მოსარჩევეების ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას, არ შედგა.

აღნიშნულის სანაცვლოდ გაგრძელდა იძულებითი აღსრულების პროცესი, რომელიც დაწყებული იყო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე, და რომლის შედეგადაც აუქციონში გამარჯვებულმა სს „ს. ბ-მა“ ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე №... ბინა შეიძინა 127 020 ლარად, ხოლო ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქ. №...-ში მდებარე №2 ნაკვეთი – 486 600 ლარად.

როგორც აღინიშნა, კასატორების პრეტენზია იმ ზიანის არსებობას ემყარება, რომელიც მოვალეს მიადგა კრედიტორის მხრიდან მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შეთავაზების უპასუხოდ დატოვებით და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლების ბოროტად გამოყენებით.

კრედიტორის ქმედების მართლზომიერების შეფასების გზამკვლევის მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს იმ ალტერნატივის შეფასება, რაც სს „ბ. ქ-უს“ წერილით იქნა შეთავაზებული კრედიტორისათვის. სახელდობრ, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს კრედიტორისათვის მიწოდებული შეთავაზების მიზნობრიობა და რეალურობა (სანდოობა), გამომდინარე იქიდან, რომ ხელშემკვერელ მხარეთა შორის, მით უფრო, საკრედიტო დაწესებულებასა და კლიენტს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება ყოველთვის უკავშირდება პრეზუმფციას, რომ ვალდებულება შესრულდება დადგენილი წესის დაცვით.

ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი იყო ის ვითარება, რომ საკრედიტო დაწესებულება სს „ბ. ქ-უ“, რომლისგანაც მიიღო კრედიტორმა შეთავაზება ვალდებულების შესრულების შესახებ, წარმოადგენდა ქართულ საკრედიტო სივრცეში დამკვიდრებულ, რენომირებულ იურიდიულ პირს და არა გაურკვეველი რეპუტაციის მქონე პირს, რომლის წინადადებაც შესაძლებელია აღქმულიყო ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისათვის ხელშემშლის ანდა აღსრულების გაჭიანურების მცდელობად.

ხოლო რაც შეეხება თავად წერილს, მისი შინაარსით ერთმნიშვნელოვნად ვლინდებოდა ერთი საკრედიტო დაწესებულების (სს

„ბ. ქ-უს“) მზადყოფნა სრულად დაფარულიყო მეორე საკრედიტო დაწესებულების (სს „ს. ბ-ის“) მიმართ ინდ. მეწარმე შ. ხ-ის არსებული დავალიანება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე წერილით კრედიტორს ეცნობა, რომ ინტერესის სფეროში შედიოდა შ. და მ. ხ-ეების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანივთო ვალდებულებისაგან გათავისუფლება, პრაქტიკულად, მისი რეალიზაციის თავიდან აცილება.

ამრიგად, სს „ბ. ქ-უს“ შეთავაზება იყო რეალური და კონკრეტული მიზნის მქონე, კერძოდ, მიზნად ისახავდა სს „ს. ბ-ის“ წინაშე ინდ. მეწარმე შ. ხ-ის ფულადი ვალდებულების შესრულებას და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თავიდან აცილებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

კეთილსინდისიერების პრინციპი სათავეს იღებს რომის სამართლიდან. პრინციპი „ბონა ფიდეს“, რომელიც კეთილსინდისიერებას ნიშნავს, მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა „ius civile“-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. ტერმინ „bona fide“-ს („fides“) საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები საკუთარ პირობას თუ მიცემულ სიტყვას იცავდნენ და დაიცავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალებული მხარე უფლებამოსილი იყო წარედგინა საჩივარი, ე.წ. პრეტენზია („ex fide bona“) და, მოცემული პრეტენზიის საფუძველზე, კონტრაჰენტისაგან ვალდებულების იძულებითი აღსრულება მოეთხოვა.

თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კე-

თილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედი. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. გარდა აღნიშნულისა, კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივისადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების

შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება:

1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე;

2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია;

3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

სადავო შემთხვევაში, მოპასუხის ქმედება იმითაა მოტივირებული, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობას (იხ., შესაგებელი), რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ ის ვითარება, რომ მესამე პირმა კრედიტორს შესთავაზა დავალიანების სრულად დაფარვა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა უძრავი ქონების რეალიზაციის გზით კრედიტორის დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას, თეორიულადაც კი, გამორიცხავს მოპასუხის პოზიციის მართებულობას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემ-

თხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. როგორც წესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეები მხედველობაში იღებენ კონტრაჰენტის პიროვნებას. კრედიტორი ვარაუდობს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად. უმრავლეს შემთხვევებში, ვალდებულების შესრულება ხდება პირადად მოვალის მიერ – მყიდველი თვითონ იხდის ნაყიდი საქონლის ფასს; მსესხებელი აბრუნებს სესხის საგანს და ა.შ.

ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ ემთხვეოდნენ ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმაც და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. აქ მთავარია, დაცულ იქნას ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისადმი ინტერესი, რაც, თავის მხრივ, შეიცავს რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს იგი. ბრუნვის მონაწილის მოვალეობა ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება, ეწყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მოეთხოვება.

შეიძლება ითქვას, რომ შესრულება ჯეროვანია, როცა შესრულება ხდება დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას, უფლებამოსილი პირის მიმართ, ვალდებული და უფლებამოსილი პირის მიერ და ვალდებულების შესრულების საგნით ანუ, ვალდებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების საგნისათვის ნაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, შეთანხმებული ხარისხის ნივთის გადაცემით, მომსახურების გაწევით, სამუშაოს შესრულებით და სხვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ისეთ პირობებში, როდესაც კრედიტორი ქონების აუქციონზე რეალიზაციის განმაპირობებელ გარემოებად მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევასა და შესაბამისად, სესხის გადა-

უხდებლობას მიიჩნევს, ხოლო თავის მხრივ, მოვალე კრედიტორის ამ გადაწყვეტილებით მიღებულ ზიანზე აპელირებს, სასამართლოს შეფასების საგანია იყო თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში კრედიტორის ქმედება ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით და თუ არ იყო, მიადგა თუ არა ზიანი მოვალეს კრედიტორის ამგვარი ქმედებით.

ფაქტია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და იმ პირობებში, როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიენიშნა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დანესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოეჩინა ყველაზე ხელსაყრელი და ამავედროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. კრედიტორის ეს ვალდებულება განპირობებულია როგორც ზოგადად საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე.

სს „ბ. ქ-უს“ 2012 წლის 29 ივნისის წერილი, მართალია, პირდაპირ არ ავალდებულებდა სს „ს. ბ-ს“ შეენწყვიტა მოვალე ინდ. მენარმე შ. ხ-ის მიერ საკრედიტო ვალდებულების დარღვევის გამო დაწყებული, კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სააღსრულებო პროცედურები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო დანესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და და-

მატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით.

ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატას აძლევს იმისი ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ სს „ს. ბ-ის“ მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების, როგორც სანივთო გარიგების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: მხარეთა შორის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, ძირითადად სანივთო და ვალდებულებითი გარიგებების დადებით მყარდება, რაც შესაბამისად განაპირობებს სანივთო ან ვალდებულებითი უფლებების წარმოშობას. მოცემულ შემთხვევაში, პრობლემატურია საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა უალტერნატივო აუცილებლობა იპოთეკის რეალიზაციის თაობაზე, როდესაც კრედიტორს სხვა გზითაც შეეძლო მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფლების განხორციელებისას პირმა უნდა დაიცვას კეთილსინდისიერება და მართლზომიერება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ავალდებულებს მონაწილე სუბიექტებს, რომ უფლებები ბოროტად არ გამოიყენონ. ეს უკანასკნელი მათი ზნეობრივი მოვალეობაცაა. ამ შემთხვევაში, საუბარია პირის მიერ უფლების იმგვარად გამოყენებაზე, როდესაც მეორეს ზიანი ადგება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადან-

ყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტობრივი გარემოებები.

ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, დასადგენია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შექმნის ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი ზიანის არსებობასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ნორმის დანაწესით მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას წინასწარ არ შეეძლო. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ კრედიტორის კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის კონტექსტში უნდა დადგინდეს ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შემადგენლობის ნიშნების არსებობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს და შეამოწმოს ზიანის ანაზღაურების შესახებ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი კომპონენტების არსებობა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლთან მიმართებით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემულ მითითებებზე და ამ მითითებების გათვალისწინებით, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს

ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გა-
ნეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღ-
ძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხა-
რეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსი-
დან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე
გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო
ხარჯების მხარეთა შორის განანილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. და მ. ხ-ეების განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენო-
ბის შემცირების შესახებ დარჩეს განუხილველად;

2. შ. და მ. ხ-ეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწი-
ლობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და საქ-
მე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

ნომინალიზმის პრინციპი

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-831-831-2018

22 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ე-სა“ (შემდეგში: მოსარჩელე, კომპანია ან გამსესხებელი) და ლ. ნ-ძეს (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან მსესხებელი) შორის 2014 წლის 16 ოქტომბერს ზეპირი ფორმით დაიდო სესხის ხელშეკრულება, რა დროსაც მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორების გზით განხორციელდა. 2014 წლის 16 ოქტომბრის №193 საგადასახადო დავალებით დგინდება, რომ მოპასუხეს სესხის სახით ჩაერიცხა 64 957.20 ლარი, გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – სესხის გაცემა (37000 აშშ დოლარი, კურსით 1.7556).

2. მსესხებელს გამსესხებლისათვის ნასესხები თანხა არ დაუბრუნებია.

3. სარჩელის საფუძვლები

3.1. მოსარჩელემ 2017 წლის 18 აპრილს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის წინააღმდეგ და მისთვის გამსესხებლის სასარგებლოდ 37 583.9 აშშ დოლარის (სესხის ძირითადი თანხა – 37 000 აშშ დოლარი, საპროცენტო სარგებელი – 583.9 აშშ დოლარი) დაკისრება მოითხოვა.

3.2. მოსარჩელემ ამ გადაწყვეტილების 1-2 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე დაყრდნობით მსესხებლისათვის სესხის თანხის დაკისრება მოითხოვა.

4. მოპასუხის შესაგებელი

4.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებელით სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ მას მოსარჩელისაგან 37 000 აშშ დოლარი არ მიუღია, მსესხებელმა 64 957.20 ლარი ისესხა და ამავე თანხის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება. მოპასუხის განმარტებით, მხარეთა შორის არ არსებობდა შეთანხმება პრო-

ცენტის დარიცხვის შესახებ, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

5.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით გამსესხებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 37 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

6. მსესხებლის სააპელაციო საჩივარი

6.1. მსესხებელმა (მოპასუხემ) სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის – 64 957.20 ლარის ნაწილში დაკმაყოფილების მოთხოვნით.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

7.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პრეტენზია და დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა არა 64 957.20 ლარი, არამედ 37 000 აშშ დოლარი, რომელიც მოპასუხეს არ დაუფარავს.

7.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 105-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებას ახდენს ორი თვალსაზრისით, მათი სარწმუნოების და არასარწმუნოების თვალსაზრისით და იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ეს მტკიცებულება. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები სარწმუნოდ. არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ნებისმიერი მტკიცებულება სასამართლომ შეიძლება უარყოს, ან პირიქით, მიიღოს, თუ მტკიცებულების ობიექტური შინაარსი შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მტკიცებულებათა ყოველმხრივ გამოკვლევაში იგულისხმება მტკიცებულებათა გამოკვლევა არა ერთი მხარის პოზიციიდან, არამედ სასამართლო მხედველობაში იღებს და მისი შესწავლის საგანი ხდება მხარეთა ყველა არგუმენტი. მტკიცებულებათა სრულ განხილვაში კი, იგულისხმება მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასება და საკმარისი მტკიცებულებების არსებობა სასამართლოს მიერ ამა თუ იმ დასკვნის გასაკეთებლად.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება მხარეთა შორის სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, არის 2014 წლის 16 ოქტომბრის საგადასახადო დავალება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოხდა სესხის გაცემა და სესხის თანხად მითითებულია 37 000 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა სადავოდ არ არის გამხდარი, თუმცა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნა ცნო მხოლოდ 64957.20 ლარის დაკისრების ნაწილში იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მხარეთა შორის სესხის თანხა ეროვნულ ვალუტაში განისაზღვრა.

7.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 383-ე მუხლის შესაბამისად, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.

7.6. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და მონეტარულ პოლიტიკა და განმარტა, რომ საქართველოში საგადასახადო საშუალებას წარმოადგენს ეროვნული ლარი, თუმცა, კანონმდებელი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, მაგრამ გადახდა ხორციელდება შესაბამისი კურსით ქართულ ვალუტაში. მოცემულ შემთხვევაში, უდავო გარემოებაა, რომ სესხის ჩარიცხვის მომენტისათვის 37 000 აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა სწორედ 64 957 ლარსა და 20 თეთრს, ამასთან, საგადასახადო დავალების დანიშნულების გრაფაში მითითებულია, რომ მოხდა „სესხის გაცემა 37000 აშშ დოლარის ოდენობით, კურსით 1,7556“.

7.7. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობა საკმარისია დასკვნისათვის, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენდა სესხის თანხა – 37000 აშშ დოლარი და არა 64 957.20 ლარი. სააპელაციო სასამართლოს ასეთი დასკვნა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ, როგორც წესი, სესხის აღება ხდება მთელ რიცხვებში (მით უფრო, როცა საქმე ეხება ათეულობით ათას ლარს) და შესაბამისად, არასარწმუნოა მოპასუხის განმარტება, რომ მან სესხის სახით მოითხოვა ზუსტად 64 957 ლარი და 20 თეთრი და არა 37 000 აშშ დოლარი, როგორც ეს საგადასახადო დავალების დანიშნულებაშია მითითებული.

7.8. ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებს ნომინალიზმის პრინციპი, რომლის თანახმად, ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაიფაროს. ფულადი ვალის გაიგივება გარკვე-

ულ მყიდველობითუნარიანობასთან მართებული არ არის, ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფულადი ნიშნების გარკვეული თანხა, ფულის მყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას, არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში კი ის გარემოება, რომ დღეის კურსით 37 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გაცილებით მეტია, ვიდრე სესხის გაცემის დროს 37 000 დოლარის ეკვივალენტი ლარში, ვერ ცვლის მოვალის მიერ კრედიტორისათვის გადასახდელი ვერც თანხის ოდენობას და ვერც შესრულების ვალუტას.

8. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველები

8.1. კასატორმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

8.2. კასატორის განმარტებით, მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების თანხა ეროვნულ ვალუტაში იქნა გათვალისწინებული და ანგარიშსწორებაც ეროვნული ვალუტით განხორციელდა. მხარეებს სესხის ხელშეკრულების გაფორმების დროს არ ზღუდავდა არც კანონი და არც რაიმე სხვა ობიექტური მიზეზი არსებობდა, რომ კასატორს სესხის ხელშეკრულებით სესხის თანხა ვერ მიეღო უცხოურ ვალუტაში.

8.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია ფაქტი 64 957.20 ლარის სესხების თაობაზე.

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

9.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

10. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

11. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

12. განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება მხარეთა შორის არსებულ სასესხო ურთიერთობას. მხარეები სადავოდ არ ხდიან მათ შორის სესხის ხელშეკრულების არსებობას (სსკ-ის 623-ე-624-ე მუხლები). მოცემულ შემთხვევაში სადავოა რომელი ვალუტით უნდა დაუბრუნოს მსესხებელმა გამსესხებელ ნასესხები თანხა.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 16 ოქტომბრის №193 საგადასახადო დავალება, რომლის თანახმადაც მოსარჩელემ მოპასუხეს პირად ანგარიშზე ჩაურიცხა 64 957.20 ლარი, გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – სესხის გადაცემა (37 000 აშშ დოლარი, კურსით 1.7556). საკასაციო სასამართლო სსკ-ის 623-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

14. ფულადი სესხის დადების დროს ყოველთვის არსებობს ფულის მყიდველობითუნარიანობის დაცემის რისკი, რომლის წინაშე დგანან ხელშეკრულების მხარეები. მხარეებს შეუძლიათ აღნიშნული რისკისაგან დაიცვან თავისი უფლებები (რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა) და სესხად აღებული თანხის კურსის ან ვალუტის არასასურველი ცვლილებებისაგან დაზღვევის

მიზნით, ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოური ვალუტით, სსკ-ის 383-ე მუხლი (საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო დავალებით არ დასტურდება, რომ მხარეთა შორის სასესხო თანხის ოდენობა უცხოური ვალუტით იყო განსაზღვრული) (შდრ. სუსგ №ას-870-1138-05, 09.03.06წ.).

15. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის ფულადი ვალდებულების შესრულების ისეთ შემთხვევებს განიხილავს, როცა ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი ვალუტა ამავე ვალდებულების შესრულების დროისთვის შეიცვალა, გაუფასურდა და ა.შ. აღნიშნული მუხლი ნომინალიზმის პრინციპს (აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ მოვალე ვალდებულია დააბრუნოს ფულადი ნიშნის იმავე ოდენობა (ნომინალი), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა), განამტკიცებს ისეთი შემთხვევებისთვის, როცა ინფლაციის, ან სხვა გარემოებების გამო, ადგილი აქვს დენომინაციას (აღნიშნული გულისხმობს, ქალაქის ფულის ნიშნების სახელის გამოცვლას და მათი ნომინალური ღირებულების შემცირებას; სსკ-ის 389-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით იხილეთ: იხ.სუსგ-ები: №ას-870-1138-05; №ას-1512-1427-2012; №ას-762-730-2016; №ას-130-122-2017).

16. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტის წყარო გახდა. სასამართლოს განმარტებით, 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე, ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს შემდეგში: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს. თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას არ ექნება ადგილი, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია (იხ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ელექტრონული ვერსია: <http://www.gccc.ge>; შდრ. სუსგ №ას-130-122-2017, 24.03.17წ.)

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ზეპირი სესხის საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს 64 957.20 ლარი ჩაურიცხა პირად ანგარიშზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მოპასუხემ სწორედ მითითებული თანხა ისესხა და იმავე ოდენობის თანხის დაბრუნება ივალდებულა. ის გარემოება, რომ საგადასახადო დავალების გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – სესხის გაცემა (37 000 აშშ დოლარი, კურსით 1.7556), ვერ გახდება მოსარჩელის მოთხოვნის – 37 000 აშშ დოლარის ნაწილში მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველი, რადგან ხელშეკრულების საგანია კონკრეტულად ის თანხა, რაც მსესხებელს გადაეცა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გადახდის დანიშნულებაში საერთოდ რომ არ მიეთითებინათ თანხა, აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდებოდა, შესაბამისად, გადახდის დანიშნულებაში 37 000 აშშ დოლარის მითითება არ გულისხმობს იმას, რომ მოპასუხეს 37 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნება ევალება, ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას წარმოდგენილი დოკუმენტი არ იძლევა. მსესხებელმა მიიღო კონკრეტული ოდენობის თანხა, რაც უნდა დააბრუნოს. ამ ნაწილში მოპასუხეს არც უარუყვია სარჩელი.

18. ზემოხსენებული მოტივაციით, მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და, ახალი გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ – 64 957.20 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. შპს „ე-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ლ. ნ-ძეს შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს – 64 957,20 ლარის გადახდა.
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნომინალიზმის პრინციპი;

უსაფუძვლო გამდიდრება

განჩინება საქართველოს სახელის

№ას-1298-2018

22 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, უსაფუძვლო გამდიდრებით
მიღებულის უკან დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შ-ა ცენტრი თბილისისა“ (შემდეგში: გამყიდველი კომპანია ან ცენტრი) და ლ. ლ-ას (მყიდველს) (შემდეგში: მოპასუხე ან პირველი კასატორი) შორის 2008 წლის 18 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება №..., რომლის მიხედვით, გამყიდველმა გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა „...“ (ფერი – შ..., შასი – ...) ავტომანქანა. ამავე ხელშეკრულების მე-2 პუნქტის მიხედვით, ავტომანქანის ღირებულება განისაზღვრა გადახდის დღისათვის არსებული, 92 000,00 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში.

2. 2008 წლის 18 დეკემბერს გამყიდველ კომპანიასა და მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, 92 000,00 აშშ დოლარად ღირებული „ლ-ის“ ფირმის ავტომობილი, მოპასუხეს იმავე დღეს გადაეცა.

3. ი. გ-მა (შემდეგში მოსარჩელე, მეორე კასატორი) სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ მის ნაცვლად სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულებული ვალდებულების 92,000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით (იხ. სარჩელი).

4. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი (შესრულება ნასყიდობის ხელშეკრულების 1.6 პუნქტის საფუძველზე) შესაგებელი, ასევე მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე (იხ. შესაგებელი).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილ-

და ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 152 214,00 ლარის გადახდა დაეკისრა.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 08 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები უარყოფილი იქნა.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 3-1-2-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

9. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელე გამყიდველი კომპანიის 66.7%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და ღირექტორია.

10. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2012 წლის 07 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გამყიდველი კომპანიის სარჩელი მოპასუხის მიმართ ნასყიდობის საფასურის 92 000,00 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით. გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება, არა იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მოპასუხემ ავტომობილის საფასური გადაიხადა და ფულადი ვალდებულება მისი მხრიდან შესრულებული, არამედ – სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის (3-წლიანი ხანდაზმულობის ამონწურვის გამო) მოტივით. ამდენად, მოპასუხე მხარის მიერ იმ ფაქტზე აპელირება, რომ 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მის მიმართ დაყენებული გამყიდველი კომპანიის სარჩელი ნასყიდობის ფასის დაკისრების თაობაზე, არ იძლეოდა დასკვნის საფუძველს მასზედ, რომ მოპასუხეს 2008 წლის 18 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის ფასის – ავტომობილის ღირებულების გადახდის შესახებ შესრულებული ჰქონდა.

11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ სსკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა შექმნილი ავტომობილის ღირებულების გადახდა, მის მიერ, ვერ წარმოადგინა. განსახილველ შემთხვე-

ვაში, მოპასუხე მხარის არგუმენტი მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან მიმართებით ეფუძნებოდა 18.12.2008 წლის ხელშეკრულებაში მითითებულ დათქმას იმის შესახებ, რომ მყიდველს ნასყიდობის საგანი მას შემდეგ გადაეცემოდა, რაც ეს უკანასკნელი შეასრულებდა შემხვედრ ვალდებულებას ნასყიდობის საგნის ღირებულების 100%-ით გადახდის შესახებ. რამდენადაც მოპასუხეს 2008 წლის 18 დეკემბერსვე გადაეცა მფლობელობაში ავტომობილი, ივარაუდებოდა, რომ ნასყიდობის ფასი მყიდველმა გადაიხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ავტომობილი არ გადაეცემოდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების რიგითობა, შესაბამისი მტკიცების გარეშე, წინმსწრები ვალდებულების შესრულების პრეზუმფციას არ უშვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი შესრულება დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებით [სსკ-ის 429-ე მუხლით]. შესაბამისად, მხოლოდ ფაქტი მასზედ, რომ თანმდევი ვალდებულება შესრულებულია (ნასყიდობის საგანი გადაცემულია), წინმსწრები ვალდებულება (ნასყიდობის საფასურის გადახდის) შესრულებულად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან ყოველი შესრულება მტკიცებას ექვემდებარება. ყოველი შესრულება ვალდებულების არსებობის პრეზუმფციას ქმნის და არა პირიქით, ვალდებულების არსებობა, მისი შესრულების მტკიცების გარეშე, შესრულების პრეზუმფციას არ უშვებს.

12. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერების შედეგად დგინდებოდა დავის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება – მოსარჩელის მიერ მისი ნების სანაღმდეგოდ 18.12.2008 წელს გამყიდველ ცენტრსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების მოვალის ნაცვლად შესრულების და კრედიტორის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ 152,214 ლარის გადახდის ფაქტი.

13. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ 18.12.2008 წლის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეზე რეალიზებული ავტომანქანის ღირებულება მოსარჩელემ გადაიხადა. კერძოდ, გამყიდველი კომპანიის სალაროში 2009 წლის 22 აპრილს მოსარჩელემ გადაიხადა 50,000 ლარი, ხოლო ამავე წლის 23 აპრილს 102,214 ლარი, აღნიშნული კომპანიის სალაროში მოსარჩელემ გადაიხადა ჯამში 152,214 ლარი.

14. მოპასუხის სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი პრეტენ-

ზია იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს მის მიერ 152,214 ლარის გადახდის შესახებ გარემოება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტით (მაგ: სალაროს შემოსავლის ორდერით) შეიძლებოდა დაედგინებინა და არა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით, პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენის შინაარსიდან ირკვევა, ე. კ. დამნაშავედ ცნობილი იქნა სწორედ იმ დანაშაულებრივი ქმედების გამო, რომ მან მოსარჩელე აიძულა მოპასუხის მიერ 2008 წლის 18 დეკემბრის ნასყიდობით გამოყიდველი კომპანიისაგან შექცენილი ავტომობილის ღირებულება გადაეხადა და ამით მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა. განაჩენით დადგენილია ე. კ-ის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოსარჩელის მიერ მისი ნების საწინააღმდეგოდ ავტომობილის ღირებულების 152,214 ლარის გადახდის შესახებ ფაქტი. შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა აღნიშნული პრეტენზია, ავტომობილის ღირებულების მოსარჩელის მიერ გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობასთან დაკავშირებით და დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ მოსარჩელემ ზემოაღნიშნული ვალდებულება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოპასუხის მიმართ მისი შვილისგან მომდინარე იძულების საფუძველზე შეასრულა.

15. დავის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 385-ე მუხლსა და 976-ე მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ერთი პირის გამდიდრება მოხდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექცენა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე და გამდიდრების ფაქტი, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების შედეგად.

16. პალატის განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას ექვემდებარება, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არა-უფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

17. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 978-ე მუხლით [დისპოზიცია: პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე] და აღნიშნა, რომ ნორმის გადამწყვეტი სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ გადამცემმა არ უნდა ამტკიცოს, რომ გადაცემა განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მიმღებს შეუძლია მის წინააღმდეგ მიმართული საკონდიქციო მოთხოვნა მხოლოდ იმით აიცილოს, თუ ის თავის მხრივ დაამტკიცებს, რომ მას ჰქონდა მიღებულის მოთხოვნის უფლება.

18. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 18.12.2008 წელს ცენტრსა და მოპასუხეს შორის ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, რომელი ხელშეკრულების საგნის ღირებულებაც მყიდველს არ გადაუხდია. პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის მიერ მისი ნების სანააღმდეგოდ 2009 წლის 22-23 აპრილს 18.12.2008 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხის ვალდებულების შესრულების ფაქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა: მოვალის გამდიდრება; ამის შესაბამისად, კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი; კრედიტორიდან მოვალესთან სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

19. მოპასუხის სააპელაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღენიშნა, რომ მოსარჩელის სარჩელის საფუძვლიანობის შემონმებისათვის მნიშვნე-

ლობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით უარყოფილი იქნა ცენტრის სარჩელი მოპასუხის მიმართ ნასყიდობის ფასის დაკისრების შესახებ. ის ფაქტი, რომ 2012 წლის მდგომარეობით, ცენტრის მოთხოვნა სამართლებრივად უვარგისი აღმოჩნდა ხანდაზმულობის გამო, აღნიშნული არ წარმოშობდა დამაბრკოლებელ გარემოებას მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმყოფილებისათვის, რამდენადაც დადგენილი იყო, რომ მოპასუხე 2008 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი როგორც მყიდველის ვალდებულება (ნასყიდობის ფასის გადახდა) შესრულებული არ ჰქონია და რომ მოსარჩელემ მის მიმართ განხორციელებული იძულების შედეგად განახორციელა მოპასუხის ვალდებულების შესრულება და ავტომობილის ღირებულების – 152 214 ლარის გადახდა.

20. სააპელაციო პალატამ კონდიქციური მოთხოვნებიდან გამომდინარე სასარჩელო ხანდაზმულობაზე გაავრცელა სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

21. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელის მიმართ 152,214.00 ლარის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს.

22. რაც შეეხება მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის პრეტენზიას სარჩელის წარდგენის დროს 92,000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პრეტენზია ამ ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, შემდეგ გარემოებათა გამო:

23. პალატამ მიუთითა სსკ-ის 389-ე მუხლზე [დისპოზიცია: თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის] და განმარტა, რომ ეს ნორმა ეფუძნება ნომინალიზმის პრინციპს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ფულის მსყიდველობაუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება. თუმცა, დასახელებული ნორმა თავისი სიტყვასიტყვითი დანიშნულებით ნომინალიზმის პრინციპისაგან განსხვავებულ წესს ადგენს და უთითებს, რომ თუ ფულის ერთეული (კურსი) შეიცვალა, ფულადი ვალდებულება იგივე რაოდენობის ნომინალით კი არ

უნდა დაბრუნდეს, არამედ მისი მსყიდველობაუნარიანობის გათვალისწინებით, ანუ იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა. ამასთან, ნორმის ამგვარი სიტყვა-სიტყვითი განმარტება ეწინააღმდეგებოდა ნომინალიზმის პრინციპის არსს და მის დანიშნულებას, როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგების თავიდან აცილებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტის წყარო გახდა. სასამართლოს განმარტებით, 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. მაგალითად, დენომინაცია განიცადა საბჭოთა კავშირის დროს მანეთმა, როდესაც მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთის ნომინალით. რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, აღნიშნული თავისთავად ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომელიც იწვევს ფულადი ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადამხდელო ბაზანსის მოშლას და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევას. ნორმის რეგულირების მიხედვით, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. აღნიშნული ნორმის კონტექსტში, ნომინალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, განმარტებას საჭიროებს, თუ რა იგულისხმება ვალდებულების შესრულების დროში. სსკ-ის 389-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულების დროში იგულისხმება დრო, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს, ანუ დრო როცა ვალდებულება ვადამოსულია ან არსებობს კრედიტორის მოთხოვნა, და შესაბამისად, მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება. შესაბამისად, მოვალემ 389-ე მუხლის მიხედვით, ფულადი ერთეულის (კურსის) შეცვლისას ვალდებულება იმ ფულადი ერთეულით (კურსით) უნდა შეასრულოს, რომელიც ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა.

24. დადგენილად იქნა მიჩნეული ამ განჩინების პ-1-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე ის გარემოება, რომ 18.12.2008 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ღირებულება მყიდველის – მოპასუხის ნაცვლად მისი ნების საწინააღმდეგოდ გადახდილი იქნა მოსარჩელის მიერ. მოსარჩელემ ნასყიდობის ღირებულების ანგარიში ცენტრის სალაროში 152

214.00 ლარი შეიტანა. განსახილველ შემთხვევაში სარჩელი აღძრული იყო არა ხელშეკრულების მონაწილე მხარის, არამედ, იმ პირის მიერ, რომელიც მიუთითებდა რა მოპასუხის ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე ამ უკანასკნელის უსაფუძვლო გამდიდრების გათვალისწინებით, მოითხოვდა მისთვის თანხის დაკისრებას. იმის გათვალისწინებით, რომ დადასტურებულად იქნა მიჩნეული მოსარჩელის მიერ 18.12.2008 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხის ვალდებულების შესრულების ფაქტი, რაც კრედიტორის (გამყიდველი) ცენტრის სასარგებლოდ 152 214.00 ლარის გადახდაში გამოიხატა, ანუ მოპასუხის ნაცვლად ვადამოსული სახელშეკრულებო ვალდებულება სწორედ დასახელებული თანხის გადახდით შესრულდა, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის დადასტურების პირობებში, მას იმ ნომინალის და ოდენობის თანხის გადახდა უნდა დაკისრებოდა, რა ნომინალით და ოდენობითაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა. აღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა სარჩელი მოპასუხისთვის 152 214.00 ლარის დაკისრების სახით.

25. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა ორივე მხარემ.

26. პირველი კასატორის მოთხოვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაში მდგომარეობს.

27. პირველი საკასაციო საჩივრის საფუძველები:

28. საკასაციო საჩივარი ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 393-ე მუხლის დარღვევას. ამასთან, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის თვალსაზრისით, პირველი კასატორი მიუთითებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემებს, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა შემდეგი სამართლებრივი პრობლემები:

29. შეიძლება თუ არა სამოქალაქო საქმის განხილვისას, დადგენილ გარემოებად იქნეს მიჩნეული, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენით დადგენილი ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მიმდინარეობდა სრულიად სხვა პირის მიმართ და რომელიც არ არის განსახილველი სამოქალაქო საქმის მხარე. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ პუნ-

ქტის მოთხოვნები. შეიძლება თუ არა მესამე პირმა, კრედიტორის მიმართ შეასრულოს მოვალის ისეთი ვალდებულება, რომელსაც მოვალე არ აღიარებს და მოგვიანებით, სასამართლო დამატებით დაადგენს, რომ მოვალე არ არის ვალდებული შეასრულოს სადაო ვალდებულება. თუნდაც მესამე პირმა ფაქტობრივად შეასრულოს მოვალის მიერ არ აღიარებული ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში, ვინ ჩაითვლება უსაფუძვლოდ გამდიდრებულად, და ვისგან ექნება პირს ამ შესრულების უკან მოთხოვნის უფლება თანხის მიმღებისგან, როგორც ეს გათვალისწინებულია სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, თუ მოვალისგან, რომელიც არ აღიარებდა ვალდებულებას და დავის შემდეგაც სასამართლომ გაათავისუფლა ამ ვალდებულების შესრულებისგან?

30. შეიძლება თუ არა მოვალე უსაფუძვლოდ გამდიდრდეს, მესამე პირის მიერ მოვალის კრედიტორთან ისეთი ვალდებულების შესრულებით, რომლითაც არ დაფარულა მოვალის ვალდებულება, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ორმაგი სტანდარტი გამოიყენა. რადგან: ერთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო დადგენს, რომ მოპასუხეს ცენტრის მიმართ ფინანსური ვალდებულება შესრულებული არ აქვს, რადგან შესრულებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, თუ სსკ-ის 429-ე მუხლის შესაბამისად კრედიტორი გასცემდა შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, ანუ თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს, თუმცა მეორე მხარის მიმართ, კერძოდ, მოსარჩელის მიმართ დადგენს, რომ მას ფინანსური ვალდებულება შესრულებული აქვს ცენტრის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ა) ცენტრის მიერ არ არის 2009 წელს გაცემული რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხის ვალდებულების შესრულების ფაქტი, ბ) მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს ცენტრმა აღძრა სარჩელი მოპასუხის მიმართ და მოსთხოვა შეუსრულებელი იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც ვითომცდა 2009 წელს შეასრულა მოსარჩელემ. გ) მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თავის ახსნა განმარტებებში აცხადებდა და სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხებით (რომელსაც სადავოდ ხდის პირველი კასატორი) ბუღალტრულად არ დაფარულა მოპასუხის ვალდებულება. დ) მოსარჩელეს არ აქვს ფულადი ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო მტკიცებულება, რომელიც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და სსკ-ის 624-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ფულადი ვალდებულების არსებობა ან შესრულება არ შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

31. მეორე კასატორის მოთხოვნა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებასა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება-

ში მდგომარეობს.

32. მეორე საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

33. მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა 152 214.00 ლარის ოდენობით გადახდის მომენტისათვის (2009 წელი) შეადგენდა სწორედ 92 000 აშშ დოლარს. ბუნებრივია, ფიზიკურად გადახდა განხორციელდა ეროვნულ ვალუტაში, რადგან საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება. მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ ნომინალიზმის პრინციპის მიხედვით, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობაუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა (სუსგ ას-130-122-2017, 2017 წლის 24 მარტი). 152 214.00 ლარი არის მხოლოდ 92 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ლარში მოსარჩელის მიერ გადახდის დროისათვის არსებული კურსით, მოსარჩელემ კი შეასრულა 92 000 აშშ დოლარის ვალდებულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი თანხა, ნომინალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, მას უნდა აუნაზღაურდეს 92 000 აშშ დოლარი.

34. მეორე კასატორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიმოიხილა ნომინალიზმის პრინციპი, მან არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესები აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანის შესახებ, სსსკ-ის 393-ე მუხლის მიზნებისათვის.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით პირველი (მოპასუხის) საკასაციო საჩივარი, ხოლო 2018 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მეორე (მოსარჩელის) საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 21 დეკემბერს განჩინებით კი ორივე საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

36. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-

ჩივრების დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის (პირველი კასატორი) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

37. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

38. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

39. შ-ა ცენტრი თბილისისა“ (შემდეგში: გამყიდველი კომპანია ან ცენტრი) და ლ. ლ-ას (მყიდველს) (შემდეგში: მოპასუხე ან პირველი კასატორი) შორის 2008 წლის 18 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება №..., რომლის მიხედვით, გამყიდველმა გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა „...“ (ფერი – ..., შასი – ...) ავტომანქანა. ამავე ხელშეკრულების მე-2 პუნქტის მიხედვით, ავტომანქანის ღირებულება განისაზღვრა გადახდის დღისათვის არსებული, 92 000,00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით.

40. 2008 წლის 18 დეკემბერს გამყიდველ კომპანიასა და მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, 92 000,00 აშშ დოლარად ღირებული „ლ-ის“ ფირმის ავტომობილი, მოპასუხეს იმავე დღეს გადაეცა.

41. 2012 წლის 07 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გამყიდველი კომპანიის სარჩელი მოპასუხის მიმართ ნასყიდობის საფასურის – 92 000,00 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით. გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება.

42. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ მის ნაცვლად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შესრულებული ვალდებულების – 92,000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

43. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი (შესრულება ნასყიდობის ხელშეკრულების 1.6 პუნქტის საფუძველზე) შესაგებელი, ასევე მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

44. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018

წლის 08 მაისის განჩინებით, მოსარჩელის სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 152 214,00 ლარის გადახდა.

45. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით, პირველი კასატორი (მოპასუხე) მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 393-ე მუხლის დარღვევას. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა შემდეგი სამართლებრივი პრობლემები: 1) შეიძლება თუ არა სამოქალაქო საქმის განხილვისას, დადგენილ გარემოებად იქნას მიჩნეული, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენით დადგენილი ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მიმდინარეობდა სრულიად სხვა პირის მიმართ და რომელიც არ არის განსახილველი სამოქალაქო საქმის მხარე; 2) შეიძლება თუ არა მესამე პირმა, კრედიტორის მიმართ შეასრულოს მოვალის ისეთი ვალდებულება, რომელსაც მოვალე არ აღიარებს და მოგვიანებით, სასამართლო დამატებით დაადგენს, რომ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს სადავო ვალდებულება. თუნდაც მესამე პირმა ფაქტობრივად შეასრულოს მოვალის მიერ არ აღიარებული ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში, ვინ ჩაითვლება უსაფუძვლოდ გამდიდრებულად, და ვისგან ექნება პირს ამ შესრულების უკან მოთხოვნის უფლება თანხის მიმღებისგან, როგორც ეს გათვალისწინებულია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილში, თუ მოვალისგან, რომელიც არ აღიარებდა ვალდებულებას და დავის შემდეგაც სასამართლომ გაათავისუფლა ამ ვალდებულების შესრულებისგან? 3) შეიძლება თუ არა მოვალე უსაფუძვლოდ გამდიდრდეს, მესამე პირის მიერ მოვალის კრედიტორთან ისეთი ვალდებულების შესრულებით, რომლითაც არ დაფარულა მოვალის ვალდებულება, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ორმაგი სტანდარტი გამოიყენა, რადგან: ერთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხეს ცენტრის მიმართ ფინანსური ვალდებულება შესრულებული არ აქვს, რადგან შესრულებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა თუ, სსკ-ის 429-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორი გასცემდა შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, ანუ თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს, თუმცა მეორე მხარის მიმართ, კერძოდ, მოსარჩელის მიმართ ადგენს, რომ მას ფინანსური ვალდებულება შესრულებული აქვს ცენტრის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ: ა) ცენტრის მიერ არ არის 2009 წელს გაცემული რაიმე დო-

კუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხის ვალდებულების შესრულების ფაქტი; ბ) მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს ცენტრმა აღძრა სარჩელი მოპასუხის მიმართ და მოსთხოვა შეუსრულებელი იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც ვითომცდა 2009 წელს შეასრულა მოსარჩელემ; გ) მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თავის ახსნა-განმარტებებში აცხადებდა და სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხებით (რომელსაც სადავოდ ხდის პირველი კასატორი) ბუღალტრულად არ დაფარულა მოპასუხის ვალდებულება; დ) მოსარჩელეს არ აქვს ფულადი ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო მტკიცებულება, რომელიც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და სსკ-ის 624-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ფულადი ვალდებულების არსებობა ან შესრულება არ შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ მონშეთა ჩვენებით. პირველმა კასატორმა ასევე მიუთითა, რომ უფრო დასაბუთებულ საკასაციო საჩივარს წარმოადგენდა მოგვიანებით, რისთვისაც მოითხოვა დამატებითი ვადის მიცემა (იხ. საკასაციო საჩივარი), თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 04 იანვარს კასატორს ეცნობა საკასაციო პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინების საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი, მას დაზუსტებული ან დამატებითი საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია.

46. მოპასუხის საკასაციო საჩივართან მიმართებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონშმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამდგერის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარი-

სათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

48. მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.). კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადანყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დად-

გება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

50. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ბოელინგი, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

51. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

52. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქ-

ტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

54. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

55. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

56. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

57. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოე-

ბაში საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

58. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

59. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

61. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწი-

ლი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი — მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ქანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოკა, თბ., 2003, გვ. 64).

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა

შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *niderost-huber v. Switzerland*, § 24; *k.s. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

63. საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა, აგრეთვე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება და სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონებენ გადანყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონებების შედეგად ზემდგომი ინსტანციის სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადანყვეტილება.

64. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ან ამ გადანყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადანყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადანყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადანყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

65. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართალურთიერთობის თავისებურებებზე:

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულებ-

ბის წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ (პირადად) ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 303; Staudinger/Bittner §267, Rn 6; Palandt/Heinrichs, §267, Rn 4; Pruting/Jud, §267, S. 419-420; Münch Komm, BGB/Krüge, §267, Rn 1.)

67. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 371 I მუხლის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.

68. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები ნორმატიული აქტების ძალით.

69. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება, როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის. მოვალესა და მესამე პირს შორის შესრულების შესახებ შეთანხმების ფაქტი არ ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს, რამეთუ კრედიტორის მოთხოვნის უფლება განისაზღვრება არა ამ შეთანხმებით, არამედ მისი მოვალესთან შეთანხმებით.

70. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების

დაკისრება კრედიტორისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით. ხშირად მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (გადახდის ქვითარი, საგადასახადო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს იმის შესახებ, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. ზოგჯერ, მესამე პირი ან თვითონ მოვალე წერილობით ატყობინებს კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. დავის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში, კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითებული იქნება იმ ვალდებულების შესახებ, რომელსაც მესამე პირი ასრულებს, ასევე მესამე პირის ზუსტი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვალდებულების იურიდიული საფუძველი (გარიგება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.), და სხვა. ამით შემდგომში თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაურკვეველობა.

71. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის დაინტერესების პრეზუმფციიდან გამომდინარე, გამოყოფენ მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის სამ კონცეფციას: 1) პროკრედიტორული; 2) პრომოვალური; 3) მახალანსირებელი.

72. ვალდებულებით სამართალში პროკრედიტორულ კონცეფციას იზიარებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე საჭირო არ არის. უფრო მეტიც, მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოვალე ამის წინააღმდეგია ანდა უცნობია მისი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, მიიღოს ასეთი შესრულება, რომელიც ინვესტს მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას. ამგვარად, პროკრედიტორული კონცეფცია სრულ იგნორირებას უკეთებს მოვალის ნებასურვილს, რომლის უარიც მესამე პირის მიერ მის ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ კრედიტორის მიერ. კრედიტორს შეუძლია, არ მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია, ასეთ შემთხვევაში კრედიტორი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.

73. პრომოვალური კონცეფცია ძირითადად იცავს მოვალის ინტერესებს, მოითხოვს რა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის აუცილებელ თანხმობას ან მონონებას.

ეს მიდგომა ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით, ყველაზე გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. შესაბამისად, პრომოვალური კონცეფციის ამოსავალ წერტილს მოვალის ინტერესის დაცვა წარმოადგენს და მოვალის თანხმობის გარეშე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას არაჯეროვან შესრულებად განიხილავს.

74. მახალანსირებელი კონცეფცია მიზნად ისახავს შესაბამის სამართალურთიერთობაში მონაწილე სამივე პირის ინტერესების დაცვას და აგებულია გარკვეულ კომპრომისზე. ის შეიძლება ზოგადად დაყოფილ იქნეს სამ ძირითად მიდგომადა: 1) პირველი მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება, ხოლო კრედიტორი ვალდებულია, მიიღოს შესრულება, თუკი მესამე პირს აქვს სხვისი ვალდებულების შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი (სსკ-ის 372-ე მუხლი); ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები (მუხლი 7:106) ავალდებულებენ კრედიტორს, მიიღოს მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, იმის მიხედვით, გააჩნია თუ არა მესამე პირს შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი, შეასრულებდა თუ არა მოვალე ვალდებულებას ანდა, ცხადია, რომ იგი ვერ შეასრულებდა ვალდებულებას დათქმულ ვადაში; 2) მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მოვალეს შეუძლია, შეენიანაღმდეგოს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, თუკი მოვალე დაამტკიცებს, რომ ასეთი შესრულებით მას ზიანი ადგება; 3) მესამე მიდგომა დაკავშირებულია სუბროგაციის არარსებობასთან, თუკი შესრულება განხორციელდა მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე (სუბროგაცია – დამზღვევის უფლებების გადასვლა ზიანის ანაზღაურების შესახებ მზღვეველზე სსკ-ის 832-ე მუხლი).

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნას სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტისაგან, როგორცაა ვალის გადაკისრება (სსკ-ის 203-ე მუხლი). ვალის გადაკისრება წარმოადგენს სანივთოსამართლებრივ გარიგებას, რომელიც აბსოლუტურად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველ სუბიექტებს. გარდა ამისა, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი თანხმობას არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებისას, უზრუნველყოფის საშუალებები ძალას არ კარგავენ და ისინი წარმოადგენენ მესამე პირის მოთ-

ხოვნის უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს.

76. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალური თითოეულ მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ეკონომიკური თვალსაზრისით კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეასრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის საფასურს, ქირას, გასამრჯელოს, ვალს და ა.შ.). კრედიტორის უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. კრედიტორის ასეთი ქმედება მეტისმეტად ფორმალური და არასამართლიანი იქნებოდა. ამიტომაც ვალდებულებითი სამართლის ნორმები ავალდებულებს კრედიტორს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს მოვალის ნაცვლად მესამე პირისგან შეთავაზებული ვალდებულების შესრულება. ამასთან, კრედიტორის ეს მოვალეობა ვალდებულებითი ურთიერთობების შეფარდებითი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს კრედიტორის ვალდებულებას მოვალის და არა მესამე პირის წინაშე. მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით.

77. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II გ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე. ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულება არ წყდება და მესამე პირს შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა. (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 305.)

78. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ დავა უნდა გადაწყდეს უსაფუძვლო გამდიდრების მომ-

წესრიგებელი ნორმებით, თუმცა მიაჩნია, რომ მოპასუხის მიმართ (გადახდილი თანხის დაბრუნება) მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არა სსკ-ის 976-ე და 978-ე მუხლები, არამედ სსკ-ის 371-ე, 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 986-ე მუხლი – პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. მითითებული ნორმის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება (შდრ. სუსგ №ას-1069-1022-2014, 16 ივნისი, 2016)

79. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთდროულად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოვალის გამდიდრება; ამის შესაბამისად, კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი; კრედიტორიდან მოვალესთან სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. სსკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ფულადი ვალდებულება და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა შეასრულა (გაისტუმრა).

80. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს (მყიდველს) გამყიდველი კომპანიისათვის უნდა გადაეხადა ავტომატური ნასყიდობის საფასური. დადგენილია ისიც, რომ მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე შეასრულა მესამე პირმა (მოსარჩელემ) 152 214,00 ლარის ოდენობით. ეს შესრულება კი სრულად შეესაბამება სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესს, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არც კანონიდან და ხელშეკრულებიდან და არც ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეს (მოპასუხეს) პირადად უნდა შეესრულებინა ვალდებულება.

81. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს წინამდებარე განჩინების პ.30-ში პირველი კასატორის საკასაციო პრეტენზიას და მიაჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არსებობს სსკ-ის 986-ე მუხლის დანაწესის გამოყენების წინაპირობები, კერძოდ, მოსარჩელემ შეგნებულად გაისტუმრა მოპასუხის ვალი (შეასრულა ფულადი ვალდებულება), რითაც ეს უკანასკნელი მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა (დაზოგა საკუთარი ქონება), შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი, ამასთან, სამართლებრივმა სიკეთემ მოსარჩელისაგან (კრედი-

ტორიდან) მოპასუხესთან (მოვალესთან) უსაფუძვლოდ გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის უპირველესი ფუნქცია კრედიტორის პირვანდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენაა, ამიტომ მოპასუხემ მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნოს დაზოგილი ქონება (ფულადი თანხა) 152 214,00 ლარის ოდენობით.

82. პირველი კასატორის (მოპასუხე) წინამდებარე განჩინების პ.29-ში მითითებულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემონგების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სსსკ-ის 106-ე მუხლის

განმარტების თაობაზე იხილეთ: სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015; სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016წ.)

83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. „გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი“ (მდრ. სუსგ №ას-710-2011-09, 07.09.2009წ.). ფაქტების პრეიუდიციულობის შემონახვის დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება. იხ. სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015წ).

84. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ფაქტების პრეიუდიციულობის შემონახვის დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), გამოტანილი იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში), არამედ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებსაც (გადაწყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მი-

ღებულის გადაწყვეტილება).

85. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პრეიუდიციულად და ის უნდა იქნას შეყვანილი მტკიცების საგანში (იხ. სუსგ №ას-455-769-09, 03 დეკემბერი, 2009 წელი; სუსგ №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი; სუსგ №ას-74-68-2015, 27 თებერვალი, 2015 წელი.)

86. შესაბამისად, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობისა და არარელევანტურობის გამო, არ იზიარებს პირველი კასატორის (მოპასუხე) პრეტენზიას განსახილველ საქმეზე სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესის გავრცელების შესახებ და დამატებით მიუთითებს, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხის ნაცვლად ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 152 214.00 ლარის გადახდის ფაქტი დასტურდება საქმეში არსებული დოკუმენტით, კერძოდ გამყიდველი კომპანიის მიერ გაცემული ცნობით და მხოლოდ ამის შესახებ არის აღნიშნული საქმეში არსებულ განაჩენში, კერძოდ, განაჩენის 3.2.9. პუნქტში აღნიშნულია, შპს „ტ-ის“ (გამყიდველი კომპანია) ოფიციალური დოკუმენტით მტკიცდება, რომ შპს „ტ-ის“ სალაროში 2009 წლის 22 აპრილს – 50000 ლარი და ამავე წლის 23 აპრილს – 102214 ლარი, ჯამში – 152 214 ლარი გადახდილია ი. გ-ის მიერ მოქალაქე ლ. ლ-აზე 2008 წლის 18 დეკემბერს შპს „ტ-იდან“ რეალიზებული ავტომანქანა „ლ-ის“ დასაფარავად. მოპასუხეს (პირველი კასატორი) კი არ წარმოუდგენია სსკ-ის 429-ე, 430-ე მუხლების დანაწესის მოთხოვნათა დაცვით გაცემული წერილობითი მტკიცებულება ავტომანქანის ნასყიდობის ფასის უშუალოდ მყიდველის მიერ გადახდასთან დაკავშირებით.

87. შესაბამისად, პირველი კასატორის (მოპასუხე) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

88. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის (მეორე კასატორი) საკასაციო საჩივარი შემდეგი გარემოებების გამო:

89. მეორე კასატორის (მოსარჩელე) საკასაციო პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მის მიერ მოპასუხის ნაცვლად გამყიდველი კომპანიისათვის 2009 წლის 22 და 23 აპრილს გადახდილი 152

214.00 ლარის ოდენობის თანხა გადახდის მომენტისათვის შეადგენდა სწორედ 92 000 აშშ დოლარს. კასატორი განმარტავს, რომ თანხის გადახდა, ბუნებრივია ფიზიკურად განხორციელდა ეროვნულ ვალუტაში, რადგან საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება, ამიტომაც მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ ნომინალიზმის პრინციპის მიხედვით, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. კასატორის მოსაზრებით 152 214.00 ლარი არის 92 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ლარში მოსარჩელის მიერ გადახდის დროისათვის არსებული კურსით, ანუ მოსარჩელემ შეასრულა 92 000 აშშ დოლარის ვალდებულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი თანხა, ნომინალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, მას უნდა აუნაზღაურდეს 92 000 აშშ დოლარი. მეორე კასატორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიმოიხილა ნომინალიზმის პრინციპი, მან არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესები აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანის შესახებ, სსსკ-ის 393-ე მუხლის მიზნებისათვის.

90. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის გადახდა. ფულის ფუნქცია როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში იდენტიურია და თავის თავში მოიცავს ღირებულების/ფასეულობის შეფასების, გადაცემის, დაგროვების უნივერსალურ შესაძლებლობას, აგრეთვე წარმოადგენს ანგარიშსწორების ერთეულს. ფული სამოქალაქო ბრუნვაში გაცვლის საყოველთაო საშუალებაა. სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე თითოეულ სუბიექტს შეუძლია ფულის გადახდის სანაცვლოდ მიიღოს რამე ქონებრივი სიკეთე, რომელსაც ურთიერთობის სხვა სუბიექტი გადასცემს მას გადახდილი ფულის სანაცვლოდ. საყოველთაო გაცვლის საშუალების ფუნქცია ფულს ენიჭება მისადმი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობის გამო, რამეთუ სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილე დარწმუნებულია, რომ მოცემული ფულადი ნიშანი დაუბრკოლებლად მიიღება მეორე პირის მიერ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ, რომ ფულადი ნიშანი მას ანიჭებს მატერიალური სიკეთის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. ე.ი. ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობა დამყარებულია მისადმი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობაზე. ფულადი ნიშნის ღირებულება, ისევე როგორც საქონლის ღირებულება, განისაზღვრე-

ბა მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით და არასდროს არ წარმოადგენს აბსოლუტურ სიმყარეს.

91. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 383-ე მუხლის თანახმად, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას. ფულადი ვალდებულება შეიძლება იყოს როგორც უპროცენტო, ისე პროცენტისანი, რომლის მოცულობაც შესაძლებელია დადგენილი იყოს ხელშეკრულებით (სახელშეკრულებო პროცენტი) ან კანონით (კანონისმიერი პროცენტი). (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, მუხლი 383, თბ., 2001, 330; აგრეთვე: Draft Common Frame of Reference – DCFR-ის 1:104-e principi. Clive/Schulte_Nölke, Principles, definitions and model rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), 2009. Jansen/Zimmermann, Was ist und wozu der DCFR NJW, 2009, 3401).

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან მისი შესრულების მომენტამდე ფულის კურსის (მსყიდველუნარიანობის) შეცვლას (გაზრდა ან შემცირება). ფულის მსყიდველუნარიანობაში მომხდარი ცვლილება იწვევს თუ არა პარალელურად გადასახდელი ფულადი ნიშნების რაოდენობაში ცვლილებას? მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ფულადი ვალდებულების შესრულების ამ პრინციპს „ნომინალიზმის“ პრინციპი ეწოდება და იგი აღიარებულია ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით.

93. ფულადი ვალდებულება შესრულებულად ითვლება ფულადი ერთეულის ნომინალების ოდენობის დაფარვით და არა ამ უკანასკნელთა მსყიდველუნარიანობის საფუძველზე, რაც, როგორც წესი, დროში ცვალებადი კატეგორიაა. საერთაშორისო ფულადი რეჟიმის შეუფერხებელი ფუნქციონირება ასოცირდება კურსის ცვალებადობის სტაბილურობასთან. ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას, არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად ფულის მსყიდველობითუნარიანობა ნომინალის მიხედვით განისაზღვრება. ფულის კურსზე საუბრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ეროვნული ვალუტის მიმართება უცხო ქვეყნის ვალუტასთან, არამედ კონკრეტული ფულის

ერთეულის, როგორც საგადამხდელი საშუალების მსყიდველობითუნარიანობა. (იხ. დამატებით: Cambridge Law Journal, the case of mixt monies: confirming nominalism in the common law of monetary obligations, 70(1), March 2011, pp.144-174. Jansen/Zimmermann, Was ist und wozu der DCFR NJW, 2009, 3401. Eichengreen, International Monetary Arrangements for the 21st Century, Washington, 1994. P.29).

94. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის თანახმად, გადახდის ვადის დადგომამდე თუ გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის. მაშასადამე, სსკ-ის 389-ე მუხლი პირობითად შეიძლება დაყოფილი იქნეს ორ ნაწილად: პირველი შემთხვევად შეიძლება განისაზღვროს ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლა ვალდებულების წარმოშობის დროიდან მისი შესრულების მომენტამდე, ხოლო მეორე შემთხვევად – ვალუტის შეცვლა ანუ ძველი ფულადი ერთეულის ახალი ფულადი ერთეულით შეცვლა.

95. „ნომინალი“ გულისხმობს ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობას (10 ლარი, 50 ლარი და ა.შ.). და, ამდენად, ვალუტა ამ ერთეულით უნდა დაბრუნდეს. მაშასადამე, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულის ესა თუ ის რაოდენობა და არა ამ ერთეულთა მსყიდველობითუნარიანობა. „ფულის მსყიდველობითუნარიანი ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას და არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, ფულის მსყიდველობითუნარიანობა ნომინალის მიხედვით განისაზღვრება“. (მდრ.სუსგ №ას-217-207-2016, 20 მაისი, 2016) ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფულადი ნიშნების გარკვეული ოდენობა, შესაბამისად, ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას და არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაიფაროს, ვინაიდან ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფულადი ნიშნების გარკვეული თანხა. (მდრ. სუსგ №ას-762-730-2016, 16 იანვარი, 2017, სუსგ №ას-347-323-2010, 19 ივლისი, 2010.)

96. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც, ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემ-

დე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა. ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნორმის განმარტება, როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი, სწორედ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის კი დადგენილ უნდა იქნეს ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლის თეორიისა და სამართლო პრაქტიკის ურთიერთშეუსაბამობა. „ნომინალიზმის პრინციპის“ მიხედვით, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობაუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობაუნარიანობა. (მდრ. სუსგ №ას-130-122-2017, 24 მარტი, 2017.)

97. განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით საყურადღებოა, რომ ერთიანი ვალუტის ერთეულის – ევროს შემოღების შემდეგ, იმ ქვეყნებში, რომლებიც შეუერთდნენ ახალ სავალუტო სისტემას, სავაჭრო ურთიერთობებში ვალის ვალუტისა და გადახდის ვალუტის განსაზღვრის პრობლემამ დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ასეთ ვალდებულებებში ვალის ვალუტა და გადახდის ვალუტა ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან, ჯერ კიდევ მრავალ ქვეყანას გააჩნია განსხვავებული ფულადი სისტემები, რომელთა ფულადი ერთეულების სახელწოდებაც ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომაც დეველვაციის ან რეველვაციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ქვეყნის ვალუტა წარმოადგენს ვალის ვალუტას და რომელი ქვეყნის კი – გადახდის ვალუტას, რადგან ნომინალიზმის პრინციპი გამოიყენება სწორედ ვალის ვალუტის მიმართ, ხოლო გადახდის ვალუტის ღირებულების შეცვლა კი არანაირ გავლენას არ ახდენს ვალდებულების ეკონომიკურ შინაარსზე. თუკი ფულადი ვალდებულება განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, მოვალეს უფლება აქვს გადაიხადოს იმ ქვეყნის ვალუტით, სადაც ხდება გადახდა, თუ მხარეები ამაზე სპეციალურად არიან შეთანხმებულნი (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 244-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი; შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 84-ე მუხლი, ინგლისის და აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა), გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით. მნიშვნელო-

ვანია, რომ ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გაუფასურების თავიდან ასაცალიებლად შესაძლებელია თვითონ სახელმწიფოს შორის არსებობდეს ხელშეკრულება. ასეთი ტიპის ხელშეკრულებები გვხვდება ევროკავშირის წევრ რიგ ქვეყნებს შორის ევროს ვალუტის გასამყარებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცდილობს იყოს გარანტი ვალდებულებების შესრულების, რათა უზრუნველყოფილი იქნას საერთაშორისო მონეტარული სისტემის სტაბილურობა.

98. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად ვალდებულებებში, ფული ასრულებს გადახდის საშუალების ფუნქციას. საერთაშორისო სავაჭრო და საბანკო პრაქტიკაში ვალუტა ზოგჯერ განიხილება არა გადახდის საშუალება, არამედ, როგორც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომლის შექენაც შეიძლება. ასეთი ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს ვალუტის გადაცვლითი გარიგებები. ამიტომაც საჭიროა ერთმანეთისგან ფულადი ვალდებულებებისა და ვალუტის გადაცვლითი გარიგებების განსხვავება, რამეთუ ფულადი ვალდებულებებისაგან განსხვავებით, ვალუტის გაცვლითი გარიგებების მიმართ ნომინალიზმის პრინციპი არ გამოიყენება. „ნომინალიზმის პრინციპის“ დამდგენი ნორმების დისპოზიციური ხასიათი, შესაძლებლობას აძლევს მხარეებს გამოიყენონ სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მიმართულია ვალუტის გაუფასურებისგან დასაცავად. სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება სასამართლოს მიერ ხდება მხარეთა წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში (დამცავი დათქმები);

99. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. „ნომინალიზმის პრინციპიდან“ გამომდინარე 1 ლარი უდრის 1 ლარს ნებისმიერ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, ხდება ფულის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდა თუ შემცირება. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ სხვადასხვა დათქმით თავი დაიზღვიონ უარყოფითი შედეგებისაგან. თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით, სავარაუდო პირობა იქნება და, შესაბამისად, მხარეებიც თავიანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკსაც: ვალის გადახდის მომენტში, თუკი გაზრდილია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს არავითარი უფლება არა აქვს ვალის დაბრუნებისას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს ამ გარემოებას. თუ ვალის გადახ-

დის მომენტში შემცირებულია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად ხდება კრედიტორი და მასაც არა აქვს უფლება ეს გარემოება გამოიყენოს მოვალის საწინააღმდეგოდ. „ნომინალიზმის პრინციპის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულად ნიშნებს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ამ დროს ფულის მსყიდველობათუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება.

100. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, გამოიყენება თუ არა „ნომინალიზმის პრინციპი“ შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულების მისადაგებასთან მიმართებით. სსკ-ის 389-ე (ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის ცვლილებისას) და სსკ-ის 398-ე მუხლების (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი) ურთიერთმიმართების დროს გაუმართლებელია სსკ-ის 389-ე მუხლის უპირატესობის აღიარება. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით შეფასდეს, რამდენად და რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ფულის ერთეულის ან ფულის კურსის ცვლილება იმგვარ ცვლილებად, რომელიც ხელშეკრულების არსზე არსებით ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, მხარეთათვის აღნიშნული ცვლილება რამდენადაა ისეთი გარემოება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ისინი ან ერთ-ერთი მათგანი აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ან სხვა პირობებით დადებდა. რამდენად იყო მხარეების მიერ აღნიშნული გარემოების ცვლილება წინასწარ განჭვრეტადი. ამასთან, გარემოებათა ცვლილება უნდა იყოს აშკარა და მძიმე შედეგებს იწვევდეს მოვალისათვის. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, მოვალისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. (იხ. დამატებით: გ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, გვ. 96.)

101. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის დანაწესი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით, ძირითადად უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო ნორმად, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს. სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კი ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებათა ისეთი აშკარა ცვლილებაა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შეუძლებელია სავარაუდო იყოს ხელშეკრულების დადებისადმი მხარეების (ან ერთ-ერთი მათგან-

ნის) დაინტერესება. გარემოების ცვლილება იმდენად უნდა ამძიმებდეს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას, რომ მისგან ხელშეკრულების უპირობო შესრულების მოთხოვნა არათანაზომიერად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, თუ განხილული წინაპირობები სახეზეა ფულის ერთეულის, მისი კურსისა თუ ვალუტის ცვლილების სახით, ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 398-ე მუხლის დანაწესს შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით, რათა დაცულ იქნეს ორივე ნორმის მიზანი. ფულის კურსის ნორმალური ცვლილება არ ხვდება ამ ნორმის მოქმედების სფეროში და იგი მხარეთა რისკის სფეროს მიეკუთვნება.

102. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება ვალუტის შეცვლა, ანუ ძველი ფულადი ერთეული იცვლება ახალი ფულადი ერთეულით (მაგალითად, კუპონი შეიცვალა ლარით). ამ შემთხვევაში საინტერესოა, თუ რა კურსით არის ვალდებული გადაიხადოს მოვალემ ვალი? ფულის ნიშნების შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

103. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით გათვალისწინებული „ნომინალიზმის პრინციპი“ მნიშვნელოვანი დისკომფორტის შემქმნელია ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაში მონაწილე მხარეებისთვის. თუმცა არსებობს ბერკეტი ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლის შედეგად წარმოქმნილი ზიანის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, თუ მხარეები სახელშეკრულებო დათქმით გაითვალისწინებენ ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, ისინი შეძლებენ თავიდან აიცილონ ამ გარემოების შედეგად წარმოშობილი უსიამოვნება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაკეთებული სხვადასხვა სახის დათქმები წარმოადგენს ერთგვარ დაზღვევის საშუალებას უარყოფითი შედეგების რისკისაგან, ხოლო ასეთი დათქმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, თავისთავად იმოქმედებს „ნომინალიზმის პრინციპი“. „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკონომიკური გაგებით ფულის გადაფასების დაუშვებლობის წესის ნორმატიული საფუძველი. ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული რყევები არ ცვლის ფულის ფუნქციურ დანიშნულებასა და ნომინალურ ღირებულებაში დაფიქსირებული ვალდებულების მოცულობას.

104. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთმითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე, ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს შემდეგში: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს. თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას არ ექნება ადგილი, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია (იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ელექტრონული ვერსია: <http://www.gccc.ge>).

105. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოში ერთადერთი საგადამხდელი საშუალებაა ეროვნული ვალუტა – ლარი. საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნები (დოლარი, ევრო, ფრანკი და ა.შ.), არ ასრულებს საქართველოში მიმოქცევის საყოველთაო საშუალების ფუნქციას და არ წარმოადგენს საგადამხდელი საშუალებას. თუმცა კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც. ასეთ შემთხვევაში უცხოური ვალუტა იქნება ვალის ვალუტა, ხოლო ეროვნული ვალუტა – ლარი, კი იქნება გადახდის ვალუტა.

106. საგულისხმოა, რომ განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებით ნასყიდობის საგნის ფასი განისაზღვრა უცხოურ ვალუტაში – 92000 ამერიკული დოლარი, ხოლო თანხის გადახდა გამყიდველი კომპანიისათვის განხორციელდა ეროვნულ ვალუტაში 152, 214.00 ლარის ოდენობით რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 383-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია მხარეთა სურვილისა და შეთანხმების შემთხვევაში.

107. მოსარჩელე (მეორე კასატორი) სადავოდ მიიჩნევს ჩარიცხული ფულის ერთეულის (ლარი) გაცვლითი კურსის შესაბამისობას უცხოურ ვალუტასთან (ამერიკული დოლარი). შესაბამისად, დავის გადაწყვეტის საკვანძო საკითხი იმაში მდგომარეობს, შეესა-

ბამებოდა თუ არა გამყიდველისათვის მოვალის ნაცვლად, მესამე პირის მიერ გადახდილი ფულის ერთეულის (ლარი) ოდენობა გადახდის მომენტისათვის (2009 წლის 22-23 აპრილი) არსებულ გაცვლით კურსს 92000 ამერიკულ დოლართან მიმართებით.

108. საკითხის ამგვარი დასმა განპირობებულია არა ვალდებულების შესრულების მარეგულირებელი ერთ-ერთი ნორმის – სსკ-ის 389-ე მუხლის დანაწესით, როგორც ამაზე მიუთითებს კასატორი და დავის არასწორ სამართლებრივ შეფასებას ნორმის არასწორ განმარტებას უკავშირებს (იხ., საკასაციო საჩივარი), არამედ, გამყიდველსა და მყიდველს (მოპასუხე) შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებით (იხ. ნასყიდობის ხელშეკრულების პ.2.), რომელსაც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ზოგად ნორმებთან მიმართებით, ვინაიდან ხელშეკრულება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებას წარმოადგენს და მას ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებაში უპირატესი ძალა გააჩნია [სსკ-ის 319-ე, 383-ე, 427-ე, მუხლები]. ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით ფასი განისაზღვრა ამერიკული დოლარით (იხ. წინამდებარე განჩინების პ:3), ხოლო ვალდებულება შესრულდა – თანხა გადახდილი იქნა ლარში. შესაბამისად, სამართლებრივად მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულების შეწყვეტილად აღიარებისათვის გასარკვევია მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის (გამყიდველისათვის) გადახდილი 152, 214.00 ლარი გადახდის მომენტისათვის შეესაბამებოდა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული უცხოური ვალუტის (ამერიკული დოლარი) გაცვლით კურსს. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება რელევანტური არ არის, რადგან სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც, ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა. ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნორმის განმარტება, როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, სწორედ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის კი დადგენილ უნდა იქნეს ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთშეუსაბამობა.

109. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

110. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

111. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადანყვეტას. ამ კონფლიქტის გადანყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

112. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც

ამ შემთხვევას ახასიათებს.

113. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

114. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკანონმდებლო მონესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში.

115. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

116. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვრცობის საჭიროების შემონმებას.

117. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტა-

ციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10-ე გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 53)

118. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10-ე გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 59). გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში.

119. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ მიესადაგება მხოლოდ გადახდის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლას და დაუშვებელია ამ პრინციპის გამოყენების საკითხის დასმა მაშინ, როდესაც საუბარია ეროვნული ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტის კურსთან ცვალებადობის შედეგად წარმოშობილ ზიანზე. ვალის ვალუტისა და გადახდის ვალუტის კურსებს შორის გადაანგარიშების ვალდებულება კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ როდესაც, ადგილი აქვს ვადაგადაცილებას. ასეთ შემთხვევაში, კონტრაჰენტს კურსთაშორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაჰენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურ-

სის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთაშორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება [სსკ-ის 408-ე მუხლი].

120. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს (მეორე კასატორი) სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ წარმოუდგენია ეროვნული ბანკიდან ან სხვა კომერციული ბანკიდან მტკიცებულება, თუ როგორი იყო ნასყიდობის ფასის გადახდის დღისათვის (2009 წლის 22-23 აპრილი) ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებით. მან წარმოადგინა მხოლოდ 2013 წლის 19 მარტს გამყიდველი კომპანიის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელე კასატორმა, მოპასუხე კასატორის (მყიდველი) ნაცვლად, გამყიდველს გადაუხადა ავტომატური ნასყიდობის საფასურის სახით 152 214.00 ლარი. არც ამ ცნობაში არ არის მითითებული, რომ ეს თანხა გადახდის მომენტისათვის შეადგენდა 92000 აშშ დოლარს. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

121. შესაბამისად, მეორე კასატორის (მოსარჩელე) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

122. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ნასყიდობის ღირებულების ანგარიშში გამყიდველის სალაროში მყიდველის (მოპასუხე) ნაცვლად შეიტანა 152 214.00 ლარი. სარჩელი აღძრულია არა ხელშეკრულების მონაწილე მხარის, არამედ, იმ მესამე პირის მიერ, რომელიც მიუთითებს რა მოპასუხის ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე და მოითხოვს ამ უკანასკნელის უსაფუძვლო გამდიდრების გათვალისწინებით, მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დაკისრებას.

123. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია მოსარჩელის მიერ 2008 წლის 18 დეკემბერს მოპასუხესა (მყიდველი) და გამყიდველ კომპანიას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხის ვალდებულების შესრულების ფაქტი, რაც კრედიტორის – გამყიდ-

ველის სასარგებლოდ 152 214.00 ლარის გადახდაში გამოიხატა, ანუ მოპასუხის ნაცვლად სახელშეკრულებო ვალდებულება მესამე პირის – მოსარჩელის მიერ სწორედ აღნიშნული თანხის გადახდით შესრულდა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის დადასტურების პირობებში, მას მოსარჩელის სასარგებლოდ იმ ოდენობის ფულადი თანხის გადახდა უნდა დაეკისროს, რა ოდენობითაც მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა მეორე კასატორის, როგორც სსკ-ის 371-ე მუხლით გათვალისწინებული, მესამე პირის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ლ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 08 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. კასატორთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟები დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

ბანკინება საქართველოს სსხელით

№ას-1299-2018

29 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:

1.1. შპს „ვ. კ-ამ“ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინააღმდეგე მხარე ან მენარდე) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. რ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან შემკვეთი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 551 986 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2010 წლის 7 ივლისსა და 2013 წლის 19 აპრილს მხარეებს შორის დაიდო №შს/12-314 და №შს/13-104 ხელშეკრულებები სხვადასხვა სახეობის 1 207 ვაგონის მომსახურების ვადის გაგრძელებით კაპიტალური შეკეთების, 290 ახალი ხორბალმზიდი ვაგონის მშენებლობისა და სატვირთო ვაგონების წყვილთვლების საქარხნო კაპიტალური შეკეთებითი მომსახურების შესყიდვის შესახებ. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულებისას (შს/12-314) შემკვეთმა უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მენარდე დაარიცხა გაურკვეველი ოდენობის პირგასამტეხლო, რომელიც არასწორად იქნა დათვლილი, გარდა ამისა, დარიცხული პირგასამტეხლო მოპასუხემ ცალმხრივად, უკანონოდ გაქვითა მხარეთა შორის გაფორმებული №შს/13-104 ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ ვ. კ-ისათვის ასანაზღაურებელ თანხებში. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხული და ცალმხრივად გაქვითული პირგასამტეხლოს უკან დაბრუნებაზე მენარდის მიერ აღძრული სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და აღსრულებულია. აღნიშნული გადან-

ყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ დადასტურდა, რომ მოპასუხე უკანონოდ უკავებდა თანხებს მენარდეს. ამ უკანასკნელს თანხის უკანონოდ დაკავების პერიოდში წარმოეშვა ზიანი, რაც გამოიხატა შემდეგში: მოპასუხის გაანგარიშებით, თანხები იქვითებოდა სამ ეტაპად: 942 962,24 ლარი გაიქვითა 2013 წლის 29 ნოემბერს; 605 109,4 ლარი – 2014 წლის 2 მაისს; 235 659,68 ლარი – 2014 წლის 15 მაისს. მითითებულ თარიღებში ხსენებული თანხა უნდა მიეღო მოპასუხეს, თუმცა, ვინაიდან შემკვეთი უკანონოდ აკავებდა მას, მენარდე იძულებული გახდა, არაერთხელ აეღო კრედიტი, ის ასევე ვერ ფარავდა ვალდებულებებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე. რაც შეეხება უშუალო ზიანს, გასათვალისწინებელია, რომ 2016 წლის ბოლოდან მოსარჩელეს აქვს საბანკო კრედიტი წლიური 12,5%-ის, 13%-ისა და 15%-ის დარიცხვის პირობებით. საბიუჯეტო დავალიანების გამო, ყოველდღიურად ერიცხებოდა საურავი 0,05%-ის, 0,06%-ისა და 0,07%-ის ოდენობით, რაც წლიურად 18,25%-ს, 21,9%-სა და 22,55%-ს შეადგენს, გარდა ამისა, კომპანიას ვაგონების მაკომპლექტირებელი დეტალების მიმოდებელი სხვადასხვა კომპანიის დავალიანებაც ერიცხებოდა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით პირგასამტეხლო ძირითადად 0,1%-ით იყო განსაზღვრული, რაც წლიურად 36,5%-ს შეადგენს. თუკი მოპასუხე მოსარჩელეს უკანონოდ არ დაარიცხავდა პირგასამტეხლოს და არ გაქვითავდა ამ თანხას მოსარჩელის კუთვნილ თანხებში, მაშინ მოსარჩელე შეძლებდა ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულებას. მოპასუხის ინტერესების გათვალისწინებით, მოსარჩელე მოთხოვნილი ზიანის ოდენობას ანგარიშობს ყველაზე უფრო დაბალპროცენტიანი – საბანკო კრედიტისათვის დარიცხული სარგებლის შესაბამისად, ამასთანავე, ვინაიდან საბანკო ვალდებულებების სარგებლის ოდენობა მერყეობდა 12,5-15%-მდე, ზიანის გამოთვლისას აღებულ იქნა მინიმალური – წლიური 12,5%, რომლის შესაბამისადაც გამოიანგარიშა ექსპერტიზის ბიურომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლთ მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ პირგასამტეხლო მოსარჩელეს დაერიცხა ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და შეთანხმებული განაკვეთის გათვალისწინებით, ვალდებულების დარღვევის (ვადაგადაცილების) გათვალისწინებით, ისევე, როგორც თანხის გაქვითვა კანონის მოთხოვნათა დაცვით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე განხორციელდა. მოსარჩელე ვერ ადასტურებს ზიანის არსებობას, რამდენადაც მის მიერ წარმოდგენილი საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება არ ადგენს მსესხებლის მიერ

თანხის ათვისების ფაქტს, არამედ, მასში საუბარია საბანკო პროდუქტით მომსახურების შესაძლებლობაზე, ისევე, როგორც არ დგინდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კრედიტის აღება მოპასუხის მხრიდან პირგასამტეხლოს დარიცხვითა და მისი ასანაზღაურებელ თანხაში გაქვითვით იყო გამოწვეული. საქმის მასალებით არ დგინდება საბიუჯეტო დავალიანებაზე საურავის დარიცხვის ფაქტი და ისიც, თუ რა მიზეზობრივი კავშირი არსებობს მოპასუხის ქმედებასთან. 2012 წლიდან 2016 წლამდე მოსარჩელეს მიღებული აქვს 146 000 000 ლარზე მეტი, შესაბამისად, გაურკვეველია სამწლიან პერიოდში ჯამში 1 597 381 ლარის მიუღებლობამ თუ როგორ განაპირობა მოსარჩელის ისეთი მიმემ მდგომარეობა, რომ მას საკმაოდ დიდი ფინანსური ვალდებულებების აღება მოუხდა საბანკო დაწესებულების წინაშე, ისევე, როგორც ვერ შეძლო ვალდებულებათა შესრულება. მოთხოვნის უსაფუძვლობაზე მიუთითებს ისიც, რომ 2014 წლის 22 აგვისტოს შეთანხმების 4.5. მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უარი აქვს გაცხადებული იმ პერიოდისათვის მიმდინარე დავების გარდა ახალი დავის წამოწყებაზე 2012 წლის 7 ივლისის №შს/12-314 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 551 986 ლარის ანაზღაურება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი, საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინების, ასევე, მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 26 სექტემბრისა და 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება/განჩინებები დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო პალატის შეფასების საგანს თანხის (მენარდის საზღაურის) დაყოვნების კანონიერება, ზიანის დადგომა და ამ ზიანის ანაზღაურებაზე მოპასუხის ვალდებულების არსებობა წარმოადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამომწებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამომწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამომწმოს. საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.1.1. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგანაც განსახილველ საქმეში უტყუარად არ დასტურდება მოპასუხის ბრალით ან მისი მიზეზით მოსარჩელისათვის ქონებრივი დანაკლისის მიყენების ფაქტი. ამასთანავე, სასამართლომ არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით. კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კასატორის ინფორმირებულობას იმის თაობაზე, რომ 2013-2014 წლებში მოსარჩელემ ვერ მიიღო 1 597 381 ლარის ოდენობით შემოსავალი, რამაც განაპირობა მისთვის ზიანის მიყენება (551 986 ლარით საბანკო სესხების გაზრდა). გასათვალისწინებელია, რომ მენარდეს იმავე პერიოდში მხოლოდ მოპასუხისაგან მიღებული აქვს 15 000 000 აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი;

1.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, როდესაც მიუთითა, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები არ არსებობდა. მოცემულ შემთხვევაში, 2014 წლის 22 აგვისტოს შეთანხმებით მოსარჩელეს უარი ჰქონდა გაცხადებული იმ მოთხოვნაზე, რომლის რეალიზებასაც შეეცადა სასარჩელო წამოების გზით, რაზედაც მიუთითებდა კიდეც აპელანტი. სააპელაციო სასამართლომ საქმის შეწყვეტაზე უარი მიიჩნია კანონიერად, იმ დასაბუთებით, თითქოს პირგასამტეხლოს მოთხოვნით მიმდინარე და-

ვის გაგრძელების სურვილი, ადასტურებს ფაქტს, რომ მოსარჩელეს უარი არ უთქვამს აღნიშნულ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული ზიანის მოთხოვნაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე და 275-ე მუხლები. 2017 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა არცერთი მხარე, რომელთაც შეტყობინება ჩაბარებული ჰქონდათ კანონით დადგენილი წესით, თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ განუხილველად დაეტოვებინა სარჩელი, სრულიად უსაფუძვლოდ საქმე ჩათვალა მომზადებულად და დანიშნა მთავარი სხდომა ამავე წლის 11 ოქტომბერს. სააპელაციო სასამართლომ ადგენს საპროცესო კანონის იმპერატიული მოთხოვნის დარღვევის უდავო ფაქტს პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან, თუმცა, ამას მოპასუხე მხარისაგან თითქოსდა ინტერესის არარსებობით ამართლებს, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა არაერთხელ მიუთითა მხარემ ამ გზით მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობის მისთვის შეზღუდვის შესახებ. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე და 104-ე მუხლები და უარი განაცხადა მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინების გაუქმებაზე. სააპელაციო სასამართლოს უარი ეფუძნება იმას, თითქოს, შუამდგომლობით მოთხოვნილ მტკიცებულებებს საქმის არსიდან გამომდინარე, არ გააჩნდათ მნიშვნელობა, ეს მაშინ, როდესაც მოპასუხის მიერ მოთხოვნილი იყო ზიანის არარსებობის ფაქტის უდავოდ დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: ა) 2011 წლიდან 2013 წლამდე საკრედიტო ორგანიზაციებთან დადებული სესხის ხელშეკრულებები; ბ) ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის მიმართ მოსარჩელის ფულადი ვალდებულებების შესახებ (თვეების მიხედვით); გ) 2013 წლიდან 2016 წლამდე მოსარჩელის ყოველწლიური დეკლარაციები მოგება-ზარალისა და დივიდენდის განაწილების შესახებ; დ) 2013-2016 წლებში მოსარჩელის მომსახურებით მოსარგებლე კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთაგან დამატებით შემოსავალი გააჩნდა მოსარჩელეს, რომელიც შეეძლო მიემართა საბანკო სესხების მომსახურების მიზნით);

1.1.3. სასამართლომ გვერდი აუარა საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებასთან დაკავშირებულ მსჯელობას, როდესაც შეეცადა დასაბუთებაში საერთოდ არ ეხსენებინა მხარეთა შორის 2013 წელს დადებული №შს/13-104 ხელშეკრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე, როგორც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, არაერთგზის უთითებს, როგორც თავად მოსარჩელე (მხოლოდ ბოლო დაზუსტებული სარჩელის წარ-

მოდგენის დღიდან), ასევე – პირველი ინსტანციის სასამართლო. არცერთი ინსტანციის სასამართლო არ დაინტერესებულა, თუ რას შეადგენდა აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულების მოცულობა და როდიდან იყო ვალდებული მოპასუხე, განეხორციელებინა ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემხვედრი შესრულება მომსახურების საფასურის ანაზღაურების სახით, მაშინ, როდესაც ამ ფაქტის დადგენის გარეშე შეუძლებელია ზიანის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა, იმდენად, რამდენადაც ეს პირდაპირ უკავშირდება ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობას;

1.1.4. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით, წინასწარ დადგენილი ძალა მიანიჭა სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას მაშინ, როდესაც თავად დასკვნაშია აღნიშნული, რომ მასში გადმოცემული გაანგარიშება იარსებებდა, თუ მოსარჩელე დასკვნაში მითითებულ ფულად სახსრებს დასკვნაშივე მითითებული მოცულობითა და ქრონოლოგიით მიღებისთანავე მიმართავდა საბანკო სესხის შესამცირებლად. გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის წარმოდგენილი არგუმენტაცია, რომლითაც ნათელი გახდება, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მივიდა სააპელაციო სასამართლო დასკვნამდე, რომ მოსარჩელე საანგარიშო პერიოდში 1 597 381 ლარის მიღების შემთხვევაში, სრულ თანხას აუცილებლად მიმართავდა საბანკო სესხის შესამცირებლად და არა სხვა დანიშნულებით. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ, თითქოს მოსარჩელის მიერ საბანკო სესხის აღება განაპირობა მოპასუხის მხრიდან თანხის გადაუხდელობამ, აღნიშნული დასკვნა შეუსაბამოა და არ გამომდინარეობს საქმის მასალებში არსებული არცერთი მტკიცებულების შინაარსიდან, პირიქით სასამართლოს მსჯელობა ამ ნაწილში ეწინააღმდეგება საქმის მასალებში არსებულ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ მოსარჩელეს, ჯერ კიდევ 2013 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, უკვე ჰქონდა სასესხო ვალდებულებები საბანკო დაწესებულებების მიმართ და კასატორის მხრიდან, 2013 წლის ნოემბერსა და 2014 წლის მაისში წარმოშობილი (შეუსრულებელი) ფულადი ვალდებულებები, ვერანაირად ვერ განაპირობებდა მოსარჩელის საბანკო მომსახურებით სარგებლობის საჭიროებას. უფრო მეტიც, საქმის განმხილველმა სასამართლომ არც კი სცადა აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და დაუსაბუთებლად განუცხადა უარი მოპასუხეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო 2013 წლის ნოემბრამდე მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები, მათ შო-

რის, ბანკიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი რესურსის შესახებ ინფორმაცია, რომლითაც ნათელი მოეფინებოდა იმ გარემოებას, რომ საბანკო სესხით სარგებლობა მოსარჩელისათვის არ იყო უცხო, იძულებითი ნაბიჯი, რომელიც განპირობებული იყო მოპასუხის ქმედებით;

1.1.5. მართალია, სასამართლო მიუთითებს განსახილველ საქმეში მოსარჩელის მიერ სამტკიცებელ ფაქტებზე, თუმცა, არ ადგენს გაართვა თუ არა მან თავი მტკიცების ტვირთს. აღნიშნულის საპირისპიროდ პალატა ადგენს, რომ მოპასუხემ თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთს და სასამართლო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით ვერ დაარწმუნა მის მიერ მითითებული გარემოებების სისწორეში, თუმცა, ვერ მიუთითებს კონკრეტულად რა გარემოებების დადასტურებას ითხოვდა/მოელოდა ის მოპასუხის მხრიდან, მით უფრო, როდესაც მტკიცებულებათა იმ ნაწილის გამოთხოვა, რომლებზეც მოპასუხე უთითებდა შუამდგომლობაში, სასამართლოსთვის უინტერესო აღმოჩნდა;

1.1.6. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მოპასუხის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმადაც, მხარეებმა 2014 წლის 22 აგვისტოს შეთანხმებით უარი განაცხადეს იმ სამართლებრივი საფუძვლიდან (2012 წლის 7 ივლისის №შს/12-314 ხელშეკრულება) გამომდინარე დავების წარმოებაზე, რომელიც საქმის განმხილველმა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლად მიიჩნია გადაწყვეტილებაში.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2012 წლის 7 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა №შს/12-314 ხელშეკრულება საქონლის მომსახურების შესყიდვის შესახებ, რომლის პირობების თანახმად, მოსარჩელემ აიღო ვალდებულება, მოქმედი ინსტრუქციების, ტექნიკური დავალებისა და ტექნიკური პირობების სრული დაცვით, მოპასუხისათვის მიეწოდებინა 290 ცალი ახალი ხორბალმზიდი ვაგონი, ასევე, კაპიტალურად შეეკეთებინა შემკვეთის კუთვნილი სხვადასხვა ტიპის 1 207 ერთეული სატვირთო ვაგონი. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 68 642 238 აშშ დოლარით დღგ-ს გარეშე;

1.2.2. 2013 წლის 19 აპრილს მხარეებს შორის დაიდო მომსახურების შესყიდვის შესახებ №შს/13-104 ხელშეკრულება, რომლის თანახმად მენარდემ აიღო ვალდებულება, საქარხნო პირობებში კაპიტალურად შეეკეთებინა ლოტი №1-ით გათვალისწინებული 2 000 ცალი სატვირთო ვაგონის წყვილთვლები (დაკომპლექტებული) და ლოტი №2-ით გათვალისწინებული 200 ცალი სატვირთო ვაგონის წყვილთვლები (დაუკომპლექტებელი). ლოტების მიხედვით მომსახურების ღირებულება განისაზღვრა შემდეგნაირად: ლოტი №1 – 5 262 200 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე; ლოტი №2 – 716 960 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე;

1.2.3. 2012 წლის 7 ივლისს მხარეთა შორის გაფორმებული №შს/12-314 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევით შესრულების გამო, შემკვეთმა მენარდეს პირგასამტეხლოს სახით დაარიცხა 1 783 731,35 ლარი, რომელიც მან სამ ეტაპად, 2013 წლის 29 ნოემბერს, 2014 წლის 2 მაისსა და 2014 წლის 15 მაისს №შს/12-314 და №შს/13-104 ხელშეკრულებების საფუძველზე მის მიმართ არსებული მენარდის მოთხოვნებთან გაქვითა;

1.2.4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა. 2012 წლის 7 ივლისის №შს/12-314 ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხული პირგასამტეხლოდან 1 597 381.75 ლარი შემკვეთს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 მაისის განჩინებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით;

1.2.5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 14 მარტის №001391817 დასკვნის დასკვნითი ნაწილის თანახმად: „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სს „ს. რ-ის“ მიერ გაქვითულ თანხებს შესაბამისი პერიოდების

მიხედვით, სულ 15 973 812 ლარის ოდენობით შპს „ვ. კ-ა“ გამოიყენებდა კრედიტის შესამცირებლად, მას არ მოუწევდა ბანკისათვის პროცენტის სახით 551 986 ლარის გადახდა“. კვლევითი ნაწილის თანახმად კი, დასკვნის შედგენისას ექსპერტმა იხელმძღვანელა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებით, ხელშეკრულებებით მიმწოდებლებთან და შპს „ვ. კ-ის“ საგადასახადო ვალდებულებების შესახებ ინფორმაციით.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო პრეტენზიათა წარმატებულობის შემომხების მიზნით, პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი სარჩელის ფაბულაზე, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, მტკიცების საგანსა და მასში შემავალი გარემოებების დამტკიცებაზე ვალდებული პირის საკითხებზე:

1.3.1. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლის ფარგლებშიც, დადებული ხელშეკრულებებისა და სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრებოდა სამუშაოს შესრულება, ხოლო მოპასუხეს – მისი მიღება და საზღაურის ანაზღაურება. ამავე ხელშეკრულებებით მხარეები, სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე მუხლების შესაბამისად, შეთანხმდნენ მოთხოვნის უზრუნველყოფის სახელშეკრულებო საშუალებაზე. შემკვეთის მტკიცებით, მენარდემ გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას, რის გამოც, დაარიცხა პირგასამტეხლო და სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის შესაბამისად, გაუქვითა ნარდობის საზღაურში. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით მენარდის სარჩელი გაქვითული თანხის შემკვეთისათვის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა და გადანყვეტილება აღსრულდა, თუმცა, ამჯერად მენარდე თანხის დაყოვნებით გამონვეული ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, რომელსაც უკავშირებს საბანკო ვალდებულებების წარმოშობას, სახელმწიფოსა და სხვა კონტრაქტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, რის გამოც, მას, ერთ შემთხვევაში, მოუწია დამატებით სარგებლის, ხოლო, მეორე და მესამე შემთხვევაში – საურავისა და პირგასამტეხლოების ანაზღაურება.

1.3.2. მოცემული ფაბულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 394.1, 408.1, 409-ე და 412-ე მუხლები წარმოადგენს, რომელთა საფუძველზეც მოთხოვნა განხორციელებადია, თუ: მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში; მოპასუხემ ბრალეულად დაარღვია ვალდებულება,

რის შედეგადაც დადგა ზიანი/კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედების პირდაპირი შედეგია; ზიანი სავარაუდო იყო მოვალისათვის. ჩამოთვლილი ფაქტების მითითების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, ხოლო იმის მიხედვით, თუ რომელ ფაქტს შეედავება მოპასუხე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ამ ფაქტის დამტკიცება ასევე მოსარჩელის ვალდებულებაა. მტკიცების ტვირთი მოპასუხის მხარეს გადადის მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაძლევეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. იმ შემთხვევაში კი, თუ მოსარჩელე ვერ დაადასტურებს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მტკიცების საგანში შემავალ რომელიმე წინაპირობას, სარჩელი წარუმატებლად მიიჩნევა და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება პირდაპირი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელის ქონებრივ დანაკლისს შორის, არ ირკვევა, მართლაც საზღაურის დაგვიანებაში განაპირობა თუ არა მოსარჩელის მიერ საბანკო კრედიტის აღება, სახელმწიფოსა და სხვა კონტრაქტორების მიმართ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სხვა. ამ გარემოებათა მტკიცება, როგორც ითქვა, მოსარჩელეს ეკისრება. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კასატორის პრეტენზიაზე, რომელიც სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების დარღვევას და მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარს შეეხება და ნაწილობრივ იზიარებს მას. თავად საჩივრის საფუძვლებიდან ირკვევა, რომ მოპასუხეს სურდა იმ მტკიცებულებათა გამოთხოვა, რომელთა ანალიზი სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, შეეფასებინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და გამოეტანა დასკვნა ზიანის მოპასუხის მიერ მიუყენებლობის თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ნეგატიური მტკიცების ტვირთს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, ზიანის მიუყენებლობის მტკიცება არ შეიძლება დაეკისროს პირს, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან ნაწარმოებ მოთხოვნას უყენებენ, არამედ, როგორც ითქვა, მოთხოვნის წინაპირობების მითითება და დამტკიცება მოთხოვნის ინიციატორს ეკისრება, ხოლო მოპასუხეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელე თავს გაართმევს მტკიცების საპროცესო

ვალდებულებას, შეუძლია მიუთითოს ფაქტებზე და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც მის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას გამორიცხავენ (ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილების შეუძლებლობა; მისი მართლზომიერი მოქმედება; ზიანის ოდენობა და სხვა). ამდენად, ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების დარღვევა დასტურდება იმ კონტექსტში, რომ სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის დაძლევის სტანდარტი და მტკიცებულებათა შეგროვების წესი.

1.3.4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას საპროცესო ნორმების დარღვევის ფონზე სარჩელის წარმატებულობის თაობაზე. ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები ძირითადად ორ მტკიცებულებას ემყარება: სასამართლოს დასკვნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება პრეიუდიციულად იყო დადგენილი ამავე მხარეებს შორის მიმდინარე ზემოხსენებულ დავაზე მიღებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, შესაბამისად, მოთხოვნის წინაპირობების მტკიცებისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე. გარდა ამისა, ზიანის ოდენობა მენარდემ დაამტკიცა სასამართლოსათვის საექსპერტო კვლევის წარდგენით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფაქტის პრეიუდიციული მნიშვნელობის დადგენისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, როგორც პროცესუალური, ისე – მატერიალურსამართლებრივი კუთხით. პირველი მოიაზრებს იმას, რომ უნდა არსებობდეს ამავე მხარეებს შორის სამოქალაქო დავაზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება; რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, ამ მხრივ სავალდებულო ძალის მატარებელია არა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში ასახული სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები, არამედ მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. სწორედ ამ ფაქტების შეფასებით უნდა განსაზღვროს მოსამართლემ მხარის ქმედების კანონიერება და სხვა. ამ თვალსაზრისით, გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის საკმარისად გამოკვეთილი სააპელაციო პალატის მხრიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების კვლევის საკითხი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოთხოვნილი იყო იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც,

შემკვეთის მტკიცებით, გაიქვითა პირგასამტეხლოში, ანუ ხსენებული დავის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენდა, რომლის ფარგლებშიც მენარდე მოითხოვდა საზღაურის გადახდას, რომელიც, მისი მტკიცებით, არასწორად გაიქვითა პირგასამტეხლოს დავალიანებაში. სასამართლოების დასკვნებით, პირგასამტეხლოს დაანგარიშებისას შემკვეთი და ექსპერტი სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირგასამტეხლოს გამოთვლის წესს, რომელთაგანაც სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია ექსპერტის მიერ შეთავაზებული გამოანგარიშების წესი და გაიზიარა იგი. ამ ფაქტობრივ მოცემულობაში კი, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა განსაზღვროს თანხის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავისათვის რომელ გარემოებას გააჩნია პრეიულიციული მნიშვნელობა.

1.3.5. რაც შეეხება საექსპერტო კვლევას, საკასაციო სასამართლო განსახილველ დავაში ჯერ კიდევ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში გამოთქმული შედავების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას, მათ შორის, ზიანის ოდენობა წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ უკრიტიკოდ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა და ზიანის ოდენობა დადგენილად ჩათვალა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული მტკიცებულების შეფასების კუთხით საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ შედავებას შეიცავს, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე (სსკ-ის 105-ე) მუხლის მიზნებისათვის ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოპასუხის შედავებები და დასკვნის კვლევით ნაწილში გადმოცემული გარემოებები, კერძოდ: ექსპერტმა იხელმძღვანელა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებით; ხელშეკრულებებით მიმწოდებლებთან და შპს „ვ. კ-ის“ საგადასახადო ვალდებულებების შესახებ ინფორმაციით. დასკვნაში ასახულია, რომ მოთხოვნილი ზიანი არ წარმოიშობოდა, თუკი მოპასუხე თანხას დროულად გადაუხდიდა მოსარჩელეს, რადგანაც ეს უკანასკნელი გადარიცხული თანხით შეამცირებდა საბანკო ვალდებულებას. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არსებითი ხასიათი საპროცესო დარღვევა: გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხემ დასაბუთებული შედავება წარადგინა ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილთან მიმართებაში და გააკრიტიკა იმ დოკუმენტების ნამდვილობა, რომლებსაც ექსპერტმა საკუთარი მოსაზრებები დააფუძნა, ასეთ ვი-

თარებაში, საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელე არ შეიძლება გათავისუფლდეს მტკიცებულებათა წარდგენის ტვირთისაგან, რამდენადაც მოპასუხის შედაგების ფარგლებში, მასვე ეკისრება იმ მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება (სსსკ-ის მე-4 მუხლი), რომელზეც ამყარებს ზიანის არსებობის ფაქტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოსათვის გაურკვეველი რჩება, რა ქონებრივი დანაკლისი განიცადა მხარემ, ამასთანავე, მოპასუხეს არ ეძლევა შედაგებისა და თავის დაცვის შესაძლებლობა.

1.3.6. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან საქმეში წარმოდგენილი მხარეთა №4 შეთანხმების შეფასების გარეშე დატოვების თაობაზე. ჯერ კიდევ საქმის მომზადების დასრულებამდე ამ მტკიცებულებაზე მითითებით მოპასუხემ არსებითი შედაგება განახორციელა და აღნიშნა, რომ ხსენებული შეთანხმება სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა, ვინაიდან მისი 4.5. პუნქტით, მხარეებმა უარი განაცხადეს №შს/12-314 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ახალი დავის წამოწყებაზე. განსახილველი სარჩელის საგანს ხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის ანაზღაურების დაგვიანებით წარმოშობილი ზიანი წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის ფარგლებში ნების გონივრული და ლოგიკური განმარტების მეთოდების გათვალისწინებით, შეთანხმების მთელ ტექსტთან მიმართებით უნდა დაადგინოს მისი 4.5. მუხლის შინაარსი ხომ არ ნიშნავს კრედიტორის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმას, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული კრედიტორის უფლებას წარმოადგენს და ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის უარყოფის საფუძველია.

1.3.7. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ არ იზიარებს კასატორის მტკიცებას ამ საფუძველიდან გამომდინარე საქმის წარმოების შეწყვეტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა1“ ქვეპუნქტის არასწორი განმარტების თაობაზე და აღნიშნავს, რომ დავის საგნის არარსებობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი წესები გამორიცხავს დავის საგნის არსებობას (მაგ: ვალდებულების შეწყვეტის წესები, იხ. სკ-ის 427-ე და შემდგომი ნორმები), რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლს, თუკი დადგინდა, რომ კრედიტორმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიზღუდა, დადასტურების შემთხვევაში დავის საგანი კი იარსებებს, თუმცა, თავად კრედიტორის ნება გამოაცლის მოთ-

ხოვნას საფუძველს, რაც არსებითად განასხვავებს მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“¹⁴ ქვეპუნქტის შინაარსისაგან. პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლისა და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის თაობაზე, თუმცა, განმარტავს, რომ ამავე კოდექსის 278-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სარჩელის განუხილველად დატოვება მოსარჩელეს არ უზღუდავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სასამართლოს სხდომაზე ორივე მხარის გამოუცხადებლობა საკმარისი საფუძველი იყო სარჩელის განუხილველად დატოვებისათვის, თუმცა, ვინაიდან მოსარჩელე აგრძელებს დავას, ხსენებული ნორმის გამოყენება საქმის ზემდგომი ინსტანციის წესით განხილვის ეტაპზე მხოლოდ გააჭიანურებდა საქმეს.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურსამართლებრივი დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მატერიალური და საპროცესო სამართლის წესების დარღვევით დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შესაბამისად, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. ამასთანავე, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პალატა საქმეს ხელახლა განსახილვად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც ამ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად უნდა გაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცებების ტვირთი, უზრუნველყოს მტკიცებულებათა შეგროვება, შეაფასოს საქმის მასალები, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

2. პროცესის ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემავამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

გადანყვიტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1570-2019

29 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 7 ივლისის განჩინებით, შპს „ჯ. ს. მ. ლ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან კრედიტორი) და შპს „...“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოვალე) შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის მიხედვითაც მოვალემ კრედიტორისათვის 152 815 აშშ დოლარის გადახდა იკისრა. მან ნაკისრი ვალდებულება ნებაყოფლობით არ შეასრულა და, 2016 წლის 12 აგვისტოს სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი. კრედიტორის განცხადების საფუძველზე კერძო აღმასრულებელმა დაიწყო იძულებითი აღსრულება და, დავალიანების ამოღების

მიზნით, საქართველოს ყველა ბანკში გახსნილ მოვალის კუთვნილ ანგარიშებს ყადაღა დაადო აღსასრულებელი მოთხოვნისა და აღსრულების საფასურის ფარგლებში.

2. კერძო აღმასრულებელმა 2016 წლის 8 სექტემბერს წერილი გაუგზავნა სს „ა. ს. ბ. ს.“, (ამჟამინდელი სახელწოდებაა სს „ი. ჯ.“; შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, კასატორი ან ბანკი) და, მოვალის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალების საფუძველზე 156 343.40 და 2203.27 აშშ დოლარის მოვალის ანგარიშიდან ჩამოჭრა და კრედიტორის ანგარიშზე ჩარიცხვა დაავალა. დავალების შესრულებისას ბანკმა ტექნიკური შეცდომა დაუშვა და, ნაცვლად – 156 343,40 აშშ დოლარისა, აღმასრულებლის მიერ მითითებულ ანგარიშზე 156 343,40 ლარი ჩარიცხა. შედეგად, შესასრულებელ ვალდებულებასა და აღსრულებულ მოთხოვნას შორის სხვაობამ – 87 793.51 აშშ დოლარი შეადგინა. ბანკმა მეორე დღესვე, 2016 წლის 9 სექტემბერს მოვალეს, რომელმაც ამასობაში მოასწრო ანგარიშზე დარჩენილი თანხის მთლიანად გატანა, წერილობით შეატყობინა შეცდომის თაობაზე და მოვალეს საინკასო დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 88 544.87 და 2 202.61 აშშ დოლარის უკან დაბრუნება მოსთხოვა; მოვალემ მოთხოვნა არ შეასრულა.

3. მოგვიანებით, 2016 წლის 13 სექტემბერს, კრედიტორმა (მოსარჩელემ) განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელს და მოვალის საბანკო ანგარიშებზე გამოყენებული ყადაღისა და საინკასო დავალების გაუქმება მოითხოვა. ამის საფუძველზე შესაბამისად იმოქმედა კერძო აღმასრულებელმა და მოვალის კუთვნილ ყველა საბანკო დანესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე გააუქმა შეზღუდვა, თუმცა, კერძო აღმასრულებელმა 2016 წლის 21 ოქტომბერს ხელმეორედ წარუდგინა ბანკს (მოპასუხეს) საინკასო დავალება. ამ უკანასკნელმა მოვალის საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალიანება – 88 544.87 და 2 202.61 აშშ დოლარის ფარგლებში კი აღრიცხა, მაგრამ, მოთხოვნილი თანხის არარსებობის გამო, აღმასრულებლის დავალება ვერ შეასრულა.

4. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით კრედიტორმა სარჩელი აღძრა ბანკის წინააღმდეგ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. ის ამტკიცებდა, რომ საინკასო დავალიანებები კერძო აღმასრულებლის მოთხოვნით გაუქმდა, ამავე დროს მოსარჩელეს შეეძლო, მოთხოვნა სხვა კომერციულ ბანკში ინკასოს წარდგენით დაექმაცოფილებინა, რაც ცხადყოფს, რომ მხარეები მორიგდნენ, თავად უზრუნველყვეს ანგარიშსწორებაც და, ზიანის ანაზღაურე-

ბის გზით, მოსარჩელე დამატებით ცდილობს თანხის ამოღებას.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის მოსაწინააღმდეგე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგი სსკ-ის, 317-ე და 992-ე მუხლები გამოიყენა.

7. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს 87 789.51 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

8.1. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება განპირობებული იყო მოპასუხის იმ აუცილებელი წინდახედულობის გამო, რომელიც მას ევალუბოდა, შესაბამისად, ამ კონკრეტული გაუფრთხილებელი ქმედების პირდაპირი და უშუალო შედეგი იყო ის, რომ მოსარჩელემ მოვალისგან – 87 793.51 აშშ დოლარი ვერ მიიღო.

8.2. სააპელაციო სასამართლომ, კრედიტორის მიერ საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი შეზღუდვების მოხსნის შესახებ მოთხოვნა, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლების წინაპირობად არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მნიშვნელოვანი დელიქტის ჩადენის მომენტი, როდესაც ზიანი წარმოიშობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორის დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნებოდა მის მოქმედებაზე, რომელსაც მიმართავდა ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ დელიქტის ჩადენის შემდეგ. კრედიტორის ერთადერთი მოვალეობა მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენა იყო, რაც მან განახორციელა კიდეც. შესაბამისად, დაზარალებულისათვის იმ ვალდებულების დაკისრება, რაც თავად ზიანის მიმყენებელს ეკუთვნის, კანონიდან არ გამომდინარეობდა, მეტიც, არღვევდა დელიქტური რესტიტუციის პრინციპებს.

9. მოპასუხემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

9.1. კასატორის მტკიცებით, იმ პირობებში, როცა კრედიტორი თავად აძლევს უფლებას, მოვალეს განკარგოს მისი ანგარიშები და

აუქმებს შესაბამის შეზღუდვებს, ამასთან, როგორც შეზღუდვების მოხსნის, ასევე, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების განახლების შემდგომ, მოვალის ანგარიშებზე ფიქსირდება ნაშთი და არ ხდება კრედიტორის მიერ ამ თანხაზე აღსრულების მიქცევა, შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ ზიანი ბანკის ქმედების პირდაპირი და უშუალო შედეგია. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არათუ ბანკის ბრალეულობა არ გამოირიცხა, არამედ ზიანის დადგომაში მოსარჩელის ბრალიც კი არ დაადგინა.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

12. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს. კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობაზე, კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე. განსხვავებით სახელშეკრულებო ვალდებულე-

ბისგან, რომელიც წარმოიშობა პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობიდან, დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი შედეგსა და ქმედებას შორის. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიმყენებელს) უნდა დაეკისროს, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, დელიქტურ ვალდებულებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ევალება, სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათანადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ამტკიცოს, რომ არსებობს სამივე ზემოაღნიშნული წინაპირობა (შდრ. სუსგ №ას-72-72-2018, 15.02.2018 №ას-809-776-2016, 04.04.2017).

13. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ აღდგეს ვითარება, რომელიც არსებობდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარე დასკვნის თანახმად, ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა. აღნიშნული მუხლის თანახმად, ზიანის გამომწვევმა პირმა უნდა აღადგინოს ის თავდაპირველი ვითარება, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა.

14. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, სახელდობრ, დადგენილია, რომ ბანკმა, ნაცვლად ამერიკული დოლარისა, კრედიტორს – 156 343.40 ლარი ჩაურიცხა, თუმცა, ზიანში კრედიტორის ბრალიც იკვეთება, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღმასრულებელმა 2016 წლის 13 სექტემბერს სწორედ კრედიტორის დავალებით ყველა დანესებულებაში გახსნილ მოვალის საბანკო ანგარიშებზე არსებული შეზღუდვები მოხსნა. ამ დროისათვის მოვალეს სს „თ. ბ-ში“ არსებულ ანგარიშზე 1 500 000 ლარი უფიქსირდებოდა, რაც საკმარისი იყო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ, მართალია, მართებულად მოიძია სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, სსკ-ის 992-ე მუხლი, მაგრამ, განსახილველ შემთხვევაში, დამფუძნებელ ნორმასთან ერთად სარჩელი უნდა დაეფუძნოს სსკ-ის 415-ე მუხლს, რომლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზა-

რალეზულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალეზულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

15. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით დადასტურდება ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება, თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ნაწილობრივ დაძლია სსსკ-ის 992-ე მუხლის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების არსებობის დადასტურების ტვირთი, ხოლო მოპასუხემ, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი (ამ შემთხვევაში შერეული ბრალის) გარემოებები, ვერ დაამტკიცა. შესაბამისად, სსკ-ის 415-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურება მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ შერეული ბრალის პროპორციულად, ანუ თითოეულის წილი თანაბრად, 50%-ით უნდა განისაზღვროს, ამდენად, მოპასუხეს მიყენებული ზიანის ნახევრის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

16. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას,

ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2000 ლარის ანაზღაურება;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ი. ჯ.“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ჯ. ს. მ. ლ.“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სს „ი. ჯ.“ შპს „ჯ. ს. მ. ლ.“ სასარგებლოდ დაეკისროს 43 896.755 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
5. სს „ი. ჯ.“ შპს „ჯ. ს. მ. ლ.“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2000 ლარის ანაზღაურება;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

პირგასამტეხლოს დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-265-253-2015

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: გადახდილი პირგასამტეხლოს უკან დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, შემკვეთი ან კასატორი) და შპს „კ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მენარდე) შორის 2012 წლის 7 აგვისტოს, წერილობითი ფორმით დაიდო ნარდობის ხელშეკრულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 629-ე მუხლი).

2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 2012 წლის 20 სექტემბრამდე, ქ. ქარელში: ბ-ის, ც-ს, მ-ის, ს-ს, ა-ის ქუჩების, დაბა აგარაში: ჩ-ის, ნ-ის, ჭ-ის, ს-ის ქუჩებისა და სოფ. ქვ.ხ-ის გზების მოასფალტების სამუშაოების ჩატარება. მოსარჩელემ სამუშაოები შპს „გ-ს“ (ქვემენარდე) მეშვეობით შეასრულა.

3. ხელშეკრულების 9.5-9.6 პუნქტები ითვალისწინებდა მენარდის პასუხისმგებლობას – მის მიერ ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას (სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლები).

4. 2012 წლის 13 სექტემბერს, მოსარჩელემ მოპასუხეს წერილობით აცნობა, რომ მოსაასფალტებელი ქუჩებიდან ორ მათგანზე (ბ-ისა და ს-ს ქუჩებზე) ვლინდებოდა სამუშაოების ზედდება, კერძოდ, ამ ქუჩებზე სხვა ორგანიზაცია წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებდა. ამასთან, ასფალტ-ბეტონის მოსამზადებელი ნედლეული საზღვარგარეთიდან დაგვიანებით შემოდიოდა, რის გამოც მან სამუშაოების ვადის გაგრძელება 2012 წლის 07 ოქტომბრამდე ითხოვა.

5. 2012 წლის 10 დეკემბერს, შემკვეთმა და მენარდემ შეადგინეს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ, ნაცვლად 1 130 426 ლარისა, 1 127 296 ლარი შეადგინა. ამავ აქტით, ხელშეკრულების 9.6 პუნქტის შესაბამისად, ვალდებულების შესრულებელ ნაწილზე მენარდეს შემკვეთისათვის უნდა გადაეხადა ჯარიმა – 3129.24 ლარის 120% – 3745 ლარი. გარდა ამისა, ვინაიდან მენარდემ სამუშაო 2012 წლის 20 სექტემბრის ნაცვლად, იმავე წლის 19 ნოემბერს დაასრულა, მას შემკვეთისათვის პირგასამტეხლოს სახით უნდა გადაეხადა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.2% თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, რაც 135 651 ლარს შეადგენდა (სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლები).

6. მოპასუხემ (შემკვეთმა) შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი, 380 000 ლარი, მოსარჩელეს 2012 წლის 13 დეკემბერს გადაუხადა. ამ უკანასკნელმა, იმავე დღეს შემკვეთს უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადაუხადა პირგასამტეხლო – 139 406.1 ლარი. ამის შემდეგ შემკვეთმა მოსარჩელეს შესრულებული სამუშაოს ღირებულების დარჩენილი 248 558. 88 ლარი, გადაურიცხა ანგარიშზე.

7. 2013 წლის 23 მაისს მენარდემ სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების (1 130 426 ლარის) 0,2% ოდენობით პირგასამტეხლოს (2260X84 დღეზე) – 189 840 ლარის დაკისრებისა და მის მიერ პირგასამტეხლოს სახით შემკვეთისათვის გადახდილი 139 406.1 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ:

6.1. მან შემკვეთს უსაფუძვლოდ გადაუხადა 139 406,1 ლარი (პირგასამტეხლო და ჯარიმა). წინამდებარე გადაწყვეტილების მესამე პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებაზე დაყრდნობით ის ასაბუთებდა, რომ შესრულების ვადის გადაცილება მისი ბრალი არ იყო და ის იძულებული გახდა, ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლოს სახით შემკვეთისათვის 139 406.1 ლარი გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრულად გადახდაზე, რაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა მის სამენარმეო საქმიანობას, რადგან მას სხვა საშუალება არ გააჩნდა მუშა-მოსამსახურეების შრომისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.

6.2. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ მოპასუხემ შესრულებული სამუშაოების ღირებულება დაგვიანებით გადაუხადა და ამიტომ 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 13 დეკემბრის ჩათ-

ვლით ვადაგადაცილებსათვის მას უნდა დაჰკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების (1 130 426 ლარის) 0,2%-ის ოდენობით (1 დღე – 2260 ლარი X 84 დღეზე), სულ 189 840 ლარის ოდენობით.

7. მოპასუხემ მოთხოვნა გამოიციხა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

7.1. მუნიციპალიტეტის კომისიამ მოსარჩელეს 2012 წლის 14 სექტემბერს, მეორე დღესვე, წერილობით უპასუხა, რომ ის უარს აცხადებდა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, რადგანაც მენარდეს სხვა ობიექტზეც ჰქონდა სამუშაოები დასასრულებელი, რაშიც მას ხელს არ უშლიდა მის მიერ მითითებულ ქუჩებზე წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

7.2. მოსარჩელემ სამუშაოების შესრულების თაობაზე შედგენილი ექსპერტიზის აქტი 2012 წლის 27 ნოემბერს წარუდგინა შემკვეთს. ამ დასკვნის საფუძველზე, იმავე წლის 10 დეკემბერს, შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადგინდა, რომ მენარდეს შესრულებელი დარჩა 3 129 ლარის სამუშაოები, რის გამოც მას უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო – 3 129 ლარის 120% და ჯარიმაც ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.2% სამუშაოს 60 დღით (პერიოდი 20 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე) ვადაგადაცილებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსარჩელეს თავის დროზე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

7.3. მოპასუხის მტკიცებით, მას ვალდებულება არ დაურღვევია. მან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 3 დღეში, 13 დეკემბერს, სრულად აუნაზღაურა მენარდეს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა უარყოფილ იქნა. სასამართლომ სსკ-ის 361-ე, 417-ე, მე-400 მუხლებზე დაყრდნობით დაასკვნა შემდეგი:

8.1. შემკვეთს შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა გადაეხადა სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში. აქტი შედგა 2012 წლის 10 დეკემბერს, ხოლო სამუშაოს ღირებულება შემკვეთმა გადაიხადა იმავე წლის 13 დეკემბერს, შესაბამისად, მას ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა არ დაურღვევია.

8.2. მხარეებმა 2012 წლის 10 დეკემბრის აქტში მიუთითეს, რომ მენარდეს ვალდებული იყო, შეუსრულებელი სამუშაოს 120% და პირგასამტეხლოს – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2% გადაეხადა, რითაც მენარდემ, ანუ მოსარჩელემ, თავის დროზე აღიარა ვალდებულების არსებობა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს 2012 წლის 13 სექტემბრის წერილის პასუხი (ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ) 2012 წლის 14 სექტემბერს ჩაჰბარდა. მოპასუხეს არც სასამართლო სხდომებზე და არც შესაგებელზე თანდართულ მასალებში არ წარმოუდგენია წერილის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. ასეთ პირობებში, მოსარჩელემ, კანონიდან გამომდინარე, მოპასუხის დუმილი თანხმობად მიიჩნია (სსკ-ის 335-ე მუხლი) და ჩათვალა, რომ ხელშეკრულების ვადა გაგრძელებული იყო. საკრებულომ მოსარჩელეს 60 დღის ვადაგადაცილებისათვის არასწორად დააკისრა პირგასამტეხლო, რაც სასამართლომაც არასწორად გაიზიარა.

9.2. სასამართლომ, სსკ-ის 361-ე მუხლზე მითითებით (ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია), არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მან არ გაითვალისწინა სსკ-ის 398-ე მუხლის დანაწესი (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). აპელანტმა ყველა მტკიცებულება წარადგინა იმის დასადასტურებლად, რომ მოსაასფალტებელ ქუჩებზე შეუძლებელი იყო მუშაობა. ამასთან, მოპასუხეს, არც ხელშეკრულების დადების დროს და არც შემდგომ არ გაუფრთხილებია მოსარჩელე, რომ სარეაბილიტაციო ქუჩებზე სექტემბერ-ოქტომბერში სხვა სამუშაოებიც უნდა შესრულებულიყო.

9.3. სასამართლომ არ გამოიკვლია, ჰქონდა თუ არა მოპასუხის მხრიდან იძულებას ადგილი. ამ უკანასკნელმა ისარგებლა მოსარჩელის მძიმე მატერიალური მდგომარეობით და აიძულა, უკანონოდ დაკისრებული პირგასამტეხლო საკრებულოს ანგარიშზე ჩაერიცხა.

9.4. გარდა ამისა, სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 420-ე მუხლი (პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ) და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, არ შეამცირა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისთვის მხოლოდ 139 406,1 ლარის (მის მიერ გადახდილი პირგასამტეხლოს) დაკისრება (უკან დაბრუნება) მოითხოვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 38 434,5 ლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და შემდეგი დასკვნები გამოიტანა:

11.1. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხემ მოსარჩელის 2012 წლის 13 სექტემბრის წერილს უპასუხა და სამუშაოების შესრულების ვადის 2012 წლის 7 ოქტომბრამდე გაგრძელებაზე თანხმობა არ გაუცია, მოპასუხეს ეკისრებოდა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102-ე მუხლის პირველი ნაწილი). რადგანაც ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო მითითებული გარემოების დამტკიცება, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს პირგასამტეხლო უნდა დაჰკისრებოდა არა 2012 წლის 20 სექტემბრიდან, არამედ 2012 წლის 7 ოქტომბრიდან – 19 ნოემბრამდე (ანუ 43 დღეზე, ნაცვლად 60 დღისა), რაც, მოცემულ შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი პირგასამტეხლოს – 38 434,5 ლარის (2260.85X17 დღეზე) უკან დაბრუნების საფუძველს ქმნის.

11.2. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ მოსარჩელემ, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, ფაქტობრივად, აღიარა ვალდებულება და განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ 1 127 296,77 ლარის ღირებულების სამუშაოებისა და „შემსყიდველის“ მხრიდან მისთვის 139 406,1 ლარის პირგასამტეხლოს დარიცხვის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებას და მასზე მოსარჩელე ორგანიზაციის დირექტორის ხელმოწერის არსებობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ვალის აღიარებად შეფასდეს.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. მან გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა. კასატორის მოსაზრებით:

12.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, ის ფაქტი რომ სარემონტო სამუშაოების შესრულების ვადა 2012 წლის 7 ოქტომბრამდე გაგრძელდა. სინამდვილეში, იმავე წლის 14 სექტემბრის საპასუხო წერილით მოსარჩელეს ფოსტის საშუალებით ეცნობა იმის შესახებ, რომ შემკვეთი ვადის გაგრძელებაზე თანახმა არ იყო. ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება ვერ მოხერხდა, რადგან გზავნილების მოძიების პერიოდი განისაზღვრება 6 თვის ვადით, სარჩელი კი აღიძრა 2013 წლის მაისში.

12.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა ხელშეკრულების 14.5. პუნქტის დათქმა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედიოდა და იურიდიულ ძა-

ლას შეიძენდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობით შეთანხმებას ორივე მხარე მოაწერდა ხელს.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება დადგენა ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

15. შემკვეთისათვის გადახდილი 139 406.1 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნას მოსარჩელე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე ამყარებდა (სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტი, 978-ე და 979-ე მუხლის პირველი ნაწილი). ის ამტკიცებდა, რომ არ იყო ვალდებული, მოპასუხისათვის გადაეხადა პირგასამტეხლო და ჯარიმა – 139 406,1 ლარი, რადგანაც სამუშაოების შესრულების ვადა მას არ დაურღვევია. შემკვეთი ემუქრებოდა, რომ არ აუნაზღაურებდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, რის გამოც ის იძულებული გახდა, გადაეხადა მოთხოვნილი პირგასამტეხლო. მან შემკვეთს წერილობით შეატყობინა, რომ მოსაასფალტებელი ქუჩებიდან ორ მათგანზე (ბ-ისა და ს-ს ქუჩებზე) გამოვლინდა ე.წ. სამუშაოების ზედდება, კერძოდ, ამ ქუჩებზე სხვა ორგანიზაცია წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა. გარდა ამისა, ასფალტ-ბეტონის მოსამზადებელი ნედლეული საზღვარგარეთიდან დაგვიანებით შემოდიოდა, რის გამოც მან სამუშაოების ვადის გაგრძელება 2012 წლის 7 ოქტომბრამდე

ითხოვა. რადგანაც შემკვეთი ემუქრებოდა, რომ არ აუნაზღაურებდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ის იძულებული იყო, გადაეხადა მოთხოვნილი პირგასამტეხლო.

16. შემკვეთის საკასაციო პრეტენზია შეეხება იმას, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოტანილი დასკვნა, 2012 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზების სარემონტო სამუშაოების შესრულების ვადის 2012 წლის 7 ოქტომბრამდე გაგრძელების შესახებ, არასწორია. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას შემდეგი დასაბუთებით: 16.1. სააპელაციო სასამართლომ მენარდის მიერ სარემონტო სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელებულად მიიჩნია და დაასკვნა, რომ მოსარჩელეს პირგასამტეხლო უნდა დაჰკისრებოდა არა 2012 წლის 20 სექტემბრიდან, არამედ 2012 წლის 7 ოქტომბრიდან – 19 ნოემბრამდე (ანუ 43 დღეზე, ნაცვლად 60 დღისა), რაც მოცემულ შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი პირგასამტეხლოს – 38 434,5 ლარის (2260.85X17 დღეზე) უკან დაბრუნებას ექვემდებარებოდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მცდარი შეფასების შედეგად არასწორი დასკვნა გამოიტანა სარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანობასთან მიმართებით. სასამართლომ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხემ მოსარჩელის 2012 წლის 13 სექტემბრის წერილს უპასუხა და სამუშაოების შესრულების ვადის 2012 წლის 7 ოქტომბრამდე გაგრძელებაზე თანხმობა გასცა, მოპასუხეს არასწორად დააკისრა. დადგენილია, რომ მოცემული დავა ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობას უკავშირდება (სსკ-ის 629-ე და მომდევნო მუხლები). მხარეებმა 2012 წლის 7 აგვისტოს ნარდობის ხელშეკრულება წერილობით გააფორმეს და დათქვეს, რომ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა წერილობით უნდა მომხდარიყო (იხ. 2012 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულების 14.5 პუნქტი). კანონის თანახმად, ფორმას უზრუნველყოფდა წერილების ურთიერთგაცვლაც (სსკ-ის 328-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამ კუთხით დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მატარებელი იყო მოსარჩელე. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი სადავო გარემოებების მტკიცების სტანდარტის მიხედვით, ყოველი მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულებების წარდგენით, დაადასტუროს საკუთარი პოზიციის სისწორე და უტყუარობა სასამართლოს წინაშე. აღნიშნული წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გულისხმობს შემდეგს: მოსარჩელემ უნდა წარადგინოს მის სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო მოპა-

სუხე, რომელიც არ ეთანხმება სასარჩელო განცხადებას, მოსარჩელის არგუმენტებისაგან თავდაცვის მიზნით, ვალდებულია, საპასუხო მტკიცებულებების წარდგენით გააქარწყლოს მოსარჩელის პოზიცია (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი). მენარდემ, რომელიც თავის მოთხოვნას სარემონტო სამუშაოების ვადის 2012 წლის 7 ოქტომბრამდე გაგრძელებაზე ამყარებდა, ვერ წარუდგინა სასამართლოს ვადის გაგრძელების დამადასტურებელი მტკიცებულება. მან ვერ დაამტკიცა, რომ შემკვეთი საპასუხო წერილით ვადის გაგრძელებას დასთანხმდა. პირიქით, ამ გარემოების გასაბათილებლად შემკვეთმა სასამართლოს წარუდგინა 2012 წლის 14 სექტემბერს მენარდისათვის გაგზავნილი საპასუხო წერილი №725, საიდანაც დასტურდება, რომ ვადის გაგრძელებაზე შეთანხმება არ შედგა. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი 2012 წლის 10 დეკემბრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, საიდანაც დგინდება, რომ მენარდე ფაქტობრივად ადასტურებდა ვადის გადაცილებას და თანახმა იყო, გადაეხადა პირგასამტეხლო 139 406,1 ლარი, რაც მან შეასრულა კიდევ.

16.2. ამრიგად, რადგანაც მენარდემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები, 2012 წლის 20 სექტემბრის ნაცვლად, იმავე წლის 19 ნოემბერს დაასრულა, მას, სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლების საფუძველზე, წარმოეშვა შემკვეთისათვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რამაც 139 406.1 ლარი შეადგინა.

17. რაც შეეხება მოსარჩელის მტკიცებას, რომ, რადგანაც ის შემკვეთმა აიძულა გადაეხადა პირგასამტეხლო, სსკ-ის 978-ე მუხლის დანაწესი მას ანიჭებდა შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. ჯერ ერთი, არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია მას, მეორეც, რომც დადასტურებულად მიგვეჩნია იძულება, მოთხოვნა მაინც წარუმატებელი იქნებოდა, რადგანაც შემკვეთს უფლება ჰქონდა გადაცემულზე (პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია, მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე, მუხლი 978).

18. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილვე-

ლად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

19. კასატორი სახელწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „კ-ის“ სარჩელი და ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შპს „კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 38 434.50 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 2063.50 ლარის გადახდა;

3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

4. შპს „კ-ის“ სარჩელი მოპასუხე ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ გადახდილი პირგასამტეხლოს უკან დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი
საშუალებანი**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სასხლიტო**

№ას-1747-2019

28 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა
პალატა**
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საბანკო გარანტიის სახით მიღებული თანხის გადახდევისინება

აღწერილობითი ნაწილი:

1. უცხოური საწარმოს ფილიალი „შ.პ.ა. მ.კ.ს-ომ“ (შემდეგში: მოსარჩელე) სარჩელი აღძრა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდეგში: მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: (1) მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 3 თებერვლის №33 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებისა და მის საფუძველზე, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 40 300.00 ლარის, გამოთხოვის თაობაზე 21.03.2017 წელს გაცემული №01/1854 მოთხოვნის ბათილად ცნობა; (2) 40 300.00 ლარის ანაზღაურების დაკისრება (რაც წარმოადგენს ბანკის მიერ 02.02.2017 წელს გაცემული №... საბანკო გარანტიის თანხას, რომელიც მოსარჩელის მიერ ვალდებულების ვითომდა დარღვევის გამო, გამოთხოვილი იქნა მოპასუხის მიერ); (3) მოსარჩელის გათავისუფლება მოპასუხის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებით დაკისრებული, 9670.90 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდისაგან; (4) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33 ხელშეკრულების არამართლობიერი შეწყვეტის გამო, მოპასუხისათვის, მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 44 073.00 ლარის ოდენობით, მოსარჩელის სასარგებლოდ; (5) მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება, საბანკო გა-

რანტიის თანხის – 40 300 ლარის წლიური 10%-ის ოდენობით – 2017 წლის 31 მარტიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

2. მოსარჩელემ მოთხოვნა დაასაბუთა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

3. 03.02.2017წ.-ს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33 ხელშეკრულება, 805 908 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულების შესახებ, რომლის ფარგლებში, მოსარჩელემ იკისრა ქ. ქობულეთში, ქუჩის მოასფალტების და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესრულების ვალდებულება, მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 150 დღის ვადაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები კომპანიას უნდა დაეწყო მოპასუხის მიერ ნებართვის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში. ვინაიდან ნებართვის გაცემის კონკრეტული ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრული არ ყოფილა, კომპანიამ 14.03.2017 წელს წერილობით მიმართა მოპასუხეს და აცნობა, რომ მზად იყო სამუშაოების დაუყოვნებლივ დასაწყებად და სთხოვა ნებართვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მონოდება. 16.03.17 წელს მოსარჩელეს ერთდროულად ჩაბარდა სამუშაოს დაწყების შესახებ ნებართვა, გაფრთხილების წერილი (№01/1425, 02.03.2017) და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ 15.03.17 წლის №01-06-257 ბრძანება. სწორედ 2017 წლის 16 მარტს ანუ, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, გახდა ცნობილი მოსარჩელისათვის, რომ მოპასუხის მიერ, ნებართვა, სამუშაოს დაწყების შესახებ გაცემული ყოფილა 2017 წლის 21 თებერვალს. ნებართვის გაცემიდან 5 დღის ვადაში, კომპანიის მიერ სამუშაოების დაწყების ვალდებულების ვითომდა შეუსრულებლობის გამო, გამგეობამ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და კომპანიას დააკისრა 9670,90 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო. გარდა ამისა, 22.03.2017 წელს, მოპასუხემ მიმართა ბანკს, კომპანიის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად, 02.02.2017წ. წარდგენილი საბანკო გარანტიის თანხის – 40 300.00 ლარის გამგეობის ანგარიშზე გადარიცხვის მოთხოვნით, რაც შესრულდა ბანკის 31.03.2017წ. №01 საგადასახადო დავალებით.

4. მოპასუხემ ხელშეკრულება შეწყვეტა არამართლზომიერად, კერძოდ, მან არ უზრუნველყო სათანადო წესით მოსარჩელის ინფორმირება სამუშაოს დაწყების შესახებ. კომპანია კი, არ იყო უფლებამოსილი ნებართვის მიღებამდე დაეწყო სამუშაოები. შესაბამისად, ნებართვის მიღებამდე სამუშაოს შეუსრულებლობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი.

5. ხელშეკრულების არამართლზომიერი შეწყვეტით, მოსარჩელემ მიიღო ზიანი, მიუღებელი შემოსავლის სახით, მათ შორის, ხელშეკრულებით მისაღები მოგების თანხის – 44 073.00 ლარისა და საბანკო გარანტიის თანხის – 40 300 ლარის წლიური 10%-ის ოდენობით – 2017 წლის 31 მარტიდან.

6. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სამუშაოთა დაწყების შესახებ ნებართვა გაეგზავნა წერილობით, თუმცა, ვერ ჩაბარდა, რის შემდეგაც, მოპასუხის ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით, ზეპირსიტყვიერად მიეწოდა ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დაწყების შესახებ. თუმცა, მან ნებართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში არ უზრუნველყო სამუშაოების დაწყება, რის გამოც, მოპასუხე უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნეს ცნობილი მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 3 თებერვლის №33 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანება და მის საფუძველზე, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 40 300.00 ლარის გამოთხოვის თაობაზე 21.03.2017 წელს გაცემული №01/1854 მოთხოვნა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის თანხის – 40 300.00 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელე გათავისუფლდა მოპასუხის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებით დაკისრებული პირგასამტეხლოს – 9670.90 ლარის გადახდისაგან (იხ., სარჩელის მოთხოვნები (1) (2) (3) ამ განჩინების პ.1). არ დაკმაყოფილდა მოთხოვნები: მოპასუხისათვის 44 073.00 ლარის ოდენობით, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში; საბანკო გარანტიის თანხის – 40 300 ლარის წლიური 10%-ის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში (იხ., სარჩელის მოთხოვნები (4) (5) და საფუძვლები ამ განჩინების პ. 1, 5).

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო

საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანება და მოსარჩელე გათავისუფლდა დაკისრებული პირგასამტეხლოს – 9670.90 ლარის გადახდისაგან და ამ ნაწილში, 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებით დაკისრებული პირგასამტეხლო განისაზღვრა 1934,18 ლარით. სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

11. 2017 წლის 3 თებერვალს, მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33 ხელშეკრულება (შემდეგში – ხელშეკრულება), რომლის საფუძველზე, მოსარჩელემ იკისრა ქ. ქობულეთში, ... ქუჩის მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესრულების ვალდებულება. სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა 805 908.00 ლარით. ამავე ხელშეკრულების 3.2. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 150 დღე, მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან. მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, სამუშაოები დაენყო ნებართვის მოპოვების შემდეგ, 5 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოს არ დაიწყებდა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში, აღნიშნული დღეების გასვლის შემდეგ დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველ არდაწყებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით (ხელშეკრულების 11.3.3. პუნქტი). თუ პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეენწყვიტა ხელშეკრულება (ხელშეკრულების 11.3.4. პუნქტი).

12. ხელშეკრულების 12.3. პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში და ა.შ. შემსყიდველი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა გარანტიის გამცემი ორგანოსათვის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

13. 03.02.2017 წლის ხელშეკრულების დადებამდე, ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილ იქნა ბანკის მიერ, 2017 წლის 02 თებერვალს გაცემული, 40300.00 ლარის ოდენობის საბანკო გარანტია – №...

14. 2017 წლის 21 თებერვალს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის

გამგეობამ გასცა 03.02.2017 წლის №33 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ნებართვა.

15. სამუშაოთა დაწყების ნებართვის/თანხმობის თაობაზე მოსარჩელის ინფორმირების მიზნით, წერილობითი შეტყობინება კომპანიას გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., თუმცა, გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა.

16. 2017 წლის 10 მარტს, მოპასუხემ, იმავე მისამართზე, 02.03.2017 წლის №01/145 გაფრთხილების წერილი გაუგზავნა მოსარჩელეს და აცნობა სამუშაოთა დაწყებლობის გამო, ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, თუმცა, წერილობითი კორესპოდენცია ადრესატს ამჯერადაც ვერ ჩაბარდა.

17. 2017 წლის 14 მარტს, მოსარჩელემ თავად მიმართა მოპასუხეს და აცნობა, რომ მან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად განახორციელა გარკვეული ღონისძიებები, მათ შორის, აწარმოა მოლაპარაკებები და გააფორმა ხელშეკრულებები კონტრაქტ კომპანიებთან ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სამშენებლო მასალისა და შესაბამისი ტექნიკის მობილიზების მიზნით; შეისყიდა და სამუშაოების დაწყების ადგილზე განათავსა 504 გრძივი მეტრი გოფირებული მილი, დიამეტრით – 200 მმ შ-8; მოახდინა მიძიმე ტექნიკის, ასფალტის საჭრელი დანადგარის და სხვა საჭირო ტექნიკის მობილიზება. გარდა ამისა, 2017 წლის 14 მარტის წერილით, მოსარჩელემ ითხოვა, მომხდარიყო მისი ინფორმირება სამუშაოების დაწყების ნებართვის/თანხმობის გაცემის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული ნებართვის მიღებამდე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეწყო სამუშაოები.

18. 2017 წლის 15 მარტს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოსცა №01-06-257 ბრძანება, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს – 9670.90 ლარის დაკისრების თაობაზე.

19. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასა და პირგასამტეხლოს დაკისრებას საფუძვლად დაედო მოსარჩელის მხრიდან 03.02.2017 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნებართვის გაცემიდან 5 დღის ვადაში დაუწყებლობის მიზეზით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს, მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 1%-მდე მიღწევა.

20. 2017 წლის 21 მარტს, მოპასუხემ (ბენეფიციარი) №01/1854 წერილით მიმართა ბანკს (გარანტი) 2017 წლის 2 თებერვალს გაცემული, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფი საბანკო გარანტიით №პე39766-17 გათვალისწინებული თანხის – 40 300 ლა-

რის გამგეობის ანგარიშზე გადარიცხვის მოთხოვნით. მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის 31.03.2017წ. №01 საგადასახადო დავალებით, საბანკო გარანტიის თანხა – 40300 ლარი სრულად გადაირიცხა გამგეობის საბანკო ანგარიშზე.

21. მოპასუხემ 2017 წლის 17 მარტის №01/1766 წერილით მიმართა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ნებართვის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში, კომპანიის მიერ სამუშაოების დაწყების ვალდებულების დარღვევის გამო, კომპანიის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით. თუმცა, 2017 წლის 02 მაისს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ გამოსცა №1340 განკარგულება „მოსარჩელის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ“ იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს სამუშაოთა დაწყების შესახებ ნებართვის გაცემის თაობაზე ინფორმაცია არ გადასცემია.

22. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარჩელემ, მის ფაქტიურ მისამართად მიუთითა – ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ... (იხ. ხელშეკრულება). საფოსტო უკუგზავნილებით ირკვეოდა, რომ მოპასუხის 21.02.2017წ და 02.03.2017 წერილები მშენებლობის წარმოებაზე თანხმობის გაცემის, სამუშაოთა დაწყების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის, ასევე, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1%-მდე ოდენობით პირგასამტეხლოს მიღწევის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, მოსარჩელეს გაეგზავნა ორჯერ, მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ..., თუმცა, გზავნილები ადრესატს ვერ ჩაბარდა მოუძიებლობის გამო, მათ შორის, მეორე გზავნილი ვერ ჩაბარდა 14.03.2017წ. და უკან დაუბრუნდა გამგზავნს.

23. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ბანკის მიერ, 2017 წლის 31 მარტს დაკმაყოფილებული იქნა მოსარჩელის დავალებით, 2017 წლის 02 თებერვალს გაცემული №39766-17 გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის – მოპასუხის მიერ წამოყენებული მოთხოვნა და გადაირიცხა მოთხოვნის თანხა 40,300 ლარის ოდენობით. ვინაიდან, აღნიშნული გარანტიის უზრუნველყოფას წარმოადგენდა მოსარჩელის კუთვნილი ფულადი თანხა, რაც PE39766-17-ა გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გადატანილი იქნა ბანკის სპეციალურ ანგარიშზე, მოთხოვნის თანხის გადარიცხვის შემდეგ, მოსარჩელეს, ბანკის მიმართ, წარმოემუვა დავალიანება, რისი დაფარვაც მოხდა ზემოაღნიშნული გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დაგირავებული, მოსარჩელის კუთვნილი თანხიდან.

24. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეები სადავოდ ხდიდნენ იმ გარემოებებს, რომლებიც შეეხებოდა მოსარჩელისათვის, 2017 წლის 3 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33 ხელშეკრულების (ნარდობის ხელშეკრულების) შეუსრულებლობის/სამუშაოების არ დაწყების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და საბანკო გარანტიის თანხის გადახდევინების მართლზომიერებას.

25. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ, სამუშაოს შესრულების ნებართვა/თანხმობის თაობაზე მოსარჩელის ინფორმირება მოახდინა. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 4.4 მუხლზე, რომლის თანახმად, მენარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად). ვინაიდან, საქმეში განთავსებული საფოსტო გზავნილებით ირკვეოდა, რომ სამუშაოთა დაწყების ნებართვის/თანხმობის თაობაზე შეტყობინება მოსარჩელეს გაეგზავნა ორჯერ, ხელშეკრულებაში, მის მიერვე მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., მიუხედავად იმისა, რომ მისამართზე არავინ დახვდა, პირველივე გზავნილის შესაბამისად 2017 წლის 22 თებერვალს შეტყობინება ოფიციალურად გაგზავნილად და ჩაბარებულად უნდა მიჩნეულიყო. შესაბამისად, დაცული იყო შეტყობინების ადრესატისათვის გაგზავნის წესები.

26. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე კისრულობდა ვალდებულებას სამუშაოები დაეწყო ნებართვის მოპოვების შემდეგ 5 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოს არ დაიწყებდა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში, აღნიშნული დღეების გასვლის შემდეგ დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველ არდაწყებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოთა დაწყების ნებართვის/თანხმობის თაობაზე შეტყობინება მოსარჩელეს იფიციალურად გაეგზავნა და ჩაბარებულად ითვლებოდა, 2017 წლის 22 თებერვალს, მოსარჩელე ვალდებული იყო სამუშაოთა შესრულება დაეწყო 5 დღის ვადაში, რაც არ განახორციელა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, პირგასამტეხ-

ლოს დაკისრების წინაპირობები წარმოშობილად მიიჩნია.

27. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს განაკვეთი არაგონივრულად მიიჩნია და მის შესამცირებლად იხელმძღვანელა სსკ-ის 420-ე მუხლით. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო ყოველ არდანყებულ დღეზე, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით შემცირდა და განისაზღვრა 0,02%-ით. ამდენად, პირგასატეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა 161,18 ლარით, ხოლო 12 დღის პირგასამტეხლო, ნაცვლად 9670,90 ლარისა – 1934,18 ლარით ($805\ 908 \times 0,02\% \times 12 = 1934,18$). შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მთლიანად გაუქმდა, შემსყიდველის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლო გაუქმდა და მოპასუხის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებით დაკისრებული პირგასამტეხლო განისაზღვრა 1934,18 ლარით.

28. რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგზე: ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასა და პირგასამტეხლოს დაკისრებას საფუძვლად დაედო ნებართვის გაცემიდან 5 დღის ვადაში მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაუწყებლობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 12 დღის პირგასამტეხლოს ოდენობის, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1%-მდე მიღწევა.

29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405.1 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

30. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტამდე დამატებითი ვადა არ განუსაზღვრავს და არც ისეთ გარემოებაზე მიუთითებია, რაც დაადასტურებდა, რომ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი, რაც აუცილებელს გახდიდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას, მოპასუხის 2017 წლის 15 მარტის, №01-06-257

ბრძანება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე უმართებულოდ იქნა მიჩნეული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

31. ხელშეკრულების შეწყვეტის არამართლზომიერებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა იმაზე, რომ მოპასუხის 2017 წლის 15 მარტის, №01-06-257 ბრძანების შინაარსის მიხედვით, შეწყვეტას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1%-ს. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, 12 დღის პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად განისაზღვრა 1934,18 ლარი, რაც ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 805 908 ლარის 1%-ზე ნაკლებია, შესაბამისად, ამ საფუძვლითაც არ არსებობდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის წინაპირობა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ბრძანება, სწორი იყო.

32. ასევე, დადგენილი იქნა, რომ მოპასუხემ, საბანკო გარანტიის თანხა – 40300 ლარი მიიღო. ეს თანხა ბანკმა მოსარჩელის ანგარიშზე არსებული კუთვნილი თანხიდან აინაზღაურა. მხარეები დაობდნენ ასევე, საბანკო გარანტიის სახით მიღებული თანხის გადახდევინების მართებულობაზე. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ განმარტა სსკ-ის 879-ე, 880-ე, 881-ე მუხლების მიხედვით საბანკო გარანტიის არსი და ფუნქცია სახელშეკრულებო ურთიერთობაში. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმისათვის, რომ განსახილველ შემთხვევაში, დადგენილიყო არსებობდა თუ არა პრინციპალის მიერ, საბანკო გარანტიის გამოთხოვის საფუძველი, უპირველესად უნდა დადგენილიყო, რა ვალდებულების დარღვევისათვის იყო გათვალისწინებული საბანკო გარანტიის გადახდა.

33. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, საბანკო გარანტიის თაობაზე შეთანხმება გაფორმდა წერილობით, თუმცა, მასში გამოხატული ნება, რომლითაც გარანტორი იღებდა ვალდებულებას „ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“ გადაეხადა გარანტიის თანხა – ბუნდოვან ჩანაწერად შეფასდა სააპელაციო სასამართლოს მიერ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების ამ ჩანაწერში არ იყო განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულების დარღვევა და მოითხოვდა განმარტებას. სსკ-ის 115-ე მუხლის შესაბამისად, კონკრეტული საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის კრედიტორზე გადახდის ვალდებულების წარმოიშობა ხელშეკრულების ნებისმიერ პირობის დარღვევისათვის, სა-

აპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს. როგორც, ბანკის გარანტიების სამსახურისადმი გაგზავნილი, მოპასუხის 2017 წლის 23 მარტის წერილით ირკვეოდა, საბანკო გარანტიის თანხა მოთხოვნილი იქნა იმ შემთხვევის გამო, რომ პრინციპალის მიმართ დარიცხულმა პირგასამტეხლომ გადააჭარბა მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, რამაც განაპირობა, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ბენეფიციარის მიერ, საბანკო გარანტიის გამოთხოვის კონკრეტულ საფუძველს წარმოადგენდა, ხელშეკრულების 11.3.3 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ზღვრულ ოდენობამდე მიღწევა და ამ საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტა. იმის გათვალისწინებით, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შემცირდა და დადგენილი იქნა, რომ არ არსებობდა სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა ხელშეკრულების შეწყვეტისა, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე (ბენეფიციარი) არ იყო უფლებამოსილი მოეთხოვა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

34. ამდენად, მოპასუხეს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა მიღებული ჰქონდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც, სსკ-ის 976-ე (1 „ა“) და 979-ე (1) მუხლების შესაბამისად, ექვემდებარებოდა დაბრუნებას, რის გამოც, არ არსებობდა ამ ნაწილში, მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

35. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით.

36. მოპასუხემ (აპელანტი) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მოსარჩელემ (მონინააღმდეგე მხარე) – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება 1934.18 ლარის (პირგასამტეხლო) დაკისრების ნაწილში.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. შესაბამისად, საკასაციო პალატა ყურადღებას შეაჩერებს მხოლოდ მოსარჩელე (მონინააღმდეგე მხარის) საკასაციო საჩივრის საფუძველებზე, რომლის მიხედვით, კასატორი სადავოდ ხდის მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს 1934.18 ლარის დაკისრების კანონიერებას. კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა ხელშეკრულების დარღვევის, კონკრეტულად კი, დადგენილ ვადაში, სამუშაოების არ დაწყების გამო, მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობა. მეორე კასატო-

რი აღნიშნავს, რომ არ დასტურდება მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, რადგან სამუშაოთა დაწყების შესახებ ნებართვა მოსარჩელეს არ ჩაბარებია. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება, მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლიანობას. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინება სამუშაოთა დაწყების ნებართვის გაცემის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არ ეფუძნება სამართლის კონკრეტულ ნორმას (იხ., ამ განჩინების პ. 25). მოპასუხეს შეეძლო მოსარჩელისათვის შეტყობინება გაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც ასევე მითითებული იყო იურიდიული პირების რეესტრში, თუმცა, არ გააგზავნა. მეორე კასატორის მითითებით, სახელმწიფო შესყიდვებიდან გამომდინარე, მიმონერა მიმდინარეობს სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე, მიმონერა სავალდებულო არაა. შეტყობინება ოფიციალურად ჩაბარებულად ითვლება სისტემაში მისი ჩატვირთვის მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს შეტყობინება სისტემაში არ აუტვირთავს. ამდენად, მოპასუხემ ვერ წარმოადინა ვერც ერთი მტკიცებულება, რაც მოსარჩელისათვის, თუნდაც, ზეპირსიტყვიერად, ნებართვის გაცემის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დადასტურებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2020 წლის 16 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

39. კასატორის ძირითადი პრეტენზია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მისთვის 1934.18 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების არაკანონიერებას შეეხება. კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა ხელშეკრულების დარღვევის, კონკრეტულად კი, დადგენილ ვადაში, სამუშაოების არ დაწყების გამო, მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობა.

40. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის მიმართ კასატორს შეეძლება არ წარმოუდგენია და მაშასადამე, ამ გარემოებებს საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია:

41. 2017 წლის 3 თებერვალს, მხარეთა შორის გაფორმდა სახელ-

მნიფო შესყიდვის შესახებ №33 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, მოსარჩელემ იკისრა ქ. ქობულეთში, ... ქუჩის მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესრულების ვალდებულება. სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა 805 908.00 ლარით. ამავე ხელშეკრულების 3.2. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 150 დღე, მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან. მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, სამუშაოები დაეწყო ნებართვის მოპოვების შემდეგ, 5 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმნოდებელი სამუშაოს არ დაიწყებდა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში, აღნიშნული დღეების გასვლის შემდეგ დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველ არდაწყებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით (ხელშეკრულების 11.3.3. პუნქტი). თუ პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეენეციტა ხელშეკრულება (ხელშეკრულების 11.3.4. პუნქტი).

42. 2017 წლის 21 თებერვალს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გასცა 03.02.2017 წლის №33 სახელმნიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ნებართვა. სამუშაოთა დაწყების ნებართვის/თანხმობის თაობაზე მოსარჩელის ინფორმირების მიზნით, წერილობითი შეტყობინება კომპანიას გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., თუმცა, გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა. 2017 წლის 10 მარტს, მოპასუხემ, იმავე მისამართზე, 02.03.2017 წლის №01/145 გაფრთხილების წერილი გაუგზავნა მოსარჩელეს და აცნობა სამუშაოთა დაუწყებლობის გამო, ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, თუმცა, წერილობითი კორესპოდენცია ადრესატს ამჯერადაც ვერ ჩაბარდა. 2017 წლის 14 მარტს, მოსარჩელემ თავად მიმართა მოპასუხეს და აცნობა, რომ მან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად განახორციელა გარკვეული ღონისძიებები, მათ შორის, აწარმოა მოლაპარაკებები და გააფორმა ხელშეკრულებები კონტრაქტ კომპანიებთან ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სამშენებლო მასალისა და შესაბამისი ტექნიკის მობილიზების მიზნით; შეისყიდა და სამუშაოების დაწყების ადგილზე განათავსა 504 გრძივი მეტრი გოფირებული მილი, დიამეტრით – 200 მმ შ-8; მოახდინა მძიმე ტექნიკის, ასფალტის საჭრელი და ნადგარის და სხვა საჭირო ტექნიკის მობილიზება. გარდა ამისა, 2017 წლის 14 მარტის წერილით, მოსარჩელემ ითხოვა, მომხდარიყო მისი ინფორმირება სამუშაოების დაწყების ნებართვის/თანხმობის გა-

ცემის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული ნებართვის მიღებამდე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეწყო სამუშაოები.

43. 2017 წლის 15 მარტს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოსცა №01-06-257 ბრძანება, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს – 9670.90 ლარის დაკისრების თაობაზე, რასაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მხრიდან 03.02.2017 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნებართვის გაცემიდან 5 დღის ვადაში დაუწყებლობის მიზეზით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს, მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 1%-მდე მიღწევა.

44. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილია წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. ასევე უდავოა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძვლად დაედო კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, თუმცა, ამავე საქმეზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 მარტის განჩინებით დადგენილია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტა არამართლობიერად, შესაბამისი წინაპირობების დაუცველად განხორციელდა (იხ., სუსგ №ას-1747-2019, 16.03.2020წ.), კერძოდ, დადგენილია, რომ მოპასუხემ არ დაიცვა სსკ-ის 405-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, როგორცაა გაფრთხილება, დამატებითი ვადის მიცემა და ა.შ. ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, რის გამოც, მოსარჩელეს დაეკისრა პირგასამტეხლო, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, დადგენილია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულების 3.2. პუნქტის მოთხოვნები და ნებართვის/თანხმობის მიღებიდან 5 დღეში არ დაიწყო სამუშაოთა წარმოება, მოპასუხეს დააკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

45. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ, სამუშაოს შესრულების ნებართვა/თანხმობის თაობაზე მოსარჩელის ინფორმირება მოახდინა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 4.4 მუხლზე, რომლის თანახმად, მენარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ გაცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზე-

დაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად). ვინაიდან, საქმეში განთავსებული საფოსტო გზავნილებით ირკვეოდა, რომ სამუშაოთა დაწყების ნებართვის/თანხმობის თაობაზე შეტყობინება მოსარჩელეს გაეგზავნა ორჯერ, ხელშეკრულებაში, მის მიერვე მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე – ქ. თბილისი, ... ქუჩა №33-ში, მიუხედავად იმისა, რომ მისამართზე არავინ დახვდა, პირველივე გზავნილის შესაბამისად 2017 წლის 22 თებერვალს შეტყობინება ოფიციალურად გაგზავნილად და ჩაბარებულად უნდა მიჩნეულიყო. შესაბამისად, დაცული იყო შეტყობინების ადრესატისათვის გაგზავნის წესები.

46. კასატორის (მოსარჩელე) მტკიცებით, მას ნებართვა/თანხმობა სამუშაოს დაწყებაზე, რომლის გარეშეც ის არ იყო უფლებამოსილი დაენდო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, არ მიუღია, რის გამოც, დაუშვებელია ის მიჩნეულ იქნეს ბრალეულად სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სწორედ ეს ფაქტობრივი გარემოებაა პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობების არსებობისთვის მნიშვნელოვანი.

47. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გა-

რემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

48. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხემ 2017 წლის 21 თებერვალს, მართალია, გასცა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ნებართვა/თანხმობა, მაგრამ ნებართვის/თანხმობის თაობაზე, მოსარჩელე კომპანიის ინფორმირება სათანადო წესით არ მოუხდენია. კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელე კომპანიას სამუშაოები უნდა დაენყო ნებართვის შინაარსის შესაბამისად. (მაგ. გამგეობის მიერ გაცემული ნებართვა მიმწოდებელს ავალდებულებდა უზრუნველყო სამუშაოების დაწყების პროცესში ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეთა დასწრება).

49. უდავოა, რომ ნებართვის მიღებამდე მოსარჩელე უფლება-მოსილი არ იყო დაენყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. შესაბამისად, სამუშაოების დაწყებამდე შემსყიდველი ვალდებული იყო უზრუნველყო მიმწოდებელი ნებართვის/თანხმობის გაცნობის შესაძლებლობით.

50. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ დაარწმუნა სასამართლო, რომ მან სათანადო წესით მოახდინა მოსარჩელის ინფორმირება სამუშაოთა დაწყების შესახებ. გარდა ამისა, მოპასუხეს არც კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება მიმწოდებლის ინფორმირებისათვის ამოუწურავს.

51. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე კომპანია ვალდებული იყო სამუშაო დაენყო ნებართვის მოპოვებიდან 5 დღის ვადაში, ის კი სამუშაოთა დაწყებაზე თანხმობის/ნებართვის შესახებ ინფორმირებული არ იყო, უნდა მივიჩნიოთ, რომ მას სამუშაოთა დაწყების ვალდებულება არ წარმოშობია და აქედან გამომდინარე, არ არსებობდა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში მოპასუხის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანების გამოცემის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-

ლების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერება.

52. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები.

53. შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (სუსგ 25.05.2010წ. საქმე №ას-1220-1480-09).

54. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

55. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

56. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხა-

რისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

57. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

58. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

59. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მართვად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სუსგ 06.05.2015წ. საქმე №ას-1158-1104-2014, 10.02.2016წ. საქმე №ას-1265-1187-2015).

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად,

იბ., Gottwald, in MuKo BGB, 6. Aufl. Band II §340, rn.15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340,Rn.71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2.Aaul., Rn.6; BGH NJW 1963, S.1197).

61. ამდენად, პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (იხ. საქმე №ას-816-767-2015, 19.11.2015წ.).

62. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (იხ. საქმე №ას-428-428-2018, 13.07.2018წ.).

63. პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. ამასთან, პირგასამტეხლოს მთელი ბედ-ილბალი ძირითადი უფლების ბედ-ილბალზეა დამოკიდებული, იგი ძირითადი უფლების სამსახურში დგას. შესაბამისად, პირგასამტეხლო უსაგნო იქნება, როცა მოვალის ბრალის გარეშე ვალდე-

ბულება ვერ შესრულდება ან ხელშეკრულება გაუქმდება (ლ. ჭანტურია და სხვები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2001წ, გვ. 489).

64. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

65. დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებით დაკისრებული პირგასამტეხლო შემცირდა და განისაზღვრა 1934,18 ლარით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატას წარმოშობილად არ მიაჩნია პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობები, ამიტომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს გასაჩივრებულ ნაწილში და მოსარჩელე სრულად უნდა გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

66. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

67. იმის გათვალისწინებით, რომ კასატორს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 300 ლარი და საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მონინალმდევე მხარეს კასატორის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. უცხოური სანარმოს ფილიალი – „შ.პ.ა. მ.კ.ს-ოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი უცხოური სანარმოს ფილიალი – „შ.პ.ა. მ.კ.ს-ოსათვის“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ 1934.18 ლარის (პირგასამტეხლო) დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. სარჩელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 15 მარტის №01-06-257 ბრძანებით დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდეს და უცხოური სანარმოს ფილიალი – „შ.პ.ა. მ.კ.ს-ო“ გათავისუფლდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდისაგან.

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს უცხოური სანარმოს ფილიალი – „შ.პ.ა. მ.კ.ს-ოს“ სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით.

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირბასამტეხლო და პროცენტი

გადაწყვეტილება საქართველოს სასხელით

№სს-1262-1182-2017

18 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:

1.1. შპს „მ-მ“ (შემდგომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი, კასატორის მონინალმდგევე მხარე, ლიზინგის გამცემი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. დ-იას (შემდგომში – მოპასუხე, მეორე აპელანტი, კასატორი, ლიზინგის მიმღები ან მოვალე) მიმართ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის დავალიანების 3 521,64 ლარის (საიდანაც დავალიანების ძირი თანხა 2 953,06, სარგებელი – 225,15, ხოლო პირგასამტეხლო – 344,43 ლარია), დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2014 წლის 31 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება და ლიზინგის გამცემმა მოპასუხისათვის ლიზინგის უფლებით გადაცემის მიზნით 4 340 ლარად შეიძინა ავტომობილი, ამავე ხელშეკრულებით მოპასუხეზე გაიცა ლიზინგის კრედიტი 4 340 ლარის ოდენობით. კრედიტი იყო სარგებლიანი – თვეში 4,98%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 31 ოქტომბრამდე. შეთანხმების თანახმად, ლიზინგის თანხა უნდა დაფარულიყო ყოველთვიურად 311,08 ლარის ოდენობით ხელშეკრულებაზე დართული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, გარდა ამისა, მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე, რომელიც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (თანხის გადახდის ვადაგადაცილება) შეადგენდა ერთჯერადად 20 ლარს, ამას ემატებოდა ყოველთვიურად გადასახდელი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის მიმღები გადახდის ვადას 30 დღეზე მეტი ხნით გადააცი-

ლებდა, მას ეკისრებოდა პირგასამტეხლოს სახით სატრანსპორტო საშუალების გადაუხდელი ღირებულების 10%, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, 2015 წლის 30 სექტემბრის გაფრთხილების მიუხედავად, არ შეასრულა ვალდებულება, რის გამოც, 2015 წლის 17 ოქტომბერს ლიზინგის გამცემმა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მოითხოვს დავალიანების მოპასუხისათვის დაკისრებას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით მოითხოვა, რომ პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%-ის დაკისრება შეუსაბამოდ მაღალია, ისევე, როგორც ერთჯერადად გადასახდელი თანხა და ლიზინგის დავალიანების 10%. მოვალეს არ დაურღვევია ხელშეკრულების პირობები, მან 2015 წლის 5 ოქტომბერს გადაიხადა 418 ლარი, ხოლო 2015 წლის 29 ოქტომბერს – 400 ლარი, გარდა ამისა, მას 2014 წლის 30 დეკემბერს გადახდილი აქვს 312 ლარი, 2015 წლის 17 მარტს ასევე შესრულებული აქვს გადახდა, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძველად დაუდო 30-დღიანი ვადაგადაცილება. მართალია, ვალდებულების შესრულებისას იყო ვადაგადაცილება, მაგრამ მოპასუხე ყოველთვის იხდიდა თანხას. 2015 წელში განხორციელებული გადახდების გათვალისწინებით ლიზინგის გამცემს არ ჰქონდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება, გარდა ამისა, ამ უფლებით სარგებლობა მას შეეძლო მხოლოდ მოპასუხის წინასწარი წერილობითი ინფორმირების შემთხვევაში, რაც არ განუხორციელებია, რაც შეეხება დავალიანებას, ის არასწორია, რადგანაც თითქმის სრულად აქვს ლიზინგის მიმღებს ვალდებულება შესრულებული. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ მოპასუხემ მიმართა კომპანიის ადმინისტრაციას ვალდებულების გაგრძელების თხოვნით, თუმცა, პასუხი არ მიუღია, მხოლოდ კრედიტორის იურისტები დაუკავშირდნენ და შესთავაზეს ჯერ 500, ხოლო, შემდგომ – 200 ლარის ჩარიცხვა ლიზინგის გამცემის ანგარიშზე, თუმცა, მოპასუხის მოთხოვნის მიუხედავად, მათ ამგვარი შეთანხმება წერილობით არ დაუდასტურებიათ.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 2 382,12 ლარის გადახდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, მოსარჩელემ (პირველი აპელანტი) მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, მოპასუხემ (მეორე აპელანტი) – ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ლიზინგის გამცემის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, ლიზინგის მიმღებს კრედიტორის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 1 139,52 ლარის გადახდა;

5.2. ამავე სასამართლოს 2017 წლის 7 ივნისის განჩინებით მეორე აპელანტის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2017 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე აპელანტმა, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების ნაწილობრივ შეცვლისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო პალატის შეფასების საგანს სასამართლო სხდომაზე აპელანტის/მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის საპატიოობა და ის გარემოება წარმოადგენს, არსებობდა თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით, კასატორი ძირითადად პრეტენზიას იმ საფუძვლით გამოთქვამს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულყოფილი შეფასება მისცა სასამართლოს ხდომაზე მეორე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის მიზნით წარდგე-

ნილ მტკიცებულებებს, ამასთანავე, არასრულყოფილად გამოიკვლია საქმის გარემოებები, გარდა ამისა, მხარე პრეტენზიას აცხადებს იმ კუთხით, რომ მას არ მიეცა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით.

1.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების კონტექსტში, რომელთაგან პირველი მხარის მხრიდან პრეტენზიის დასაბუთებულობაზეა დამოკიდებული, ანუ საკასაციო საჩივრის წარმატებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის კონტექსტში განაპირობებს მხარის პრეტენზიის საფუძვლიანობა, რაც შეეხება მეორე საფუძველს, თავად ნორმას კანონმდებელი მოიხსენიებს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველად და მიუხედავად მხარის მითითებისა, საქმის განმხილველი სასამართლო ყოველთვის ვალდებულია გამორიცხოს ნორმის წინაპირობების არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების კანონიერების კვლევა ჯერ 394-ე, ხოლო შემდგომ – 393-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება. ვიდრე უშუალოდ საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობას შეამოწმებდეს, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებათა საკითხზე:

1.2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს: ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინალმდევე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება. განსახილველ შემთხვევაში, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის მხრიდან, შესაბამისად, მხარეები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენდნენ, როგორც აპელანტებს, ისე – მონინალმდევე მხარეებს.

1.2.2. იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

387-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტი; ბ) მოწინააღმდეგე მხარე უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ამასთან, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძღველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები). თუკი დადგინდება, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ხელისშემშლელი რომელიმე კანონისმიერი საფუძველი, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს.

1.2.3. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. ამასთანავე, მსგავსად ზემოხსენებულისა, არ უნდა დგინდებოდეს ამავე კოდექსის 233-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კანონმდებლობა ადგენს კიდევ ერთ დამატებით წინაპირობას: მხარის გამოუცხადებლობის გამო კანონის ძალით დადგენილად მიიჩნევა სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 230-ე და 387-ე მუხლები) და ამ შემთხვევაში მტკიცებულებათა კვლევა აღარ ხდება, თუმცა, დადგენილად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად უნდა ამარ-

თლებს მოთხოვნას: სასამართლომ უნდა მოიძიოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და მოახდინოს კანონის ძალით დადგენილი ფაქტების (აპელანტის ახსნა-განმარტება) სუბსუმირება მასთან.

1.2.4. რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს, მას არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რომლის თანახმადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონევეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

1.2.5. როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარში, ისე – საკასაციო საჩივარში გამოუცხადებელი მხარე ძირითადად აპელირებს საპატიო მიზეზზე, კერძოდ, მისი განმარტებით, 2017 წლის 22 მარტს იმყოფებოდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, სადაც იცავდა ბრალდებულ ა. ხ-ს ინტერესებს, როგორც მისი ადვოკატი. აღნიშნულ პროცესზე შეექმნა რეალური საფრთხე დაზარალებულთა მხრიდან შეურაცხყოფის მიყენებისა და ფიზიკური ანგარიშსწორებისა, ამიტომ, იძულებული გახდა დაეცადა მათი ახსვლისათვის, შედეგად კი ვერ შეძლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადება. ამ თვალსაზრისით საქმეში წარმოდგენილია ადვოკატის ორდერი, მეორე აპელანტის ადვოკატის მონაწილის ასლი და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ცნობა, რომ 2017 წლის 22 მარტს კასატორი მართლაც მონაწილეობდა სისხლის სამართლის პროცესში, თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხსენებული მტკიცებულებები არ იძლევა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობას, კერძოდ, სახეზე არაა მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სსსკ-ის 215.3 მუხლი). საგულისხმოა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება მეორე აპელანტს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, პირადად ჩაბარდა სხდომამდე 21 დღით ადრე და მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა სასამართლოსათვის ეცნობებინა სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესახებ, ისევე, როგორც დაუსაბუთებელია მისი პოზიცია, რომ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში არ ჰქონდა ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა, გარდა ამისა, საქმის მასალებით არ დგინდება საჩივარში მითითებული ფიზიკური ანგარიშსწორების რეალური საფრთხის არსებობა. სასამართლოში მოქმედებს მანდატურის ინსტიტუტი, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს სასა-

მართლოს შენობაში წესრიგის დაცვა და პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საბოლოოდ პალატა ასკვნის, რომ მეორე აპელანტის გამოუცხადებლობა არ იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით, შესაბამისად, არსებობდა გამოუცხადებლობის მოტივით მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები. ამ ნაწილში გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება კანონიერია და ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო პალატა უცვლელად ტოვებს მას.

1.2.6. რაც შეეხება პირველი აპელანტის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობაა, კერძოდ: პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ მას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ მხოლოდ სამართლებრივი პრეტენზიები აქვს წარდგენილი, კერძოდ, ის არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას პროცენტის ამორალურობისა და პირგასამტეხლოს განაკვეთის შემცირების თაობაზე, შესაბამისად, მონინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დადგენილად მიიჩნევა სარჩელში მითითებული ფაქტები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომაც დაადგინა საქმის არსებითად განხილვის გზით (2014 წლის 31 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა ფინანსური ლიზინგის №... ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხისათვის ლიზინგის უფლებით გადასაცემად 4 340 ლარად შეიძინა ავტომობილი. ფინანსური ლიზინგის №... ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. დ-იაზე გაიცა ლიზინგის (კრედიტის) თანხა – 4 340 ლარის ოდენობით, თვეში 4,89%-ის დარიცხვით; კრედიტის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 31 ოქტომბერი. ლიზინგის თანხა უნდა დაფარულიყო ყოველთვიურად 311,08 ლარის ოდენობით, ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად. ხელშეკრულებით განისაზღვრა ლიზინგის საერთო ღირებულება 7 465.92 ლარი, რომელიც მოიცავდა სატრანსპორტო საშუალების შესაძენ

თანხას, დარიცხულ სარგებელსა და ყველა ხარჯს, რომელიც ლიზინგის მიმღებს უნდა გაეღო. ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა პირგასამტეხლო თანხის გადახდის ვადაგადაცილებისთვის ერთჯერადი 20 ლარი, ასევე, ყოველთვიურად გადასახდელი თანხის 1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები თანხის გადახდას გადააცილებდა 30 დღეზე მეტი ვადით, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლო სატრანსპორტო საშუალების ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა. მოპასუხის 2015 წლის 15 ოქტომბრის გაფრთხილების ხელწერილში მითითებულია: „გთხოვთ დაფაროთ არსებული დავალიანება ან დაუყოვნებლივ მოიყვანოთ სატრანსპორტო საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „მ. იძულებული იქნება განყვიტოს არსებული ლიზინგის ხელშეკრულება“. 2015 წლის 17 ნოემბრის გაფრთხილების ხელწერილში მითითებულია: „მიუხედავად გამოგზავნილი გაფრთხილების წერილისა, კვლავ არ მომხდარა შპს „მ-ს“ წინაშე არსებული დავალიანების დაფარვა, რის გამოც, შპს „მ.“ იყენებს ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას და ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას“. ხელწერილი ადრესატს ჩაბარდა 2015 წლის 24 ნოემბერს. 2015 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეს ვერიცხება დავალიანება – 3 521,64 ლარი, საიდანაც ძირი თანხა – 2 952,06 ლარი, პროცენტი – 225,15 ლარი, ჯარიმა – 344,43 ლარი. 2015 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილია – 3 973,08 ლარი, საიდანაც ძირი თანხა – 1 387,94 ლარი, პროცენტი – 2 023,97 ლარი, ჯარიმა – 561,17 ლარი), თუმცა, ეს ფაქტები მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებენ სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას: ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლის, ასევე, მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს ნაწილში რაიონულმა სასამართლომ სწორად განსაზღვრა დასაკისრებელი თანხის გონივრული ოდენობა, რამდენადაც ხელშეკრულებით შეთანხმებული ყოველთვიური სარგებელი წლიურ 58,68%-ს წარმოადგენდა და ამგვარი შეთანხმება სწორედ ამორალური გარიგებაა, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლისა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), რომ საქართველოს საბანკო სექტორში სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის საშუალო ოდენობა შეადგენს 18%-ს, რაც თვეში 1,5%-ია და განსხვავებით წლიური 58,68%-ისა იგი ფულად მიმოქცევაში საკმარისად უზურუნველყოფს კრედიტორის ინტერესებს (ამ მხრივ მნიშვნელოვანია საკასაციო სასა-

მართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-663-629-2015, 28 ივლისი, 2015 წელი; №ას-408-381-2017, 30 ივნისი, 2017 წელი), გარდა ამისა, შეთანხმებული პირგასამტეხლო ასევე შეუსაბამოდ მაღალია, რაც სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სწორად შეამცირა პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო სამართლებრივი პრეტენზიის ფარგლებში სააპელაციო პალატამ არასწორად გაზარდა მისი ოდენობა.

1.3. პირველი აპელანტის მოთხოვნის ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

1.3.1. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე, აუქმებს გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას/განჩინებას სარჩელის სრულად დაკმაყოფილების ნაწილში და მიიჩნევს, რომ ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა: დადგენილია, რომ 2014 წლის 31 ნოემბრიდან 2015 წლის 24 ნოემბრამდე მოვალემ გადაიხადა 3 973,09 ლარი (საიდანაც გადახდილია ფინანსური ლიზინგის ძირი თანხის დავალიანების სახით 1 387,94 ლარი, პროცენტის სახით – 2 023.97 ლარი, ჯარიმის სახით – 561.17 ლარი); სარგებლის სამართლიდან და გონივრულ ოდენობად მიჩნეულია წლიური 18% (თვეში 1,5%), შესაბამისად, 2 წლის განმავლობაში მოვალეს კრედიტორისათვის სარგებლის სახით უნდა გადაეხადა 1 562,4 ლარი (თვეში 65,1 ლარი); პირგასამტეხლოს ოდენობის განახევრების შემთხვევაში, დავალიანება უნდა განისაზღვროს 452,8 ლარით (მოპასუხეს უკვე გადახდილი აქვს 561,17 ლარი, მოსარჩელე დამატებით მოითხოვს 344,43 ლარს, რომლის ჯამიც 905,6 ლარს შეადგენს). ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა გამოაკლდეს ძირი თანხის ანგარიშში და მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, საბოლოოდ დავალიანება უნდა განისაზღვროს 2 382,12 ლარით.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს ერთვის სისხლის სამართლის საქმის მასალები 12 ფურცლად. პალატა არ იზიარებს მათ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104.1 მუხლის შესაბამისად (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), მიიჩნევს, რომ მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს მათ წარმომდგენს, რამდენადაც ამავე კოდექსის 407.1 მუხლიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქ-

ნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს და შეფასება მისცეს ახალ მტკიცებულებებს, არამედ, იგი შემოიფარგლება საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებით, ამდენად, პალატა ასკვნის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს წარმოდგენილი მტკიცებულებები 12 (თორმეტი) ფურცლად.

3. სასამართლო ხარჯები:

3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული ნესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

3.2. საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულია 67%-ით, ხოლო უარყოფილია – 33%-ით, რის გამოც, პალატა მიიჩნევს, რომ მხარეებს მათ მიერ გაღებული ხარჯებიდან სწორედ ზემოხსენებული პროპორციით უნდა დაეკისროთ ერთმანეთის სასარგებლოდ ხარჯების ანაზღაურება, კერძოდ, კასატორს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 184,25 ლარის გადახდა, ხოლო, კრედიტორს კასატორის სასარგებლოდ – 99 ლარის გადახდა. რაც შეეხება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროპორციულად მხარეთა მიერ გადახდილ ბაჟს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, იგი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე წ ი ტ ა :

1. ნ. დ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. შპს „მ-ს“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების, ასევე პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2017 წლის 7 ივნისის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „მ-ს“ სარჩელი ნ. დ-იას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
4. ნ. დ-იას (პ/№...) შპს „მ-ს“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 2 382,12 ლარის გადახდა.
5. ნ. დ-იას (პ/№...) შპს „მ-ს“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს 184,25 ლარის გადახდა, ხოლო, შპს „მ-ს“ (ს/კ №...) ნ. დ-იას (პ/№...) სასარგებლოდ – 99 ლარის გადახდა.
6. ნ. დ-იას დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები 12 (თორმეტი) ფურცლად.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამტახლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გაღანყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-537-537-2018

15 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა.ს.ს-ოსა“ (შემდეგში: მოსარჩელე, მენარდე ან მიმნოდებელი) და შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიას (შემდეგში: მოპასუხე, კასა-

ტორი, შემკვეთი ან შემსყიდველი) შორის დაიდო ხუთი ხელშეკრულება:

1.1. 30.08.2016 წლის №301.06.16 ხელშეკრულება – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 299 900 ლარით, შესრულებული სამუშაოები – 279 518.66 ლარით, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 44 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 26 608.18 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდეს გადაუხადა 252 910.50 (279 518.66-26 608.18) ლარი;

1.2. 30.08.2016 წლის №302.06.16 ხელშეკრულება – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 647 671.82 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 277 915.07 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 57 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 75 300.76 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდეს გადაუხადა 202 614.31 (277 915.07-75 300.76) ლარი;

1.3. 09.09.2016 წლის №321.06.16 ხელშეკრულება – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების: ... და ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 997 240.43 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 929 799.92 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 146 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 37 997.05 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდეს გადაუხადა 891 802.92 (929 799.92-37 997.05) ლარი;

1.4. 26.09.2016 წლის №347.06.16 ხელშეკრულება – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ... გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 859 634.44 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 829 080.26 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 58 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 30 597.11 ლარი, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო და მენარდეს გადაუხადა 798 483.15 (829

080.26-30 597.11) ლარი;

1.5.21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულება – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ... და დაბა ... გაზიფიცირებისათვის საჭირო მკვებავი გაზსადენის სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამი განისაზღვრა 1 097 836.00 ლარით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 781 893.85 ლარი, მენარდემ სამუშაოები შეასრულა 80 დღის ვადაგადაცილებით, მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო – 625 515.08 ლარი. შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაქვითა პირგასამტეხლო (625 515.08 ლარი), ასევე, იმ მასალის ღირებულება, რომელიც მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად მიიღო შემკვეთისაგან და უკან აღარ დააბრუნა (17 917.99 ლარი) და მენარდეს გადაუხადა 138 460.78 (781 893.85-643 433.62) ლარი.

2. ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

3.1. მოსარჩელის განმარტებით, მასსა და მოპასუხეს შორის დაიდო ხუთი ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეესრულებინა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები, თუმცა მოპასუხემ მას შეთანხმებული ანაზღაურების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა, კერძოდ: 30.08.2016 წლის №301.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 279 518.66 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 26 608.18 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 252910.50 ლარი; 30.08.2016 წლის №302.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 277 915.07 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 75 300.76 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 202 614.31 ლარი; 09.09.2016 წლის №321.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 929 799.92 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 37 997.05 ლარი და, საბოლოოდ, მენარდეს გადაუხადა 891 802.92 ლარი; 26.09.2016 წლის №347.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 829 080.26 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 30 597.11 ლარი და, საბოლოოდ, მე-

ნარდეს გადაუხადა 798 483.15 ლარი; 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდემ შეასრულა 781 893.85 ლარის სამუშაო, შემკვეთმა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაუქვითა პირგასამტეხლო 643 433.62 ლარი და მენარდეს 138 460.78 ლარი გადაუხადა.

3.2. მოსარჩელის განმარტებით, მას ზემოხსენებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები არ დაურღვევია, კერძოდ, მართალია, ფორსმაჟორული გარემოებების გამო, მან დროულად ვერ დაასრულა სამუშაოები, მაგრამ შემკვეთთან შეთანხმებით ხუთივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები გაგრძელდა. მენარდემ გაგრძელებულ ვადებში დაასრულა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები. აქედან გამომდინარე, რაკი მას შეთანხმებული ვადები არ დაურღვევია, შემკვეთი არ იყო უფლებამოსილი, დაერიცხა პირგასამტეხლო და შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში გაექვითა. გარდა ამისა, მოსარჩელის განმარტებით, დარიცხული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალიც იყო.

3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების იმ ნაწილის ანაზღაურება, რომელიც მოპასუხემ არასწორად გაუქვითა დარიცხულ პირგასამტეხლოში, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეს დაჰკისრებოდა 813 936.72 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა 198 064.35 ლარის გადახდის დაკისრება მოპასუხისათვის, რაც, მისი მოსაზრებით, შემკვეთის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული მასალის ღირებულება იყო.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და განმარტა შემდეგი: მენარდის მიერ მითითებული ფორსმაჟორული გარემოებები არ არსებობდა, შესაბამისად, მენარდემ დაარღვია ხუთივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები, კერძოდ, 30.08.2016 წლის №301.06.16 ხელშეკრულების შესრულების ვადას მენარდემ 44 დღით გადააცილა, 30.08.2016 წლის №302.06.16 ხელშეკრულების ვადას – 57 დღით, 09.09.2016 წლის №321.06.16 ხელშეკრულების ვადას – 146 დღით, 26.09.2016 წლის №347.06.16 ხელშეკრულების ვადას – 58 დღით, ხოლო 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულების ვადას – 80 დღით. აქედან გამომდინარე, მენარდეს დაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული წესით გაექვითა შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში. მოპასუხის განმარტებით, მენარდე არასწორად მიიჩნევდა, რომ მას ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები შემკვეთთან შეთანხმებით გაუგრძელდა, კერძოდ, ვადების გაგრძელების თაობაზე მართლაც შეთანხმდნენ, მაგრამ ამით გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილება არ შესულა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადებში, ამასთან, ხელშეკრულებათა მოქმედების ვადები გაგრძელდა სამუშაოთა შესრულების თავდაპირველად შეთანხმებული ვადების გასვლიდან ერთი თვის შემდეგ, რა დროსაც მენარდეს უკვე დარიცხული ჰქონდა შესაბამისი პირგასამტეხლო.

5. მოპასუხის შესაგებელს მოსარჩელემ წერილობით უპასუხა და მიუთითა შემდეგი: შემკვეთი არასწორად განმარტავს ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმებას, კერძოდ, მოპასუხის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში იგულისხმეს ვადის გაგრძელება შესაბამისი საბუთების წარდგენისათვის და არა სამშენებლო სამუშაოების დასრულებისათვის. ეს მოსაზრება მცდარია. ჯერ ერთი, ვადის გაგრძელების თაობაზე გაფორმებულ ყველა შეთანხმებაში პირდაპირაა მითითებული, რომ მიმწოდებელი (მენარდე) ვალდებულია, შეთანხმებაში აღნიშნული ვადის გასვლამდე დაასრულოს სამშენებლო სამუშაოები და წარუდგინოს შემსყიდველს (შემკვეთს) ხელშეკრულებაში მითითებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. აქედან გამომდინარე კი, ცხადია, რომ გაგრძელებული ვადა არ ეხებოდა მხოლოდ საბუთების წარდგენას და მოსარჩელეს სწორედ სამუშაოების დასასრულებლად გაუგრძელდა. შეთანხმებული ვადის დაცვით მენარდემ ყველა სამუშაო შეასრულა, შესაბამისად, მას ვალდებულების შესრულების ვადები არ დაურღვევია და პირგასამტეხლოც არ უნდა დარიცხოდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

6.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 651 148.94 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

6.2. არ დაკმაყოფილდა სარჩელი 198 064.35 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

7. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას ვალდებულება არ დაურღვევია, დაადგინა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-2 პუნქტებში მითითებული გარემოებები და მიიჩნია, რომ, რაკი მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება დაარღვია (გადააცვლა სამუშაოების შესრულების ვადას), შემკვეთს შეეძლო, მენარდისათვის პირგასამტეხლო დაერიცხა, ხოლო ხელშეკრულების შესაბამისი პირობისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 442-ე და 444-ე მუხლების საფუძველზე, დარიცხული პირგასამ-

ტეხლო გაექვითა მენარდისათვის ასანაზლაურებელ თანხაში. ამასთან, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო და გონივრულ ოდენობამდე, კერძოდ, 813 936.72 ლარიდან 162 787.34 ლარამდე უნდა შემცირებულიყო, შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლომ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის 198 064.35 ლარის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

8. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და, რაკი დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზია პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

11.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ვერ დაასაბუთეს პირგასამტეხლოს შემცირების აუცილებლობა;

11.2. არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერით მენარდემ აღიარა და დაადასტურა დარიცხული პირგასამტეხლოს მოცულობა.

11.3. სასამართლომ არასწორად დაიანგარიშა, 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს გაქვითვის შედეგად დარჩენილი ასანაზლაურებელი თანხა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული მოპასუხის საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამარ-

თლოს 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარდისათვის ასაზღაურებელი თანხის არასწორად დაანგარიშების თაობაზე.

15. მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე ეფუძნება სსკ-ის 629.1 მუხლს (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შეკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური). მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდე უფლებამოსილია, შემკვეთისაგან მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. სსკ-ის 629.1 მუხლით გათვალისწინებული ამ სამართლებრივი შედეგის მისაღებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს ნარდობის ხელშეკრულება; ბ) მენარდეს შესრულებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; გ) შემკვეთს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებელი შესრულებული სამუშაო.

16. განსახილველ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ მენარდემ შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3

098 208.17 ლარის სამუშაო, შემკვეთმა კი გადაიხადა 2 284 272.00 ლარი, ანუ – 813 936.17 ლარით ნაკლები. სწორედ ამ თანხის გადახდას მოითხოვს მენარდე შემკვეთისაგან. შემკვეთის შესაგებელი მითითებული თანხის გადაუხდელობის თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მენარდემ დაარღვია ხუთივე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადები, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლო 796 018.18 ლარი. ეს თანხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, შემკვეთმა გაქვითა მენარდისათვის ასანაზღაურებელ თანხაში. გარდა ამისა, სამუშაოების შესასრულებლად შემკვეთმა მენარდეს გადასცა 3 602.17 მეტრი სიგრძის მილი, რომლის გაუხარჯავი ნაწილი (17 917.99 ლარის) მენარდემ შემკვეთს არ დაუბრუნა, ამიტომ შემკვეთმა ეს თანხაც გაუქვითა მენარდეს ნარდობის საზღაურში. აქედან გამომდინარე, შემკვეთმა სულ გაქვითა 813 936.17 ლარი (3 098 208.17-2 284 272) და დარჩენილი თანხა – 2 284 272.00 ლარი გადაუხადა მენარდეს.

17. მენარდე შემკვეთს ედავება იმაში, რომ მას ვალდებულება არ დაურღვევია, პირგასამტეხლო კი, შეუსაბამოდ მაღალია. მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევა დადგენილია გასაჩივრებული განჩინებით, ამასთან, რაკი მოსარჩელეს, სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, საკასაციო სასამართლო მასზე ველარ იმსჯელებს. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია და შემცირებას ექვემდებარება.

18. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ ხუთჯერ შეამცირა მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო. მისი ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ვალდებულების დარღვევის ხასიათზე, მოვალის ბრალეულობასა და დარღვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვადის გადაცილება ნაწილობრივ უამინდობამ განაპირობა, რის თაობაზეც შემკვეთი ინფორმირებული იყო, გარდა ამისა, შემკვეთისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდებოდა. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაუსაბუთებლად შეამცირეს პირგასამტეხლო, ვინაიდან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, პროექტის დროულად დამთავრებით განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებული, შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გონივრულია, ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ პროექტის განხორციელებას ხელი ავდარმა შეუშალა.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სსკ-ის 417-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამდენად, პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ვალდებულების დარღვევისას. მართალია, ვალდებულების დარღვევა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია, მაგრამ სსკ-ის 420-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებას, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა შესრულებულიყო დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. ამასთან, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებითი ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება; ე) ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობას.

20. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%, რაც თვეში 30%-ს, ხოლო წელიწადში 360%-ს შეადგენს), საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეუსაბამოდ მაღალია და არ შეესაბამება დადგენილ პრაქტიკას. ამასთან, შემკვეთის მიერ დარიცხული პირგასამტეხლო – 796 018.18 ლარი შეუსაბამოდ მაღალია შესრულების საგანთან მიმართებითაც. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს, კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მენარდე სამუშაოების შესრულებისას გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა, რის გამოც სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება მოითხოვა. შემკვეთმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და მენარდეს ვადა გაუგრძელა. უდავოა, რომ გაგრძელებულ ვადებში მენარდემ ყველა სამუშაო შეასრულა, ამასთან – შემკვეთმა მენარდეს პირგასამტეხლო დააკისრა არა მარტო ვალდებულების დარღვევიდან ვადის გაგრძელებამდე (რაც ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში – 150 დღეს შეადგენს), არამედ ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმების შემდეგაც (რაც ჯამში 235 დღეა). აქედანაც ნათლად იკვეთება დარიცხული პირგა-

სამტეხლოს შეუსაბამობა როგორც დარღვევის სიმძიმესა და მოცულობასთან, ასევე – ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხთან. მართალია, კასატორი განმარტავს, რომ პროექტის დროულად დასრულების განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ უთითებს, სამუშაოთა შესრულების ვადაგადაცილებით, კონკრეტულად რა საფრთხე წარმოექმნა კრედიტორს და როგორია ამ საფრთხის ხარისხი.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად შეამცირეს მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-ს, თვეში 6%-ს, ხოლო წელიწადში 76%-ს შეადგენს და მეტიც არის სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, თუმცა საკასაციო პალატა მასზე ვერ იმსჯელებს, ვინაიდან მოსარჩელე გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებს.

22. კასატორის პრეტენზია ისიცაა, რომ სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერით მენარდემ აღიარა და დაადასტურა დარიცხული პირგასამტეხლოს მოცულობა. მართალია, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს მოპასუხის ამ პრეტენზიაზე არ უმსჯელიათ, მაგრამ ეს გარემოება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან მითითებული პრეტენზია დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოხსენებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს ვალის არსებობის აღიარებას (არც აბსტრაქტულს და არც კაუზალურს), ვინაიდან ასეთი აღიარების აუცილებელი ელემენტია ვალდებულების შესრულების დაპირება, რაც, თავის მხრივ, ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული აღიარების დოკუმენტში. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არცერთი მიღება-ჩაბარების აქტი არ შეიცავს დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის დაპირებას. ამ აქტებით, მენარდემ მხოლოდ ის ფაქტი დაადასტურა, რომ შემკვეთმა მას კონკრეტული ოდენობის პირგასამტეხლო დაარიცხა, თუმცა მისი გადახდის ვალდებულება არ უკისრია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია, თუ მოვალემ ნებაყოფლობით გადაიხადა პირგასამტეხლო (იხ. სუსგ, №ას-1527-2018, 31.01.2019). მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მენარდეს შემკვეთისათვის პირგასამტეხლო არ გადაუხდია, შესაბამისად, მას არც იმის უფლება არ დაუკარგავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება მოითხოვოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე.

23. კასატორის შემდეგი პრეტენზია ისაა, რომ სასამართლომ

არასწორად დაიანგარიშა, 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს გაქვითვის შედეგად დარჩენილი ასანაზლაურებელი თანხა, კერძოდ, კასატორის განმარტებით, ზემოხსენებული ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადის გადაცილებისათვის მენარდეს დაერიცხა პირგასამტეხლო 625 515.08 ლარი, სასამართლომ კი, არასწორად მიიჩნია, რომ დარიცხული პირგასამტეხლო 643 433.07 ლარს შეადგენდა. ამ ფაქტის არასწორად დადგენა იმან განაპირობა, რომ დარიცხულ პირგასამტეხლოს – 625 515.08 ლარს სასამართლომ შეცდომით დაუმატა შემკვეთისათვის დასაბრუნებელი მასალის ღირებულება 17 917.99 ლარი და მიღებული ჯამური თანხა, მათ შორის, მასალის ღირებულებაც ხუთჯერ შეამცირა. ეს კი, არასწორია, ვინაიდან 17 917.99 ლარი იყო მასალის ღირებულება და არა პირგასამტეხლო, შესაბამისად, ნარდობის საზღაურში სრულად გაქვითვას ექვემდებარებოდა.

24. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე უთითებდა, რომ 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულების შესაბამისად, მან შეასრულა 781 893.85 ლარის სამუშაო, საიდანაც შემკვეთმა 138 460.78 ლარი აუნაზღაურა, ხოლო 643 433.62 ლარის ანაზღაურებაზე უარი უთხრა, ვინაიდან ეს თანხა, როგორც დარიცხული პირგასამტეხლო, ნარდობის საზღაურში გაუქვითა. მოპასუხემ თავის შესაგებელში დააზუსტა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული პირგასამტეხლო 625515.08 ლარს შეადგენდა, ხოლო 17 917.99 ლარი კი – იმ მასალის ღირებულება იყო, რომელიც მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად მიიღო შემკვეთისაგან და უკან აღარ დააბრუნა, შესაბამისად, პირგასამტეხლოსთან ერთად, ეს თანხაც ექვემდებარებოდა გაქვითვას. მოპასუხის ამ განმარტებას ადასტურებს 13.04.2017 წლის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულების შესაბამისად, მენარდეს 625 515.08 ლარის პირგასამტეხლო დაერიცხა, 17 917.99 ლარი კი, იმ მასალის ღირებულება იყო, რომელიც მენარდეს უკან უნდა დაებრუნებინა და არ დააბრუნა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, მართალია, დაადგინა, რომ შემკვეთმა სწორად გაქვითა ნარდობის საზღაურში ზემოაღნიშნული მასალის ღირებულება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს თანხა, იმავდროულად, დარიცხულ პირგასამტეხლოს – 625 515.08 ლარს, დაუმატა (625 515.08+17 917.99) და მიღებული თანხა – 643 433.62 ლარი, ხუთჯერ შეამცირა. მოპასუხე სააპელაციო საჩივარშიც აპელირებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებულ ზემოაღ-

ნიშნულ შეცდომაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მასზე არ უმსჯელია.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია კასატორის პრეტენზია 21.11.2016 წლის №409.06.16 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხის არასწორად დაანგარიშების თაობაზე, კერძოდ, რაკი დადგენილია, რომ მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად შემკვეთისაგან მიღებული 17 917.99 ლარის ღირებულების მასალა არ დააბრუნა, სსკ-ის 646.2 მუხლის (მენარდემ მოვალეა, წარუდგინოს შემკვეთს მასალის ხარჯვის ანგარიში და დაუბრუნოს მას დარჩენილი მასალა) მიხედვით, შემკვეთს შეეძლო, მასალის დაბრუნება მოეთხოვა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მასალის დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლების საფუძველზე, შემკვეთს მასალის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სსკ-ის 442.1 მუხლის საფუძველზე (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მასალის ღირებულების ნარდობის საზღაურში გაქვითვა, თუმცა, ფაქტობრივად, გამოქვითა არა მასალის სრული ღირებულება – 17 917.99 ლარი, არამედ მისი 1/5 – 3 583.59 ლარი, ანუ 14 334.40 ლარით ნაკლები, რაც, ცხადია, შეცდომაა, ვინაიდან ზემოხსენებული თანხა მასალის ღირებულებაა და არა პირგასამტეხლო, შესაბამისად, მისი შემცირება, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, დაუშვებელია.

26. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიიჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობ-

რივ დაკმაყოფილდეს, მოპასუხეს 636 814.54 ლარის გადახდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სარჩელზე გადაიხადა 5000 ლარი, მოპასუხემ კი, სააპელაციო საჩივარზე – 7000 ლარი, საკასაციო საჩივარზე კი – 8000 ლარი, სულ – 15 000 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი იყო 1 012 000 ლარი, საიდანაც მოსარჩელემ მოიგო 636 814.54 ლარი (62.92%), შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 3 146 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში დავის საგანი იყო 651 148.94 ლარი, საიდანაც მოპასუხემ მოიგო 14 334.40 ლარი (2.2%), შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს 330 ლარის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 53-ე, 411-ე
მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკ-

მაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება (სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

3. შპს „ა.ს.ს-ოს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიას დაეკისროს 636 814.54 (ექვსას ოცდათექვსმეტი ათას რვაას თოთხმეტი ლარისა და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის გადახდა შპს „ა.ს.ს-ოს“ სასარგებლოდ;

5. შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიას დაეკისროს 3 146 (სამი ათას ასორმოცდაექვსი) ლარის გადახდა შპს „ა.ს.ს-ოს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

6. შპს „ა.ს.ს-ოს“ დაეკისროს 330 (სამას ოცდაათი) ლარის გადახდა შპს „ს.გ.ტ.“ კომპანიის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტახლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელის

№ას-1511-2018

26 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, პირველი აპელანტი,

კასატორი, შემკვეთი ან გამგეობა) და შპს „ს. კ-ას“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, მენარდე, მონინალმდეგე მხარე ან კომპანია) შორის 2015 წლის 22 მაისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის №63 ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ნარდობის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება), რომლის მიხედვით, კომპანიას უნდა უზრუნველყო სოფელ გურჯაანში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიაზე №2 საბავშვო ბაღთან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც საბავშვო ბაღი) მისასვლელ ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება და სანიაღვრე არხის მოწყობა. ხელშეკრულების ღირებულება 299 999.00 ლარით განისაზღვრა.

2. ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისთვის განისაზღვრა პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 1%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს, შემკვეთი უფლებამოსილი იყო, შეენყვიტა ურთიერთობა და მოეთხოვა მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. შესრულებული სამუშაოების ჩაბარების ვადა 2015 წლის 24 აგვისტომდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 1 ოქტომბრამდე განისაზღვრა.

3. 2015 წლის 21 მაისს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ს.კ.ა.ჯ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გარანტი, მეორე მოპასუხე, მეორე აპელანტი, მეორე მონინალმდეგე მხარე, მეორე კომპანია ან სადაზღვევო კომპანია) გასცა საბანკო გარანტია (№FRI/...) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი საბანკო გარანტია) რომლის თანახმად, ამ უკანასკნელმა იკისრა ვალდებულება, მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემკვეთისთვის აენაზღაურებინა დარღვევით მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი ზიანი საგარანტიო თანხის – 30 000 ლარის ფარგლებში.

4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2015 წლის 27 მაისს მეორე მოპასუხემ გასცა სახელმწიფო შესყიდვის სააგანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია (№FRI/15-...) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე საბანკო გარანტია ან სააგანსო საბანკო გარანტია), რომლის თანახმად, სადაზღვევო კომპანიამ გამგეობის (ბენეფიციარი) წინაშე იკისრა ვალდებულება, ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაებრუნებინა სააგანსო ანგარიშსწორების წესით პრინციპალისათვის – პირველი მოპასუხისათვის გადახდილი თანხა, მაგ-

რამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა, პრინციპალის მიერ პროექტით განსაზღვრულ საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. გარანტიის თანხა 89 999 ლარით, ხოლო მისი მოქმედების ვადა 2015 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით განისაზღვრა.

საბანკო გარანტია შეიცავდა დათქმას, რომლის მიხედვითაც, გარანტიის თანხა შემცირდებოდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარისთვის საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდებისა და სხვა მიზნობრივი ხარჯვის პროპორციულად.

5. 2015 წლის 4 ივნისს, საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, შემკვეთმა მენარდეს წინასწარ გადაურიცხა საავანსო თანხა – 89999 ლარი.

6. 2015 წლის 15 ივლისს შემკვეთმა მენარდეს 66 708 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულება დაუდასტურა (იხ. შუალედური მიღება-ჩაბარების №1 აქტი და ფორმა №2).

7. გამგეობამ 2015 წლის 21 მაისს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან (66 708 ლარი) მენარდეს აუნაზღაურა 46.695 ლარი, ანუ ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაოს 70%, ხოლო 30% – 20 013.32 ლარი გამოაკლდა საავანსო თანხას. სხვაობამ 69 985.68 ლარი შეადგინა.

8. 2015 წლის 26 აგვისტოს შემკვეთმა მენარდეს დამატებით 25568.15 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულება დაუდასტურა (იხ. შუალედური მიღება-ჩაბარების №2 აქტი და ფორმა №2).

9. გამგეობამ 2015 წლის 2 სექტემბერს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან – (25 568.15 ლარი), მენარდეს გადაუხადა 17.897.00 ლარი, ანუ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს 70%, ხოლო 30%, 7671.15 ლარი გამოაკლდა საავანსო თანხას. სხვაობამ 62 314.53 ლარი შეადგინა.

10. 2015 წლის სექტემბერში შემკვეთმა ჩაატარა შემონემა, რომლის შედეგადაც ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა არა 92 276.15 ლარი, როგორც ეს შუალედური სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში იყო მითითებული, არამედ 95 468.80 ლარი. შესაბამისად, პირველი მოპასუხის მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა ღირებულებამ – 204 530.20 ლარი შეადგინა.

11. გამგეობამ მენარდეს მთლიანობაში აუნაზღაურა 154 591 ლარი, მათ შორის ავანსად გაცემული 89 999 ლარი, ასევე, შუალედური აქტების საფუძველზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70% – 64 592 ლარი (46695 + 17897).

12. გამგეობამ 2015 წლის 25 სექტემბერსა და იმავე წლის 1 ოქტომბერს წერილობით აცნობა პირველ და მეორე მოპასუხეს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შესახებ და მოითხოვა, პირ-

ველი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს – 30 000 ლარის ანაზღაურება, ასევე, საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, საავანსოდ გადარიცხული თანხიდან დარჩენილი შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების – 59 122.2 ლარის გადახდა.

13. 2015 წლის 22 ოქტომბერს სადაზღვევო კომპანიამ გამგეობას წერილობით განუცხადა უარი საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნაზე იმ საფუძველით, რომ პრინციპალის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება აღემატებოდა საავანსო გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოცულობას, მან ასევე უარი განაცხადა პირველი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნაზე, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბენეფიციარისთვის პირდაპირი ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდებოდა, ამასთან, მოთხოვნა საგარანტიო პირობებთან შეუსაბამო იყო.

14. 2015 წლის 19 ნოემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა:

14.1. პირველი მოპასუხისათვის (მენარდე) ზიანის – ზედმეტად გადახდილი 59122.2 ლარისა და პირგასამტეხლოს – 98999.67 ლარის დაკისრება;

14.2. მეორე მოპასუხისათვის (გარანტი), პირველი მოპასუხისთვის დაკისრებული თანხიდან საავანსო საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, 59.122.2 ლარისა და შესრულების (პირველი საბანკო გარანტია) გარანტიიდან გამომდინარე 30 000 ლარის (პირგასამტეხლო) დაკისრება.

14.3. მოსარჩელე წინამდებარე გადაწყვეტილების 1-13 პუნქტებში აღწერილ ფაქტებზე მითითებით, ამტკიცებდა, რომ მენარდემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, არ შეასრულა 204.430.2 ლარის ღირებულების სამუშაოები. გამგეობამ მენარდეს აუნაზღაურა 154 591 ლარი, საიდანაც 89 999 ლარი საავანსო თანხაა, ხოლო 64 592 ლარი შემსრულებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70%-ია, რაც აუნაზღაურდა შემსრულებელს, ხოლო 30% გამოაკლდა ავანსად გაცემულ თანხას. სხვაობამ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს ღირებულებასა და ანაზღაურებულ თანხას შორის შეადგინა 59 122.2 ლარი, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეებს უნდა დაჰკისრებოდათ. გარდა ამისა, მოსარჩელეს 204.430.2 ლარის სამუშაოების შეუსრულებლობით მიაღდა პირდაპირი ზიანი, რის გამოც მენარდეს სამუშაოთა შესრულების 33 დღის ვადაგადაცილებისათვის უნდა გადაეხადა ასევე პირგასამტეხლო – 98 999.67 ლარი, საიდანაც 30 000 ლარი, პირველი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე

რე, მეორე მოპასუხეს (გარანტს) უნდა გადაეხადა, ხოლო დარჩენილი თანხა – პირველ მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა.

15. პირველ მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია, ხოლო მეორე მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 59 122.2 ლარის გადახდის ვალდებულება მას არ გააჩნდა, რადგანაც პრინციპალის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება აღემატებოდა საავანსო გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოცულობას. გარდა ამისა, რადგანაც, პირგასამტეხლო არ წარმოადგენს პირდაპირ ზიანს, უსაფუძვლო იყო სარჩელი პირველი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს – 30 000 ლარის მოთხოვნის ნაწილშიც, ვინაიდან ის არ შეესაბამებოდა მოთხოვნის საგარანტიო პირობებს. მეორე მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო.

16. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადაზღვევო კომპანიას, მოსარჩელის სასარგებლოდ, მეორე საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საავანსო ანგარიშსწორების თანხის – 59 122.2 ლარის გადახდა დაეკისრა; პირველ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს – 19 799.93 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 319-ე, 361.2, 629-ე, 417-ე-418-ე, 420-ე, 879-ე, 880-ე, 885-ე და 887-ე მუხლები გამოიყენა.

17. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელემ და მეორე მოპასუხემ. მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ – პირველი მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ამ ნაწილში სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მეორე მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და მის ნაწილში სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც სადაზღვევო კომპანიას, მოსარჩელის სასარგებლოდ, მეორე საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საავანსო ანგარიშსწორების თანხის – 59 122.20 ლარის ანაზღაურება დაეკისრა და ამ ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა.

18.1. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ რადგანაც ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ გადააჭარბა ავანსის სახით გაცემულ თანხას, არ არსებობდა საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე გარანტიისთვის თანხის დაკისრების წინაპირობები;

18.2. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია პირგასამტეხლოს ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალი იყო და პირველი ინსტანციის სასამართლომ დარღვევის მოცულობიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, მართებულად შეამცირა გონივრულ და სამართლიან ოდენობამდე.

19. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და პირველი მოპასუხის მიმართ პირგასამტეხლოს, ხოლო მეორე მოპასუხის მიმართ, საავანსო გარანტიის თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით. კასატორის მტკიცებით:

19.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საავანსოდ გადარიცხული თანხის – 89 999 ლარის გარდა, ნარდობის ხელშეკრულების 7.2 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს დამატებით აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70% (64 592 ლარი), ხოლო ავანსი და, შესაბამისად, საავანსო საბანკო გარანტიაც შემცირდა 30% – 30 876.80 ლარით. 59 122.2 ლარის ავანსის ფარგლებში ვალდებულება დარჩა შეუსრულებელი, შესაბამისად, ხსენებული თანხის გადახდაზე ვალდებული პირი სადაზღვევო კომპანია (გარანტი) იყო.

19.2. სააპელაციო პალატას პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინა ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საავანსო ანგარიშსწორების დებულებებისათვის და საავანსო თანხის კლების დაანგარიშება ხსენებული ხელშეკრულების 7.2. პუნქტის შესაბამისად უნდა განეხორციელებინა. სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ვალდებულებები შესრულებული იყო;

19.3. კასატორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუკი გარანტს არ დაეკისრება საავანსო საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 59 122.20 ლარის გადახდა, აღნიშნული თანხის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მენარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელე ვერ შეძლებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

19.4. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უსაფუძვლოდ

შემაცივრეს მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 98 999.67 ლარი, ვინაიდან აღნიშნული ჯარიმის ოდენობა სრულად შეესაბამებოდა დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

21. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონიც, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

22. საკასაციო სასამართლო, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა სსკ-ის 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას), ხოლო საბანკო გარანტიით განსაზღვრული ფულადი თანხის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 879-ე (საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად

გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს. მართალია, საბანკო გარანტიის გაცემა და მისი ნამდვილობა სადავო არ არის, მაგრამ ის შედეგი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მაინც ვერ მიიღწევა, რადგან სახეზეა მოთხოვნის გამომრიცხველი ის გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 887.1 (გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს) მუხლით, კერძოდ, ბენეფიციარის მოთხოვნა არ შესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს.

23. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ საავანსო საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურების ნაწილში, თუმცა არასწორად განსაზღვრა პირველი მოპასუხის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი პირგასამტეხლოს ოდენობა.

24. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს საავანსო საგარანტიო თანხის შემცირება უნდა განეხორციელებინა ნარდობის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად და პრიორიტეტი საბანკო გარანტიის სახელშეკრულებო პირობისათვის არ უნდა მიენიჭებინა.

24.1. საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით (არააქცესორულობით), რაც გულისხმობს, იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტია გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია უნდა შესრულდეს გაცემული პირობების ფარგლებში. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან რა ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი, ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად იდება ორი გარიგება, კერძოდ, გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება და თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი ხელშეკრულებაა და წარმოადგენს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ. ამდენად, მოცემული ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულება და თვით საბანკო გა-

რანტიან განხილულ უნდა იყოს, როგორც ორი დამოუკიდებელი გარიგება, რა დროსაც, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანის პირობები შესაძლოა, განსხვავდებოდეს მეორე გარიგებაში მოცემული პირობებისაგან. საბანკო გარანტიის პირობები შესაძლოა, გავლენას არ ახდენდეს გარანტისა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა ვალდებულებებზე და პირიქით.

24.2. საბანკო გარანტიის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან მიმართებით არის ის, რომ იგი ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებელი, ავტონომიური ხასიათისაა, მაშინ, როდესაც, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები, როგორცაა: იპოთეკა, ვირაო და ა.შ. აქცესორული ხასიათისაა. საბანკო გარანტია სასწრაფო და უპირობო ხასიათს ატარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარანტს არ შეუძლია, გარანტიის მიხედვით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე უარის თქმა იმ შემთხვევაშიც, როცა ძირითადი ვალდებულება შესრულებულია ნაწილობრივ ან ბათილია. ამდენად, საბანკო გარანტიაში ძირითადი ვალდებულების მითითება არ არის აუცილებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ასეთი სახის ვალდებულებაზე არსებობს მითითება, ეს გავლენას არ ახდენს გარანტის ვალდებულების დამოუკიდებელ ხასიათზე. საბანკო გარანტიის მიმართ კრედიტორის ინტერესი ისაა, რომ დარწმუნებული იყოს ვალდებულების შესრულებაში და ამავე დროს, მაქსიმალურად ნაკლები ზარალი განიცადოს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კანონმდებელმა სწორედ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაუშვა მესამე პირის მხრიდან კრედიტორის სასარგებლოდ გარანტიის გაცემის შესაძლებლობა და ბენეფიციარის უფლება არ გახადა დამოკიდებული კრედიტორსა და მოვალეს (ბენეფიციარსა და პრინციპალს) შორის ურთიერთობაზე. ამდენად, საბანკო გარანტია პრინციპალის მიერ მოვალეობათა შესრულების საგარანტიო ხელშეკრულებაა და დამოუკიდებელია იმ ძირითადი ხელშეკრულებისაგან (შესაბამისად, მასში გათვალისწინებული პირობებისგან/ვალდებულებისგან), რომლის უზრუნველსაყოფადაც ის გაიცა (შდრ. სუსგ №ას-950-886-2017, 3.11.2017).

24.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გარანტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით და ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული შეთანხმებით და ნარდობის ხელშეკრულების დებულებები სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის.

24.4. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საავანსო საბანკო გარანტიის პირობა გულისხმობდა გარანტიის თანხის შემ-

ცირებას პრინციპალის მიერ ბენეფიციარისთვის საქონლის, მომსახურებისა, თუ სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდებისა და სხვა მიზნობრივი ხარჯვის პროპორციულად. უდავოა, რომ მეორე მოპასუხემ პირველი მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გასცა საავანსო საბანკო გარანტია 89 999 ლარის ოდენობით. ასევე, უდავოა, რომ პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში 95 468.80 ლარის ღირებულების სამუშაოები შეუსრულა, რაც აღემატებოდა საგარანტიო თანხას.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი საავანსო თანხის ღირებულების სამუშაოების შესრულება თავისთავად გამოორიცხავს გარანტისადმი რაიმე მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობას.

25. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა არაპროპორციულად შემცირდა.

25.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული. „ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის აქვს, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...“, „პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება — ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გა-

სათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“ (მდრ. სუსგ-ები: №ას-1373-2018, 17.01.2019; №ას-848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015; №ას-953-918-2016, 22.11.2016).

25.2. ამასთან, სასამართლოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად ნყდება; დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით: „პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან... პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩათვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა“ (მდრ. საქმე №ას-176-157-2014).

25.3. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მენარდის სახელშეკრულებო ვალდებულების არსზე, სახელდობრ, ამ უკანასკნელს უნდა განეხორციელებინა საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული ვალდებულება პირველმა მოპასუხემ უხეშად დაარღვია, კერძოდ, 299 999 ლარის ღირებულების სამუშაოებიდან პირველმა მოპასუხემ შეასრულა მხოლოდ 95 468. 80 ლარის სამუშაოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და მიყენებული ზიანის მოცულობის შესატყვის პირგასამტეხლოს ოდენობად, მოცემულ შემთხვევაში, 50 000 ლარი მიაჩნია, რაც პირველ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს.

26. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, პირველი მოპასუხისთვის ზიანის სახით ზედმეტად გადახდილი 59122.2 ლარის დაუკისრებლობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ ნაწილში მოსარჩელეს უფლება აქვს ცალკე სასარჩელო წარმოებით იდავოს, ვინაიდან ეს მოთხოვნა განხილვის საგანი არ ყოფილა.

27. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების

გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

28. სსკ-ის 55.1 მუხლის მიხედვით, საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ამდენად, პირველ მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 2500 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 257.1, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „ს. კ. თვის“ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შპს „ს. კ.-ას“ დაეკისროს პირგასამტეხლოს, 50 000 ლარის, გადახდა;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

5. შპს „ს. კ.-ას“ სახელმწიფო ბაჟის სახით 2500 ლარი დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

6. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა სსვა შესრულების მიღებით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1484-1404-2017

1 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების
ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. თ. მ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მოწინააღ-
მდეგე მხარე, კასატორი ან გამყიდველი) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში ნ. ლ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორის
მოწინააღმდეგე მხარე ან მყიდველი) მიმართ, მხარეთა შორის 2012
წლის 10 აპრილს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკ-
რულების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისში, ი. პ-ის ქ. №12-ში მდე-
ბარე №134 ბინის თავზე, მე-15 სართულზე არსებული 55,11 კვ.მ
სხვენიის (ს/კ №... – შემდგომში სადავო უძრავი ქონება) მოსარჩე-
ლის საკუთრებად აღრიცხვის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-
სარჩელის და – ნ. ხ-ი ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, ე.წ. „ოქ-
როს ბირჟაზე“ ყიდულობდა და შემდგომში ყიდდა ოქროს. სამეწარ-
მეო საქმიანობის განხორციელების პროცესში იგი დაუკავშირდა ნ.
უ-ს, რომელსაც სარეალიზაციოდ მისგან მიჰქონდა ოქროს ნივთე-
ბი და შემდეგ უხდოდა ნასყიდობის თანხას. ნ. უ-ის მხრიდან მოვა-
ლეთობის კეთილსინდისიერად შესრულების გამო მოსარჩელის დამ
იმავე პირობით დააკავშირა ნ. უ-ი ოქროთი მოვაჭრე მოპასუხეს,
რომლისგანაც 2011 წლის დასაწყისში ნ. უ-მა წაიღო 29 360 ლარის
ღირებულების, ხოლო ნ. ხ-ისგან – 42 123 ლარის ღირებულების ოქ-
როს ნივთები. ნასყიდობის თანხა ნ. უ-მა არ გადაიხადა, რის გამოც
ნ. ხ-სა და ნ. ლ-ეს შორის წარმოიშვა დაძაბულობა. იმის გამო, რომ

ნ. ხ-მა დააკავშირა მოპასუხე ნ. უ-ს, ნ. ლ-ე თვლიდა, რომ ნაწილი ზარალი – 5 000 აშშ დოლარის ოდენობით მისთვის უნდა აენახლა-ურებინა ნ. ხ-ს. ურთიერთობის დაძაბვის გამო საკუთარი დისა და მისი შვილების უსაფრთხოების მიზნით, მოსარჩელემ გადაწყვიტა, 5 000 აშშ დოლარის ნ. ხ-ის მიერ მოპასუხისათვის გადახდამდე, გადაეფორმებინა საკუთარი ბინა ნ. ლ-ისათვის. შეთანხმების თანახმად, 2012 წლის 10 აპრილს მხარეთა შორის შედგა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოპასუხემ მოსარჩელისგან ვითომდა 25 000 ლარად იყიდა სადავო ქონება. მყიდველს თანხა არ გადაუხდია და დღემდე სადავო ბინაში ცხოვრობს მოსარჩელე დედასთან ერთად. შეთანხმების თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს მონაწილის: ნ. ტ-ის, ბ. მ-ისა და დ. მ-ის, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლების მეშვეობით გადასცა 5 000 აშშ დოლარი, თუმცა, იმ მოტივით, რომ ბინა უკვე მოპასუხის საკუთრებაში იყო აღრიცხული, მყიდველმა უარი განაცხადა ბინის დაბრუნებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილება აწარმოებს შემოწმებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმეზე №...) ნ. ლ-ის სარჩელი ნ. ხ-ის მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, თუმცა სადავო ფართი 2009 წლიდან 2012 წლამდე ეკუთვნოდა მას და არა ნ. ხ-ს და მოპასუხემაც სწორედ მისგან იყიდა ბინა. მიუხედავად ამისა, ბინა მაინც ნ. ხ-ისგან იქნა გამოთხოვილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და აღსრულებაც სწორედ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს. მოსარჩელის განმარტებით, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია მოჩვენებით.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ 2011 წლის 21 ივლისს ნ. უ-ის მიერ აღიარებული ვალი არ იყო მხოლოდ მსესხებლის და მასში შედიოდა ნ. ხ-ის ვალიც, თუმცა, მათ მოპასუხისაგან დამოუკიდებლად მოილაპარაკეს და ამ უკანასკნელს შესთავაზეს, რომ სანოტარო წესით მხოლოდ ნ. უ-ი აღიარებდა ვალს. მეორე დღეს, 22 ივლისს ნ. ხ-მა და ნ. უ-მა საკუთარი ხელით დაწერეს ხელწერილები 29 360 ლარიდან თითოეულის მიერ გადასახდელი თანხის თაობაზე, კერძოდ, ნ. უ-მა დაადასტურა, რომ ნ. ლ-ისთვის გადასახდელი ჰქონდა 6 965 ლარი, ხოლო ნ. ხ-მა აღიარა ვალი 22 395 ლარის ფარგლებში. გარეგნობის დადებისას რაიმე იძულებას ან მუქარას ადგილი არ ჰქონია, რადგან ნ. ხ-მა ვერ მოახერხა ვალის გადახდა მოპასუხისათვის, მან შესთავაზა სხვენის გადაფორმება. სხვენთან დაკავშირებით

კი, ნ. ხ-ისგან იცოდა, რომ მოსარჩელის სახელზე ჰქონდა გადაფორმებული ვალდებულების თავიდან ასარიდებლად, რეალურად კი ნ. ხ-ს ეკუთვნოდა იგი. მოპასუხე დათანხმდა შეთავაზებას და მას და მოსარჩელეს შორის 2012 წლის 10 აპრილს, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის გაფორმებისას მოპასუხისათვის უცნობი იყო რომ სხვენი ღიობითა და კიბეებით მიერთებული იყო ნ. ხ-ის საცხოვრებელ ფართზე და დამოუკიდებელი შესასვლელი არ ჰქონდა, რის გამოც მის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა კარის ჩადგმაში ხელშეშლის აღკვეთა. 5 000 აშშ დოლარის გადაცემასთან დაკავშირებით მოპასუხე განმარტავს, რომ ნასყიდობის შემდეგ ნ. ხ-მა იგი დაითანხმა, იპოთეკით დაეტივრთა სადავო უძრავი ქონება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ-ში“ და კრედიტის სახით აელო 10 000 აშშ დოლარი. სწორედ ამ თანხიდან გადასცა მას 5 000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 5 000 აშშ დოლარი თვითონ ნ. ხ-მა წაიღო იმ პირობით, რომ აღებულ თანხას მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში თავად გადაიხდიდა. 22 395 ლარს, რომელიც წარმოადგენდა ნ. ხ-ის დავალიანებას, გამოაკლდა 5 000 აშშ დოლარი და ახალი ვალის აღიარების ხელშეკრულებით ნ. ხ-ის ვალდებულება მოპასუხის მიმართ განისაზღვრა 13 900 ლარით. ამ თანხის, ასევე, ნ. ლ-ის მიერ აღებული კრედიტის დაფარვის შემდეგ, მოპასუხე თანახმა იყო, უძრავი ქონება კვლავ ნ. ხ-ისთვის გადაეფორმებინა, თუმცა ნ. ხ-მა არ შეასრულა შეთანხმების არც ერთი პირობა: მას არ გადაუხდია არც ვალი – 13 900 ლარი და არც კრედიტი დაუფარავს, რომლის გადახდაც მოპასუხეს მოუწია. ნივთის ვინდიცირების დავაში სათანადო მოპასუხეობასთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ ნ. ხ-ს სარჩელის განხილვის სათანადო მოპასუხის საკითხი სადავო არ გაუხდია. სხვენში მართლაც ნ. ხ-ი ცხოვრობს, ხოლო მოსარჩელე – გურიაში. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო მოქმედებების შეჩერება გამონეუული იყო სათანადო ხარჯების გადაუხდელობით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის 2012 წლის 10 აპრილს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო ნივთი აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებად.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადან-

ყვეტილებით, სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის წერილობით დადებულ გარიგებაში გამოვლენილი ნებისა და მათი ნამდვილი ნების თანხვედრის საკითხი, რამდენადაც კასატორი უარყოფს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს უძრავი ქონების ნასყიდობის ნამდვილობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სადავოდ ქცეული გარიგება იურიდიული ძალის არმქონეა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ საჩივრის ფარგლებში შეამოწმებს, რომლის თანახმადაც:

1.1.1. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 90-ე და 92-ე მუხლები, რომელთა თანახმადაც, ბათილია ნებაზე დამოკიდებული პირობით დადებული გარიგება, კერძოდ, მოსარჩელე მოატყუა მოპასუხემ, როდესაც ბინა რეალურად დატვირთა იპოთეკით და 5 000 აშშ დოლარის გადახდის შემდგომ დაუბრუნებდა მას საკუთრებას. ამ შემთხვევაში, ვალდებულების

შესრულება დამოკიდებული იყო მოპასუხის ნებაზე, რაც მისი ბათილობის საფუძველია;

1.1.2. სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 312-ე მუხლების წინააღმდეგ, სასამართლომ სადავო ქონების მესაკუთრედ ნ. ხ-ი არასწორად მიიჩნია იმ მოტივით, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი ფლობს ქონებას, საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო კასატორი და ნასყიდობის ხელშეკრულებაც ამ უკანასკნელის მიერაა დადებული;

1.1.3. სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მოვალის ნაცვლად ვალდებულების სხვა პირის მიერ შესრულებას, თუმცა მოსარჩელეს არ უკისრია ნ. ხ-ის მიერ მოპასუხის წინაშე აღიარებული ვალდებულების სრულად შესრულება, არამედ მან ქონება მხოლოდ 5 000 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველსაყოფად დატვირთა ვალდებულებით;

1.1.4. მართალია, სხვა შესრულების მიღებით ვალდებულების შეწყვეტას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი, თუმცა, ამ ნორმის გამოყენებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება იყო პირობადებული და დამოკიდებული იყო მოპასუხის ნებაზე, გარდა ამისა, გადანყვეტილებიდან არ ირკვევა, რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ სახეზე არ იყო ამავე კოდექსის 509-ე-514-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით, თუმცა, მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა სადავო ქონების შექმნის ნება, მას არც საზღაური გადაუხდია და არც უსარგებლია ნივთით, არამედ, გარიგება დადო 5 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ;

1.1.5. საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან და მოწმეთა ჩვენებებიდან არ გამომდინარეობს სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება იმის თაობაზე, რომ 22 395 ლარის ღირებულების ოქროს ნივთები ნ. ხ-მა წამოიღო მოპასუხისაგან და გადასცა ნ. უ-ს. მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ მოპასუხე ემუქრებოდა მოსარჩელის დას და მის შვილებს, ამ მხრივ საინტერესოა ის გარემოება, რომ როგორც ნ. ხ-ი, ისე – ნ. უ-ი ერთსა და იმავე დღეს უდასტურებენ მოწინააღმდეგე მხარეს ვალდებულების არსებობას, ხოლო მას შემდეგ, რაც ნ. უ-ი მიიმალა, ბუნებრივია, მოპასუხეს აწყობდა თანხის ამოღება მხოლოდ ნ. ხ-ისგან;

1.1.6. არასწორად იქნა დადგენილი ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგე მხარემ სადავო ქონება დატვირთა იპოთეკით და აღებული 10 000 აშშ დოლარიდან 5 000 აშშ დოლარი გადასცა ნ. ხ-ს, ასევე, იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალი დაფარა მოპასუხემ. 13 900 ლარის ნ. ხ-ის მიერ მოპასუხისათვის გადახდის სანაცვლოდ ქონე-

ბაზე საკუთრების უფლების დაბრუნებაზე ისე იმსჯელა სასამართლომ, რომ არც კი გააურკვევია ქონების მესაკუთრე იყო ნ. ხ-ი თუ კასატორი, ან როგორ უნდა დაებრუნებინა უძრავი ნივთი ნ. ხ-ისათვის, ასევე არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, მოსარჩელე იყო თუ არა თანახმა 13 900 ლარის გადახდის სანაცვლოდ მიეღო სადავო ბინა;

1.1.7. სააპელაციო სასამართლომ უძრავი ნივთის სამართლებრივი რეჟიმისაგან აბსოლუტურად განსხვავებული განმარტება გააკეთა, როდესაც დაადგინა, რომ ბინა ეკუთვნოდა კასატორს, მაგრამ ფაქტობრივად ნ. ხ-ის საკუთრებას წარმოადგენდა, ნაცვლად იმისა, რომ ემსჯელა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული შეთანხმების ნამდვილ შინაარსზე. რაც შეეხება მოპასუხესა და ნ. ხ-ს შორის არსებულ ვალის აღიარებას, ის სხვა დავის საგანია და სცდება წინამდებარე სარჩელს. სასამართლოს მხრიდან ფაქტების აღრევა განაპირობა იმან, რომ ერთმანეთისაგან არ გაუმიჯნავს მოსარჩელისა და ნ. ხ-ის ვალდებულება მოპასუხესთან, მართალია, სადავო არ გამხდარა მონინაალმდეგე მხარის მიერ 10 000 აშშ დოლარის გამსესხებლისათვის დაბრუნების ფაქტი, თუმცა, შეფასება არ მისცემია იმას, რომ ამ თანხის გადახდა განაპირობა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევამ, რომელიც მას მოსარჩელის წინაშე ჰქონდა ნაკისრი ბინის დაბრუნების სახით;

1.1.8. სააპელაციო პალატის დასკვნით, თუნდაც გადახდილი იყოს 5 000 აშშ დოლარი, მოპასუხეს არ ეკისრება ნივთის დაბრუნების ვალდებულება, რადგანაც ნ. ხ-ს არ დაუბრუნებია მისთვის ვალი, რაც არასწორია. მოსარჩელისა და მოპასუხის შეთანხმებიდან გამომდინარე, ბინის დაბრუნებაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა ნ. ხ-ის ვალს ნ. ლ-ის მიმართ.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორებს არ მიუთითებიათ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ სა-

მართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება:

1.2.1. მოსარჩელის და – ნ. ხ-ი ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას, კერძოდ, ე.წ „ოქროს ბირჟაზე“ ახორციელებდა ოქროს შეძენას და შემდგომ რელიზაციას. ნ. ხ-სა და ამავე ბირჟაზე მომუშავე ნ. ლ-ეს შორის დაიდო ოქროს ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც ნ. ხ-ს დღემდე არ გადაუხდია გამყიდველ ნ. ლ-ისათვის;

1.2.2. 2012 წლის 22 მაისის ვალის აღიარების ხელწერილით ნ. ხ-მა აღიარა, რომ აქვს ნ. ლ-ის ვალი 13 900 ლარი, რაც უნდა დაებრუნებინა 2012 წლის 23 აგვისტომდე. ამავე დოკუმენტით ნ. ლ-ემ აილო ვალდებულება, რომ ნ. ხ-ის მიერ ამ ხელწერილით ნაკისრი ვალდებულების (13 900 ლარის დაბრუნება) სრულად შესრულების შემდეგ გადაუფორმებდა საკუთრების უფლებით უძრავ ნივთს – 55.11 კვ.მ სხვენს, მდებარე ქ. თბილისში, დ-ს დასახლებაში, ი. პ-ის ქუჩა №12-ში (მე-15 სართულზე, №134 ბინის თავზე);

1.2.3. ნ. ლ-ემ მის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ-დან“ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთა იპოთეკით. სესხის თანხა შეადგენდა 10 000 აშშ დოლარს. ნასესხები 10 000 აშშ დოლარად ნ. ლ-ემ 5 000 აშშ დოლარი გადასცა ნ. ხ-ს, ხოლო, 5 000 აშშ დოლარი თავად დაიტოვა; სესხი სრულად არის დაფარული ნ. ლ-ს მიერ.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო, არ იზიარებს კასატორის პოზიციას მხარეთა შორის პირობითი გარიგების დადების თაობაზე, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, როგორც მოვალის ნებაზე დამოკიდებული, ბათილია, თუმცა, ეს გარემოება ვერ გახდება მისი პრეტენზიის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი. როგორც გასაჩივრებულ გადანყვეტილებაშიცაა აღნიშნული, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადანყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „jura novit curia“ (სასამართლომ იცის კანონი). საკასაციო სასამართლოს არაერთ გადანყვეტილებაში იქნა ასახული ხსენებული მიდგომა (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი; №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი, ასევე, სუს დიდი პალატის გადანყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი) და იმ შემთხვევაში, თუკი დავის გადანყვეტისათვის მნიშ-

ვენელობის მქონე, დადგენილად მიჩნეული გარემოებები სხვა სამართლებრივი საფუძვლით იძლევა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, სასამართლო ამ სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით ნყვეტს დავას.

1.3.2. პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა/განმარტა სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი. ამ მხრივ კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უარყოფს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ კრედიტორმა ნ. ლ-ემ, რომლის მიმართაც ვალდებულება გააჩნდა მოსარჩელის დას, მოვალისა და კასატორის მხრიდან საკუთრებაში მიიღო ბინა, რაც წარმოადგენს სხვა შესრულების მიღებას და ამით ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდა. ხსენებული დასკვნის უარსაყოფად პალატა ყურადღებას რამდენიმე თეორიულ საკითხზე გაამახვილებს: მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სწორად განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონეა საქმის მომზადების ეტაპი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს სარჩელისა და შესაგებლის ფორმალური საფუძვლიანობის საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 201-ე მუხლები ადგენს წინაპირობებს, თუ რას უნდა პასუხობდეს დავის დაწყების დროისათვის სარჩელი და შესაგებელი. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დღის წესრიგში დგება საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების ეტაპი, რომელიც, როგორც ითქვა, დავის სწორად გადაწყვეტის ფუნდამენტია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე-206-ე მუხლები ადგენენ იმ საპროცესო ბერკეტებს, რომლებიც უნდა განკარგოს მოსამართლემ, რათა არსებითად განხილვის ეტაპზე ეფექტურად განახორციელოს მართლმსაჯულება. უპირველესად, რაც ამ ეტაპზე მოწმდება, არის მითითების ტვირთი, კერძოდ, მოსამართლე განსაზღვრავს, გადმოცემული ფაქტებიდან გამომდინარე, რისი მიღწევა სურს მოსარჩელეს და მოიძიებს მისი მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, ხოლო მას შემდეგ, რაც ცხადი გახდება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, უნდა შემოწმდეს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები და ამ ნორმის წინაპირობები, უფრო კონკრეტულად, მოსარჩელე გადმოსცემს თუ არა ყველა ფაქტს, რომელთა დადასტურებისა და მოძიებული სამართლებრივი საფუძვლების სუბსუმირება იურიდიულად ამართლებს სარჩელს (მითითების ტვირთი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის ფორმალური გამართულობის დაძლევის შემდგომ დღის წესრიგში დგება მოპასუხის შედავების არსებითობის საკითხი, კერ-

ძოდ, უნდა გამოირკვეს, მოთხოვნის განმაპირობებელ რომელ ფაქტებს ხდის სადავოდ მოპასუხე და ამის შესაბამისად განისაზღვრება მტკიცების საგანი, რომელშიც მხოლოდ სადავო ფაქტები შედის, იმის მიხედვით კი, თუ რა წარმოადგენს დადასტურების ობიექტს, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით და ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის (თუ მატერიალური სამართლის ნორმა, იურიდიული კონსტრუქციიდან გამომდინარე, განსხვავებულად არ არეგულირებს მტკიცების სტანდარტს).

1.3.3. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ მან საკუთარი დის ვალდებულების უზრუნველსაყოფად გადაუფორმა ბინა მოპასუხეს, რომელსაც თანხის მიღების შემდგომ ქონება უნდა დაებრუნებინა მესაკუთრისათვის. ამ ფაქტის წინააღმდეგ მოპასუხეს არსებითი შედავება არ წარუდგენია, მან სადავო გახადა მხოლოდ მოსარჩელის დის დავალიანების ოდენობა და ბინის დაუბრუნებლობა ახსნა იმით, რომ თანხა, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფდა სადავო ქონება, არ იყო სრულად ანაზღაურებული მოპასუხისათვის. არცერთი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მსჯელობა იმ ფაქტზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის შემდგომში შეცვალეს მისათითებელი ფაქტები და სასამართლოს მხრიდან მიღებულ იქნა ახალი გარემოებები/განმარტებები. ამ ფაქტობრივ მოცემულობაში კი, სააპელაციო პალატის დასკვნა, თითქოს მოსარჩელის ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემით მოპასუხემ ნ. ხ-ის ვალდებულების ანგარიშში მიიღო სხვა შესრულება და სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ვალდებულებითი ურთიერთობა ნ. ლ-ესა და ნ. ხ-ს შორის, არ გამომდინარეობს მხარეთა განმარტებებიდან. მით უფრო დაუშვებელია ხსენებული ნორმის საფუძველზე სარჩელის წარუმატებლად მიჩნევა იმ პირობებში, როდესაც ნ. ლ-ე, როგორც ნ. ხ-ის კრედიტორი, აპელირებს ვალდებულების კვლავ არსებობაზე.

1.3.4. პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ არც მოსარჩელე და არც მოპასუხე არ მიუთითებენ იმგვარ ფაქტებს, რომელთა ანალიზიც სამოქალაქო კოდექსის 72-ე-მე-80 მუხლებით რეგულირებულ გარიგების შეცდომით დადებულად მიჩნევას განაპირობებდეს, არამედ ადასტურებენ, რომ მათ მიზანს მესამე პირის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

1.3.5. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი (2012 წლის 10 აპრილი) სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამო-

ყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). ამავე კოდექსის 291-ე (1), 292-ე (1) და 299-ე (1) მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, იპოთეკის საგნის მესაკუთრე შეიძლება არც იყოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, არამედ, ერთი პირის უძრავი ქონებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მეორე პირის ვალდებულება. რაც შეეხება ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი იძლევა და ამ ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, პალატა ასკვნის, რომ ხელშემკვერელ მხარეთა ურთიერთმფარავი ნება არა ვალდებულების უზრუნველყოფა ან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით კრედიტორისათვის სხვა შესრულების გადაცემაა, არამედ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა შეთანხმებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა განმარტებებისა და ზემოხსენებული ნორმების დისპოზიციიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ 2012 წლის 10 აპრილის მოსარჩელსა და მოპასუხეს შორის არა ნასყიდობის, არამედ, იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც უდავოა, რომ მოპასუხეს ნასყიდობის საზღაური არ აქვს გადახდილი.

1.3.6. მოსარჩელის მოთხოვნას 2012 წლის 10 აპრილის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქონების საკუთრებაში დაბრუნება წარმოადგენს, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, გარიგების იურიდიული ძალა და ქონების საკუთრებაში დაბრუნების წინაპირობები.

1.3.7. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი განსაზღვრავს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების ცნებას. ნორმის პირველი ნაწილით რეგულირებულია შემთხვევა, როდესაც მხარეებს არ სურთ გარიგების სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა აფორმებენ მას სხვა პირის მოსატყუებლად, ვალდებულებისათვის თავის ასარიდებლად და სხვა, ასეთ გარიგებებს კანონი მოჩვენებითად მიიჩნევს, რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც მხარეებს სურთ გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა მის მისაღწევად მოჩვენებით აფორმებენ სხვა გარიგებას, კანონი მას თვალთმაქცურ გარიგებად მოიხსენიებს. განსახილველი ნორმის მე-2 ნაწილი მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით, ის ადგენს თვალთმაქცური გარიგების წინაპირობებსა და მის იურიდიულ შედეგს, იმპერატიულად ადგენს დაფარული გარიგების წესების გა-

მოყენების აუცილებლობას. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა ამ საფუძველით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ“ (იხ. სუსგ-ები: №ას-487-461-2015, 17.06.2015წ, №ას-474-455-2016, 7.07.2016, №ას-871-821-2015, 2.02.2016, №ას-60-58-2016, 12.07.2016).

1.3.8. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულებით დაფარეს იპოთეკის სანივთო გარიგება, გამოყენებულ უნდა იქნას იპოთეკის წესები: საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულება ფორმის მხრივ სრულად აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 311¹-ე მუხლის მოთხოვნებს, დადებულია წერილობით, მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით და რეგისტრირებულია რეესტრში, შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულება ნამდვილია. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე კი, მოსარჩელის მოთხოვნა ნასყიდობის ბათილად ცნობისა და ქონების საკუთრებაში დაბრუნების თაობაზე, გამართლებულია.

1.3.9. პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოთხოვნის მოცულობის საკითხზეც: მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, დაადგინა ნ. ხ-ის ვალდებულების მოცულობა ნ. ლ-ის მიმართ, თუმცა, ეს საკითხი სცდება განსახილველი სარჩელის ფარგლებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავის საგანს ქონების საკუთრებაში დაბრუნება წარმოად-

გენს, ამასთანავე, ნ. ხ-ი არ არის მოცემულ დავაში ჩაბმული მხარედ და წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლები, ვერც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პრიუდიციულ მნიშვნელობას და ვერც ამავე კოდექსის 266-ე მუხლით განსაზღვრულ სავალდებულო ძალას მისი ვალდებულების მოცულობაზე ვერ იქონიებს. რაც შეეხება იმ ფაქტს, გააჩნია თუ არა ნ. ხ-ს ვალდებულება, საკასაციო პალატა არა ამ ვალდებულების შინაარსიდან, არამედ, იპოთეკარისა და მესაკუთრის მიერ გადმოცემული ფაქტებიდან გამომდინარე, აფასებს სანივთო გარიგების მხარეთა ნებას და მასზე დაყრდნობით ადგენს, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილია იპოთეკის ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სხვა პირის ვალდებულებას.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატა აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ვინაიდან არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები) საფუძველზე, თავად იღებს გადაწყვეტილებას: საკასაციო სასამართლო აკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების საკუთრებაში დაბრუნების თაობაზე, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, ადგენს, რომ მხარეთა შორის არსებობს იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მოპასუხის წინაშე მესამე პირის ვალდებულებას.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობისა და ქონების დაბრუნების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გაღებული ხარჯების – 3 100 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. თ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:
 - 2.1. თ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
 - 2.2. ბათილად იქნას ცნობილი თ. მ-ესა და ნ. ლ-ეს შორის 2012 წლის 10 აპრილს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და ქ. თბილისში, ი. პ-ის ქ. №12-ში მდებარე №134 ბინის თავზე, მე-15 სართულზე არსებული 55,11 კვ.მ სხვენის (ს/კ №...) მესაკუთრედ საჯარო რეესტრში კვლავ აღირიცხოს თ. მ-ე (პ/ნ...).
 - 2.3. დადგინდეს, რომ თ. მ-ესა (პ/№...) და ნ. ლ-ეს (პ/№...) შორის მესამე პირის – ნ. ხ-ის ვალდებულების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ი. პ-ის ქ. №12-ში მდებარე №134 ბინის თავზე, მე-15 სართულზე არსებული 55,11 კვ.მ სხვენი (ს/კ №...).
 - 2.4. ნ. ლ-ეს (პ/№...) თ. მ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 3 100 ლარის გადახდა.
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge